# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 ივლისი ორშაბათი 2013

№ 170 (14 086) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## პაპინაშვილმა მოსკოვი დაიპყრო

ოქრო და ბრინჯაო მოსკოვის დიდ სლემზე

10-11

საქართველომ ევროპის ჩემპიონატი ღირსეულად დაიწყო

# გამარჯვებას ახლოს იყო

2




საგოლე მომენტი ფრანგების კარებთან, ურტყამს ნიკა კაჭარავა

## კარგი ამბავი: ფრანგებთან ფრე გვეცოტავა

# ¿ვინ შეცვლის ტიტოს?

6



U 19. ევროპის ჩემპიონატი

# ფრე ფრანგებთან, ცეცაძე უკმაყოფილოა

20.07. ალიტუსი. SRC ალიტუს
1 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| საფრანგეთი | 0 |

| საქართველო | საფრანგეთი |
|---|---|
| თებიძე | ბონარდო |
| მთივლიშვილი | იაოკო |
| სანდოხაძე | მენდი |
| ჯანტურია | კონტი |
| დვალი | როდრიგესი |
| მარკოზაშვილი | იუნუ |
| ცნობილაძე | ბენზია |
| ენდელაძე | ნანიესი |
| ფანცულაია | რაბიო |
| არაბული | ლაპორტი |
| ზივზივაძე | მარტიალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ცეცაძე | ფ. სმერეცკი |

**საქართველო**

64. ზივზივაძე – **ზარანდია**
77. მარკოზაშვილი - **კაჭარავა**
*სათადარიგოები: მიქავა, გეგეჩკორი, გურეშიძე*

**საფრანგეთი**

66. მარტიალი - **ნგეტი**
80. როდრიგესი – **გბამინი.**
*სათადარიგოები: ასანი, რუყო, მორეირა, ჟანი.*

გაფრთხილება: იუნუ (58), ფანცულაია (72), არაბული (76), ცნობილაძე (85), გბამინი (90+2).

არბიტრი: ემირ ალეცჩკოვიჩი (ბოსნია)

**სტატისტიკა**

| საქართველო | | საფრანგეთი |
|---|---|---|
| 2 | კარში დარტყმა | 7 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კუთხური | 12 |
| 16 | ჯარიმა | 15 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 0 | გაძევება | 0 |



ნიკა კაჭარავას დარტყმული ფრანგებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს

ურიგო ამბავი ნამდვილად არ არის: ევროპის ჩემპიონატი საქართველომ ფრანგებთან 0:0-ით დაიწყო. პატარა გამართლება და მოგებაც შესაძლებელი იყო, თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, რომ თავიდან ასეთი სცენარი ძნელად წარმოსადგენი ჩანდა და ფრანგები უკეთ გამოიყურებოდნენ, მათთან ფრე კი საპატიოა.

... გულშემატკივარი სულმოუთქმელად ელოდა ჩვენი 19-წლამდელების პირველ შეხვედრას, იყო ნერვიულობა, დაძაბულობა, პროგნოზები, იმედები.

გასაგები იყო ახალგაზრდა "მამლების" დამრიგებლის, **ფრენსის სმერეცკის** სურვილი, რომლის ხელშიც ფრანგებმა ამ ასაკის ჩემპიონობა 2010 წელს მოიპოვეს – ტურნირი მარშით სურდა დაეწყო და პირველივე ტურში საქართველო დაემარცხებინა. აბა, სად ბევრად ტიტულოვანი და ამბიციური საფრანგეთი და სად ევროპის იშვიათი სტუმარი საქართველო?

დიდი მცდელობისა და სურვილის მიუხედავად, ფრანგებმა ეს ვერ მოახერხეს. მათ შეხვედრა თადაჯერებულადაც დაიწყეს. 10 წუთის განმავლობაში "ჯვაროსნებს" ფლანგებიდან აქტიურად უტევდნენ – მარცხნიდან **ბენჟამენ მენდი** (მარსელი), მარჯვნიდან - **ჟორდან იკოკო** (პსჟ), აქტიური იყო მადრიდის "ატლეტიკოს" ფეხბურთელი **ემერიკ ლიაპორტიც**. "მამლებმა" მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ანგარიში ვერ გახსნეს: **კევინ როდრიგესის** ახლოდან დარტყმული ბურთის შემდეგ, გუნდი **გაბრიელ თებიძემ** გადაარჩინა.

ათლეტურ და კარგად დაბალანსებულ მეტოქეს ქართველებმა ალლო მაინც აუღეს და ჟინიანი და რაც მთავარია, აზრიანი თამაშით დაუპირისპირდნენ. ნელ-ნელა, შეტევების გაძლიერებაც სცადეს. ჩვენი კაპიტანი, **ბაჩანა არაბული** ხშირად ახერხებდა ბურთის შენარჩუნებასა და ფრანგების ნახევარზე თამაშის გადატანას. **გია ცეცაძის** განვრთნილებიდან კარისკენ ორჯერ დაარტყა **გიორგი ფანცულაიამ**, თუმცა, მიზანს ორჯერვე ააცილა. დაცვა ბურთს უაზროდ არ იგერიებდა, მაგრამ შეტევების გამწვავებას მეტოქის ნახევარზე არაზუსტი პასების გამო ვერ ახერხებდნენ.

ფრანგებმა განსაკუთრებით პირველი ტაიმის ბოლოს გაილაღეს. სახიფათო გამოდგა მენდის შორეული დარტყმა და თებიძემ კვლავ საიმედოდ ითამაშა.

სმერეცკის განვრთნილებმა მეორე ტაიმიც ომახიანად დაიწყეს, თუმცა, მათი შეტევები ერთფეროვანი იყო და ქართველები ვერც ტემპით დაჩაგრეს. მერე და მერე, ფრანგების შეტევებს სიმწვავეც დააკლდა. ახლა უკვე ჩვენი ფლანგის მცველები გააქტიურდნენ, რომლებიც შეტევებში უფრო თამამად ერთვებოდნენ. მაგრამ მომენტების შექმნას ვერ ვახერხებდით.

ცეცაძემ შეცვლა ზუსტად გამოიცნო: **ნიკა კაჭარავამ** ბურთის დაჭერაც მოახერხა და თამაშიც გაამწვავა. 82-ე წუთზე ყაზანის "რუბინის" თავდამსხმელს ანგარიშის გახსნის რეალური შანსიც ჰქონდა: საჯარიმოსთან არაბულს "სამკუთხედი" გაუთამაშა, კარისკენ გაიჭრა და მახვილი კუთხიდან დაარტყა. „მამლების" მეკარემ, **კვენტინ ბონარდომ** ბურთი მოიგერია, მაგრამ ვერ დაეუფლა და კარის ხაზიდან გამოიტანა. არადა, ამ დროს, რამდენი ქართველი გულშემატკივარი სკამიდან წამოხტა ნაადრევი სიხარულისგან...

87-ე წუთზე თამაში საკუთარ თავზე **ავთო ენდელაძემ** აიღო და საჯარიმოს სიახლოვიდან ბურთი მოჭრა - მიზანს ვერც მან უწია.

წარუმატებელი გამოდგა **ლენი ნანიესის** შეტევაც, საბოლოოდ კი გუნდები 0:0-ზე დაზავდნენ, რასაც ფრანგების დამრიგებელმა ლოგიკური შედეგი უწოდა. ცოტა უცნაური, მაგრამ სასიამოვნო იყო გია ცეცაძის ამბიციური განცხადება, შედეგით და თამაშით უკმაყოფილო ვარო – ფრანგებთან ფრეს ბევრი ჩვენნაირი ქვეყანა ინატრებდა. მაგრამ ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს ნახევარფინალში გასვლის ამბიცია აქვს.

**მატჩის შემდეგ**

**გია ცეცაძე (საქართველო):** "პირველი ტაიმით ძალიან უკმაყოფილო ვარ; განსაკუთრებით, წინა ხაზით, კონცენტრაცია დაგვაკლდა და ნაკლებად ვმოძრაობდით. მეორე ტაიმს არაუშავდა. თუმცა 100 პროცენტით კმაყოფილი არ ვარ - უფრო მეტს ველოდი და მდგომარეობა ცოტა გავირთულეთ... თუმცა აქ იმისთვის ვართ, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ტურნირი გრძელდება და ვეცდებით, ჯგუფური ეტაპის დარჩენილი მატჩებიდან ქულათა მაქსიმუმი გამოვწუროთ..

შედეგით თავს მოგებულად არ ვთვლი და ფრანგების არ ვიცი... ამპარტავნობაში არავინ ჩამომართვას, საფრანგეთთან ფრე ითამაშა და უკმაყოფილოაო, მაგრამ მართლა ასე ვარ... თამაშის ხარისხმა არ დამაკმაყოფილა. ეს მთელი პროცესია - შესარჩევი სხვაა, ელიტრაუნდიც... ეს კი, ევროპის ჩემპიონატია, სადაც ბიჭები პირველად თამაშობენ. სხვა ქვეყნებივით ხუთჯერ და ექვსჯერ რომ მოვხვდებით ევროფინალზე, მაშინ სხვა ვითარება იქნება. მოკლედ, ჩვენ ამ შედეგით არ მოგვიგია და არც წაგვიგია - ქულა ავიღეთ.

სერბეთთან პრინციპული მატჩი გველის. მათ დღეს თურქები დაამარცხეს. ვეცდებით, რომ ამ მატჩზე შეცდომები გამოვასწოროთ, შევუტიოთ და მეტოქე დავამარცხოთ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდის კარგ ფიზიკურ კონდიციებში. როცა გუნდში თემურ ლორთქიფანიძე გყავს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. თან, მატჩებს შორის დასვენება 2 დღეა და ბიჭები აღდგენას და დასვენებას მოასწრებენ".

**ფრენსის სმერეცკი (საფრანგთი):** *"ფიზიკური დატვირთვების მხრივ, ძალიან მძიმე მატჩი იყო და ამ თვალსაზრისით, ფეხბურთელებით უკმაყოფილო ვარ. როცა შანსი გვქონდა, ვერ გამოვიყენეთ. ასე რომ, ფრე სამართლიან შედეგად მიმაჩნია. საქართველოს ძალიან სიმპათიური და კარგად ორგანიზებული გუნდი ჰყავს. შეტევის ხაზში კი რამდენიმე ინდივიდუალისტი აშკარად გამოსარჩევია. მე სხვა ფეხბურთელებიც მომეწონა. ისე, დღევანდელი მატჩის შედეგი ჩვენ შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს".*

■ ■ ■

ჯგუფის მეორე შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა: სერბეთმა თურქეთს 2:1 მოუგეს.

**სერბეთი – თურქეთი 2:1**

გოლები: 1:0 ლუკოვიჩი (17), 2:0 მიტროვიჩი (53), 2:1 რეჯეპი (88).

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 3. საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

**23 ივლისი**

| | |
|---|---|
| სერბეთი — საქართველო | 19:30 |
| თურქეთი — საფრანგეთი | 21:45 |

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 19-წლამდელები 23 ივლისს სერბეთს დაუპირისპირდებიან. ჩვენი გუნდის დახმარებას შეძლებენ მარცხენა მცველი **დავით უბილავა** და შემტევი ნახევარმცველი **გურამ სამუშია** – მათ პირველი შეხვედრა ელიტ რაუნდზე მიღებული ყვითელი ბარათების მიზეზით გამოტოვეს. **გია ცეცაძემ** თქვა კიდეც, ფრანგებთან სათანადოდ იმიტომ ვერ ვითამაშეთ, ძირითადი შემადგენლობის ეს ორი მოთამაშე რომ დაგვაკლდაო.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-ლიტვა | 3:2 |
| ესპანეთი-პორტუგალია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 2. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 4. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**მომდევნო ტურები:**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-პორტუგალია | 17:30 |
| ლიტვა-ესპანეთი | 19:30 |

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# უპრინმა სტრეიმურისთვის 18 ფეხბურთელი შეარჩია

## დინამო ფარერებზე ჩარტერით გაფრინდა



თბილისის "დინამო" დღეს დილით ფარერის კუნძულებზე ჩარტერული ავიარეისით გაემგზავრა. "სტრეიმურთან" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებითი მატჩისთვის "დინამოს" თავკაც **დუშან უჰრინს** შემდეგი 18 ფეხბურთელი მიჰყავს:

მეკარეები: **გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა;**

მცველები: **გივი კვარაცხელია, დარკო გლიშიჩი, გიორგი სეთურიძე, უსტარიცი, დავით კვირკველია, დავით ხურცილავა, გიორგი გველესიანი;**

ნახევარმცველები: **ლევან ხმალაძე, ირაკლი ლექვთაძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი პაპავა, ელგუჯა გრიგალაშვილი;**

თავდამსხმელები: **ჩისკო, ჯაბა დვალი, დავით ხოჭოლავა, პატრიკ ვუო.**

პირველ მატჩში მიღებული ტრავმის გამო თბილისელებს **ირაკლი ძარია** დააკლდებათ. შეგახსენებთ, "დინამო არენაზე" მასპინძლებმა კუნძულელები 6:1 გაანადგურეს და განმეორებითი შეხვედრა ფორმალობად აქციეს.

ხვალინდელ მატჩს უელსელი **საიმონ ლი ევანსი** განსჯის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი



# ფეროელები თურქეთში დაბინავდნენ

"ზესტაფონმა" ახალი სეზონისთვის სამზადისი თურქეთში, სტამბულიდან 120 კილომეტრის მოშორებით მდებარე საკურორტო მთიან ქალაქ კარტეპეში განაგრძო.

სტამბულის „საბიჰა გიოქჩენის" აეროპორტიდან კარტეპემდე საათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ, გუნდი სასტუმრო "გრინ პარკ ოტელში" დაბინავდა. ზესტაფონელებს გუნდის ალჟირელი ლეგიონერი **მოჰამედ რეკრუკიც** შეუერთდა. მალე "ზესტაფონს" **ბოტიგოა დემელიც** დაემატება. რაც შეეხება **გურამ სამუშიასა** და **ავთო ენდელაძეს,** ორივე ეს ფეხბურთელი საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ლიტვაში იმყოფება. "ზესტაფონის" ახალმა დამრიგებელმა, სერბმა **რატკო დოსტანიჩმა** გუნდი ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმზე გადაიყვანა.



რატკო დოსტანიჩი

თურქულ შეკრებაზე "ზესტაფონი" დღეისთვის 22 ფეხბურთელით იმყოფება:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, კახაბერ მეშველიანი, რომან ტურავა;**

მცველები: **ილია კანდელაკი, გიორგი კაჭკაჭიშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე;**

ნახევარმცველები: **მოჰამედ რეკრუკი, ლევან შარიქაძე, დავით რაჟამაშვილი, ვახტანგ ჭანტურიშვილი, იგორ იელიჩი, გიორგი ჭანკოტაძე, ლევან კუტალია, მიხეილ სარდალიშვილი, ნოდარ კიკნაველიძე, ბექა მიქელთაძე;**

თავდამსხმელები: **გიორგი ადამია, საბა ლომია, ირაკლი ქობალია, ოთარ კვერნაძე.**

თურქეთში პირველ საკონტროლო შეხვედრას ფეროელები 27 ივლისს თურქეთის პირველი დივიზიონის ბინადარ "მანისასფორთან" გამართავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დანიშვნა

# მახარაძემ გურია ჩაიბარა

## ფეხბურთელები ბრუნდებიან, სპონსორიც გამოჩნდა?

ევროთასებისა და 19-წლამდელთა ევროსამზადისის გამო ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ბევრი გუნდის პრობლემები დაიჩრდილა.

არადა, ლანჩხუთის "გურიაში" მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. შევიტყვეთ, რომ პოსტი დატოვა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ლორიამ.** ეს ამბავი თავად დაგვიდასტურა: "ახლა გუნდი გრიგოლეთშია შეკრებილი, მაგრამ მე იქ არც წავსულვარ. მოთამაშეებსა და ადმინისტრაციის წევრებს კონტრაქტები დაუმთავრდათ და ახალი ხელშეკრულებები არ შესთავაზეს, ფაქტობრივად, დაითხოვეს სპორტული დირექტორი კახა ებრალიძე და კლუბის დირექტორი ირაკლი ფაცურია. ჩემს გაშვებაზე არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ "გურია" უმაღლეს ლიგას რომ დაუბრუნდა ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის - კლუბის ხელმძღვანელობა ხელს რომ გვიწყობდა და სწორად მუშაობდა, ამის პირდაპირი შედეგია. რატომ არ გაუხანგრძლივეს კონტრაქტები, ამაზე დასაბუთებული პასუხი ვერ მივიღე და ჩავთვალე, დარჩენის მორალური უფლება არ მქონდა. წამოსვლა ვამჯობინე, თანაც, ყოველგვარი ხმაურის გარეშე".

"გურიას" სიახლეებზე კი ლანჩხუთელთა კლუბის დირექტორი **კობა მირზაშვილი** გველაპარაკა: "დიახ, სამწუხაროა, რომ ლორიამ დაგვტოვა. მის ნაცვლად, მთავარ მწვრთნელად გამოცდილი დავით მახარაძე დავნიშნეთ, რომელიც სამწვრთნელო შტაბს აყალიბებს. გუნდი გრიგოლეთში ემზადება და შარშანდელი შემადგენლობიდან რამდენიმე მოთამაშე დავაბრუნეთ. მაგალითად, მეკარეები ძაძამია, გოგუაძე, ნინახაზელები - თოდუა, შენგელია, შალამბერიძე, ჩასემი, ჯანგიძე, კუკულაძე, ჭეიშვილი, კვერენჩხილაძე. ცვლილებებზე კიდევ ვფიქრობთ და იმედია, რომ "გურია" უმაღლეს ლიგაში ღირსეულად წარდგება".

ახლა მთავარზე. მირზაშვილის თქმით, კლუბს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა გაუჩნდა: "ეს საკითხი გვარდება და იმედია, მალე სპონსორიც დაგვეხმარება. ახლა დოკუმენტაციას ვაწესრიგებთ, რომ მასთან ხელშეკრულება გავაფორმოთ. სანამ ხელს არ მოვაწერთ, კომპანიის სახელს ვერ დავასახელებ, მაგრამ ეს კი შემიძლია გითხრათ – "გურიას" სპონსორი რომ ეყოლება, ეს ამბავი 80 პროცენტით არის გადაწყვეტილი და წესით, ფინანსური პრობლემებმა აღარ უნდა შეგვაწუხოს".

შეგახსენებთ, რომ **დავით მახარაძე** დასრულებული ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპზე ფოთის „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ, მაგრამ ნოემბრის დასაწყისში გუნდი დატოვა. იმ დროისთვის, ფოთელებს ერთი თამაშიც არ მოეგოთ. თუმცა მიზეზი არა მხარაძის დაბალი კვალიფიკაცია, არამედ, "კოლხეთის" გაუსაძლისი ფინანსური პრობლემები იყო, რომლის ლოგიკური შედეგიც კოლხების უმაღლესი ლიგიდან გავარდნა იყო.




დავით მახარაძე

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი

# მამალაძე, აფაქიძე და პაჭკორია

**ეროვნული ჩემპიონატი 10 აგვისტოს იწყება, "ზუგდიდის" საქმე კი საბოლოოდ გარკვეული ჯერაც არ არის.**

დიახ, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა "ზუგდიდს" საიუბილეო XXV ეროვნული ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება დართო – საამისოდ, ალმასკომის წევრებმა სიტყვიერი გარანტია სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიიღეს, მაგრამ "ზუგდიდის" ანგარიშზე თანხა ჯერაც არ დარიცხულა. მიუხედავად ამისა, კლუბში იმედოვნებენ, რომ ეს დღე მალე დადგება.

"შეგვპირდნენ, რომ დაფინანსების საკითხზე საბოლოო პასუხი მომავალ კვირას გვეცოდინება. იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება და კლუბი სტრესული მდგომარეობიდან გამოვა," – გვითხრა „ზუგდიდის" დირექტორმა **მალხაზ ჭეჟიამ.**

შეგახსენებთ, რომ დასრულებულ სეზონში საუკეთესოთა ექვსეულში მოხვედრილი „ზუგდიდი" ივლისის შუა რიცხვებში შეიკრიბა და ადგილზე ვარჯიშობს.

მთავარი მწვრთნელის ვინაობა კვლავაც უცნობია. ჭეჟიამ მცირე ხნის წინათ კი დაადასტურა სურვილი, რომ "ზუგდიდის" მთავარ მწვრთნელად ჯერაც ინკოგნიტო ლიტველი სპეციალისტის ხილვა სურდა, მაგრამ დაფინანსების გარკვევამდე მწვრთნელის ამბავი ვერ გადაწყდება.

ამასობაში, გავრცელდა ხმები, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **ბადრი თუთბერიძე** დაინიშნა. მაგრამ ეს ხმები "ლელოსთან" თავად თუთბერიძემ უარყო და დაგვიზუსტა, რომ გუნდს მხოლოდ დროებით, მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე ავარჯიშებს.

ამასობაში, "ზუგდიდში" რამდენიმე საინტერესო სიახლეა. ჭეჟიას თქმით, გუნდს ორი მოთამაშე დაუბრუნდა: "სიახლე მხოლოდ ისაა, რომ ამჟამად ჩვენთან ვარჯიშობენ გიორგი პაჭკორია და ნიკა აფაქიძე. თუმცა ჯერ მათ კონტრაქტები არ გაუფორმებიათ და ზუსტად ვერ ვიტყვი, დარჩებიან თუ არა. ამას გარდა, ჩამოვიყვანეთ მეკარე ზურაბ მამალაძე და იმედია, ის ამ პოზიციაზე პრობლემას მოგვიგვარებს. ისე, ძირითადად, სულ ზუგდიდელები ვარჯიშობენ, დუბლებიც გვყავს. ესაა და ეს, სხვა სიახლე არ არის".



მალხაზ ჭეჟია

შეგახსენებთ, რომ "ზუგდიდის" 21 წლის მცველი **ნიკა აფაქიძე** ივნისში პოლონეთის ექსტრაკლასას ლოძის "ვიძევში" ისინჯებოდა, შემდეგ კი ბედი უკრაინაში სცადა, მაგრამ საბოლოოდ, სამშობლოში დაბრუნება მოუხდა. აფაქიძეს არაერთხელ უთამაშია საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში და დღესაც ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატია.

**მერაბ მამულაშვილი**

სიონი

# გამარჯვება პირველ სპარინგში



გიორგი კიკნაძე

ბოლნისის "სიონმა" პირველი მოსამზადებელი ეტაპი, რომელსაც დუშეთში ატარებდა, დაასრულა და ვარჯიშს ბოლნისში განაგრძობს. დუშეთში ქვემოქართლელთა ახალმა თავკაცმა **გიორგი კიკნაძემ** გუნდი ფიზიკურად მოამზადა, ბოლნისში კი ფეხბურთელები ბურთითაც ივარჯიშებენ.

"სიონმა" პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. ბოლნისელთა მეტოქე პირველი ლიგის ბინადარი "გაგრა" იყო. კიკნაძის გუნდმა შეხვედრა 2:1 მოიგო.

მე-20 წუთზე პენალტით ანგარიში **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** გახსნა, 43-ეზე კი ასევე თერთმეტმეტრიანით წონასწორობა "გაგრას" ნიგერიელმა ფორვარდმა **ჯონ ჯერემიამ** აღადგინა. "სიონმა" გამარჯვების გოლიც პენალტით გაიტანა – 77-ე წუთზე თავი **კოკა მიკუჩაძემ** გამოიჩინა.

"სიონი": **მერლანი, ტვილდიანი, სვანიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე, გოგობერიშვილი, განუგრავა, პარუნაშვილი, იოსელიანი, ბიბილეიშვილი, კრისტიან ობინა.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ბათიაშვილი, თოთაძე, ჯოჯუა, ახვლედიანი, ლ. ჩხეტიანი, მიკუჩაძე, უგულავა, ლობჟანიძე.**

"გაგრა": **ბეგაშვილი, ხარაბაძე, გადრანი, ფიფია, ზ. ქარდავა, მაგრაქველიძე (ცაწკრიალაშვილი), ფალავანდიშვილი, ტეიდი, ყიშკარიანი, ჭკუასელი, ჯერემია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეტალურგი

# მარცხი სამსუნთან



თურქულ შეკრებაზე მყოფმა "მეტალურგმა" პირველი ამხანაგური მატჩი ადგილობრივ "სამსუნსფორთან" გამართა და 0:2 დამარცხდა. თურქებმა ტაიმში თითო გოლი გაიტანეს.

"მეტალურგმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ბედიაშვილი, სუხიაშვილი, მახვილაძე (75. მაისაშვილი), გავაშელიშვილი (46. კაკუბავა), ჯაფარიძე (46. ორბელაძე), რაზმაძე (46. ქავთარაძე), გურეშიძე (60. დობროვოლსკი), გეწაძე (46. საჯაია), კირკიტაძე (75. ხაბელაშვილმა), კორლალიძე (75. ვასაძე), ფიფია (60. სიხარულიძე).**

23 ივლისს **გელა ხანაიას** გუნდი "ორდუსფორთან" ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონის უქმეები



ჯანო ანანიძე კრასნოდართნაც შეცვლაძე შეიყვანეს

# გოლები მხოლოდ ამხანაგურში

რუსეთის პრემიერლიგის მეორე ტურში "როსტოვმა" "კრასნოდარს" უმასპინძლა და დაუზავდა – 2:2. **ჯანო ანანიძე** როსტოველთა შემადგენლობაში 67-ე წუთზე გამოჩნდა. ამ დროისთვის "როსტოვი" 2:1-ს იგებდა.

ყაზანის "რუბინმა" სანკტ-პეტერბურგის "ზენიტს" უმასპინძლა და 2:1 სძლია. **საბა კვირკველია** მასპინძელთა თადარიგში იყო. დღეს **ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **გია გრიგალავას** "ვოლგა" მოსკოვის ცსკა-ს ესტუმრება.

უკრაინის პრემიერლიგაში "ილიჩევეცმა" "დნიპროს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. **თორნიკე ოქრიაშვილმა** მარიუპოლელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა, მისმა თანაგუნდელმა **დავით თარგამაძემ** კი მოედანზე მეორე ტაიმი გაატარა. "დნიპროში" **ჯაბა კანკავამ** სრულად ითამაშა, ხოლო **ალექსანდრე კობახიძე** სათადარიგო იყო.

დაიწყო პოლონეთის ჩემპიონატი, რომლის პირველ ტურშიც ჩემპიონმა "ლეგიამ" "ვიძევი" მიიღო და 5:1 გაანადგურა. **ვლადიმერ დვალიშვილი** "ლეგიას" სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ვიძეველი **ნიკა ძალამიძე** კი კვლავ ტრავმირებულია.

დანიის სუპერლიგის პირველ ტურში "ორჰუსი" შინ 0:2 დამარცხდა "მიდტიულანდთან". "ორჰუსის" შემადგენლობაში ქართველთაგან მხოლოდ **დავით სხირტლაძემ** ითამაშა, რომელიც მოედანზე 41-ე წუთზე შევიდა.

ნარუმატებელ ასპარეზობას განაგრძობს "ინტერ ტურკუ". **ირაკლი სირბილაძის** გუნდი გასვლაზე "ივასკილასთან" 0:2 დამარცხდა, ქართველმა ფორვარდმა კი სრულად ითამაშა.

იტალიის სერია B-ს ბინადარმა "ემპოლიმ" საკონტროლო მატჩში 12:0 გაანადგურა ქვედალიგელი "მონტელუპო". **ლევან მჭედლიძე** "ემპოლის" ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 33-ე წუთზე შეცვალეს, მისი თანაგუნდელი **ირაკლი შეყილაძე** კი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო და ჰეთ-თრიქი შეასრულა.

ჩემპიონთა ლიგაზე თბილისის "დინამოს" მეტოქემ, ბუქარესტის "სტიაუამ", რუმინეთის ჩემპიონატის პირველ ტურში "ჩაჰლაულს" უმასპინძლა და 2:1 სძლია. "სტიაუამ" პირველი ტაიმი **პოპასა** და **გეორგიევსკის** გოლებით 2:0 მოიგო. **ლაურენტიუ რეგეკამპფის** გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ტატარუსანუ, გარდოში, შუკალა, გეორგიევსკი, ლატოვლევიჩი, ბურჩიანუ, პინტილი (44. იანგუ), პოპა, ტანასე (61. რადუცი), სტანჩუ (46. პრეპელიტა), ნიკოლიჩი.**

ლევან ჯანეზაშვილი

# საბა კვირკველია დაფასდა

გერმანულმა ვებგვერდმა "ტრანსფერმარკტმა" **საბა კვირკველიას** შეფასება საგრძნობლად გაზარდა.

21 წლის ცენტრალური მცველი ნიჟნეკამსკის "ნეფტეხიმიკიდან" ყაზანის "რუბინში" წლეულს, იანვარში დაბრუნდა. კვირკველია რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი ამბიციური კლუბის ძირითადში მოხვედრას ახლა ცდილობს. მართალია, დასრულებულ სეზონში "რუბინში" სულ 3 შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ წლეულს მოსამზადებელ ეტაპზე შემადგენლობაში ხშირად ხვდებოდა და საერთოდაც, რუსული პრემიერლიგის გუნდის წევრობა, პლუს ეროვნული ნაკრების კანდიდატობა ამ ასაკის მოთამაშისთვის ბევრს ნიშნავს.

"ტრანსფერმარკტმა" კვირკველიას შეფასება 600 ათას ევრომდე გაზარდა. არადა, შარშან ამ დროს, სააგენტო საბას ტრანსფერის სავარაუდო ღირებულებად 300 ათას ევროს ასახელებდა.

მერაბ მამულაშვილი



საბა კვირკველია

# ერთი იდეოლოგია გვქონდა

## აქცენტი გუნდურ თამაშზე გადავიტანეთ



გია გეგუჩაძე

*ამ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა ჩვენთვის ევროტურნირებია. ქართული გუნდი ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ გავიდა - 2004 წელს ეს „დინამო თბილისმა" მოახერხა, მას შემდეგ, რაც უეფას თასზე სამი ეტაპი გადალახა.*

*მაშინ „დინამოს" გია გეგუჩაძე თავკაცობდა, რომელმაც 2003-04 წლების სეზონის ბოლოს ჩაიბარა გუნდი და საქართველოს თასი მოაპოვებინა.*

*გეგუჩაძე მაშინ რისკზე წავიდა, ივო შუშაკის „დინამოს" რამდენიმე წამყვან ფეხბურთელზე უარი თქვა, სხვანაირად ააწყო გუნდი და შედეგიც დადო.*

*ერთი სიტყვით, 2004 წლის ამბებს თვითონ გეგუჩაძე იხსენებს.*

საქმეს რომ მოვკიდე ხელი, ასე დავიწყე - საგრძნობლად გადავახალისე გუნდის შემადგენლობა, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გადმოვიყვანე „დინამოს" მეორე გუნდიდან, პირველი გუნდის რამდენიმე მოთამაშემ კი დატოვა „დინამო". დავაწინაურე ის ფეხბურთელებიც, ვინც მანამდე მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ და ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებად არ მოიაზრებოდნენ - ამ ყველაფერმა გაამართლა.

სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში ორ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა და საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეებს ვეთამაშეთ - ესეც ძალიან გამოგვადგა, დავინახეთ ჩვენი ძლერი და სუსტი მხარეები, დავაკვირდით ფეხბურთელებს, წავიწიეთ გუნდის შეთამაშების მხრივ, ანუ ნაბიჯი წინ გადავდგით.

რა თქმა უნდა, როცა გუნდში მწვრთნელთა ცვლა ხდება, ახალი მწვრთნელი განსხვავებულ სტილს ირჩევს, ასე იყო მაშინაც. აქცენტი გუნდურ თამაშზე გადავიტანე. ცხადია, ძალიან კარგია, როცა მაღალი დონის ფეხბურთელები გყავს გუნდში, მაგრამ ეს ფაქტორი პირველ რიგში გუნდის ინტერესებს უნდა ემორჩილებოდეს - ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია. ინდივიდუალური ოსტატობა თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნების ჩარჩოში უნდა იყოს მოქცეული. სწრაფი თამაში, მეტოქისთვის სივრცის შეზღუდვა, შენთვის კი შექმნა - ეს ელემენტარული აუცილებლობაა. მაშინ მოვახერხეთ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების შერწყმა. გვყავდა **გიორგი ნემსაძე, დავით ჭიჭველიშვილი, ლევან სილაგაძე,** ახალგაზრდებიდან **შოთა გრიგალაშვილი, ჯაბა დვალი, კახა მახარაძე, ჯაბა კანკავა, კახა ალდაშვილი...** სათადარიგოებიდან პირველ გუნდში დავაწინაურეთ **ლევან მელქაძე, მიხეილ კაკალაძე, ილია კანდელაკი.** ამ ყველაფერ ამაზე ჩამოყალიბებული პოზიცია წინასწარ გვქონდა. იყო გამართლების ფაქტორიც, თუმცა უეფას თასის ჯგუფში რომ გავედით, ეს მიზანმიმართული მუშაობის შედეგი იყო.

„დინამოს" მმართველი დირექტორი მაშინ **დავით პეტრიაშვილი** გახლდათ, სპორტული დირექტორი კი **კახა ჭუმბურიძე** - ჩვენ ერთი იდეოლოგია გვქონდა, ერთად განვახორციელეთ ცვლილებები და რომ არა ამ ორი ადამიანის მხარდაჭერა, შედეგს ვერ მივაღწევდით.

პირველი მეტოქე ბორისოვის „ბატე" იყო. პირველი მატჩი სტუმრად გვქონდა, პირველი ტაიმის დასაწყისში ორი გოლი გავუშვით, ტაიმის ბოლოს კი ერთი ბურთის გაქვითვა მოვახერხეთ, მეორე ტაიმი უკვე ჩვენი ინიციატივით წარიმართა და 3:2 გავიმარჯვეთ, თბილისში კი ბელარუსები 1:0 დავამარცხეთ.

მერე იყო ჩეხური „სლავია", სტუმრად 1:3 წავაგეთ, შინ 2:0 გავიმარჯვეთ და უკვე ძალიან სერიოზულ მეტოქეს გადავეწყდით - პოლონურ „ვისლას", რომელმაც იმავე სეზონის დასაწყისში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე „ვიტ ჯორჯია" დაამარცხა 8:2 და 3:0. ეტყობა, პოლონელებმა სათანადოდ ვერ შეგვაფასეს და ესეც ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენეთ. სტუმრად 3:4 წავაგეთ, შინ 2:1 მოვიგეთ და უეფას თასის ჯგუფშიც გავედით. ალბათ გახსოვთ, თუ რა სერიოზული თავდასხმა ჰყავდა მაშინ „ვისლას" - **მაცეი ჟურავსკი** და **ტომაშ ფრანკოვსკი.**

მაშინ ახალგაზრდა მწვრთნელი ვიყავი და მეტი შემართება მქონდა, გამოცდილება კი - ნაკლები. ამ სამივე მატჩს რომ ჩავუღრმავდი, აღმოჩნდა, რომ შეხვედრის 60-72-ე წუთებზე გვქონდა ჩავარდნა, რაც კვლევის საგანი გახდა. ფიზმომზადება, ფარმაკოლოგია, სამწვრთნელო პროცესი - ეს განაპირობებდა ამ პრობლემას და ცვლილებების შეტანაც მოგვიხდა ამ მიმართულებებით.



ვისლას თბილისში ერთი გოლი მიხეილ კაკალაძემ (ბურთით) გაუტანა

გუნდში ისეთი გამოცდილი და კლასიანი ფეხბურთელის ყოლა, როგორიც ნემსაძე გახლდათ, ჩვენთვის იმედიც იყო და დასაყრდენიც. რაც შეეხება ახალგაზრდებს, გული მწყდება, კანკავამ, გრიგალაშვილმა და მახარაძემ გაცილებით მეტს რომ ვერ მიაღწიეს, ალბათ, თვითონაც დაუშვეს გარკვეული შეცდომები.

2004 წელს უეფას თასის გათამაშების ფორმატი ისე შეიცვალა, რომ ჯგუფში ხუთი გუნდი იყო, ორს შინ ვეთამაშეთ, ორს კი გასვლაზე. თბილისში წავაგეთ ფრანგულ „სოშოსთან", მერე პორტუგალიურ „სპორტინგთან" და გამოჩნდა, რომ კლასით ის გუნდები ჩვენზე გაცილებით მაღლა იდგნენ. ნიუკასლში 0:2 დავმარცხდით, თუმცა ბევრჯერ გადავურჩით უფრო მეტ გოლს. **ალან შირერი, პატრიკ კლიუვერტი, კრეიგ ბელამი** - ასეთ ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ვეთამაშეთ. გამოცდილება როცა არ გყოფნის, ფსიქოლოგიური ტვირთი უფრო მძიმე ხდება, ფსიქოლოგია კი ძალიან ბევრ რამეს განაპირობებს. მაშინდელი, 2004 წლის „დინამო" მოსამზადებელი ეტაპი იყო მომდევნო სეზონისთვის, როცა ფსიქოლოგიურ ტვირთი უკვე მნიშვნელოვნად შემსუბუქდებოდა, მაგრამ გუნდიდან გამიშვეს და საერთოდ „დინამოში" ბევრი რამ შეიცვალა.

რაც შეეხება წლევანდელ ევროსარბიელს, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ყველა ქართულ გუნდს აქვს, შეუძლებელი არაფერი არ არის, ეს ითქმის საჩხერის „ჩიხურაზეც". ევროტურნირების ფორმატი ახლა ისეთნაირად არის შეცვლილი, რომ ქართულ გუნდებს მეტი შანსი აქვთ, ევროსარბიელზე რაც შეიძლება წინ რომ წავიდნენ.

„დინამოს" მეტოქე სავარაუდოდ „სტიაუა" იქნება და დარწმუნებული ვარ, რომ დინამოელებს შეუძლიათ ამ გუნდთან წარმატების მიღწევა. როცა „ზესტაფონის" მწვრთნელი ვიყავი, სამი წლის წინათ „სტიაუსთან" 1:1 ვითამაშეთ. „სტიაუა" ისე აღარ ქუხს, როგორც ადრე, თუმცა ახლაც ჰყავს ძლიერი ფეხბურთელები და მაქსიმალური კონცენტრაცია თუ იქნება, ამ ბარიერის გადალახვა შეიძლება.

„დილას" კარგი თამაში სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რადგან ცოტა დრო ჰქონდა ახალი გუნდის შესათამაშებლად. ამ ეტაპზე ქართული გუნდებიდან ყველაზე შინაარსიანი თამაში „დილამ" შემოგვთავაზა. „ჩიხურას" საქმე რთულადაა, თუმცა უშანსოდ ნამდვილად არ არის შვეიცარიულ „თუნთან".

2004 წელს „დინამო" რომ მოხვდა უეფას თასის ჯგუფში, სამწუხაროდ, ამას არ მოჰყოლია გამოცოცხლება და აჟიოტაჟი, პირიქით, ამას მოჰყვა ჩავარდნა ქართულ საკლუბო ფეხბურთში, რაც ლოგიკაში არანაირად არ ჯდებოდა. ახლა კი ისეთი რწმენა მაქვს, რომ თუ ქართული გუნდი გავა ევროტურნირის ჯგუფში, მეტი დაფინანსება და ყურადღება ექნება ჩვენს საკლუბო ფეხბურთს.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# იუნაიტედის ტოპსამიზნე

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** აღიარებს, რომ მისთვის სეზონის დაწყებამდე პრიორიტეტული ამოცანა უმაღლესი კლასის ნახევარმცველის შეძენაა. „ეშმაკებს" თავდაპირველად „ბარსადან" **ტიაგო ალკანტარას** ყიდვა სურდათ, მაგრამ 21 წლის ნახევარმცველმა მიუნხენის „ბაიერნს" მიაშურა. ბოლო რამდენიმე დღეა, ბრიტანული პრესა უკვე **გარეთ ბეილსა** და **სესკ ფაბრეგასზე** ალაპარაკდა. „ვფიქრობთ, რომ გუნდს ძლიერი ნახევარმცველი სჭირდება. ისეთი ფეხბურთელის ყიდვა გვინდა, რომელსაც შეეძლება დიდი გავლენა იქონიოს გუნდზე. გვესმის, რომ მიზნის მიღწევა ძალიან რთული იქნება, თუმცა მოთამაშეს, ვისაც სერიოზული ამბიციები აქვს, „ოლდ ტრეფორდზე" თამაშის პერსპექტივა უნდა ხიბლავდეს," - განუცხადა მოიესმა „სქაი სპორტსს".

ორმაგი შეთავაზება ფაბრეგასს

„მანჩესტერ იუნაიტედი" მზად არის, სესკ ფაბრეგასს ამჟამინდელი ხელფასი (115 ათასი ევრო კვირაში) გაუორმაგოს და პრაქტიკულად გარანტია მისცეს იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება. მწირი სათამაშო პრაქტიკა, აი, პრობლემა, რომელიც 26 წლის ესპანელს „კამპ ნოუზე" ყველაზე მეტად აწუხებს. „წითელი ეშმაკები" „ბარსელონას" 30 მილიონ ფუნტსა (საკლუბო რეკორდი) და, ფეხბურთელის



ოლდ ტრეფორდზე ცვლილების მოლოდინში: ფაბრეგასს ელიან, რუნის კი უკანმოუხედავად გაქცევა სურს

წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში, დამატებით რამდენიმე მილიონს სთავაზობენ ბონუსების სახით. „იუნაიტედში" სერიოზულად არიან განწყობილნი საქმის ბოლომდე მისაყვანად. „ბარსელონამ" ოფიციალური შეთავაზება უკვე მიიღო. რთულია წინასწარ რაიმეს თქმა, თუმცა ფაქტია, რომ „ოლდ ტრეფორდზე" სესკს უზარმაზარი ხელფასის გადახდას ჰპირდებიან. არ მგონია, გარიგებაში ეს გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს, მაგრამ ინგლისელებს ამისი დიდი იმედი აქვთ," - აცხადებს გაზეთ „მირორის" „ინფორმირებული წყარო".

ჩელსი დანებებას არ აპირებს

მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ **უეინ რუნი** არ იყიდება, მაგრამ „ჩელსი" დანებებას არ აპირებს. ლონდონელებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტს ტრანსფერზე დაითანხმებენ. „ეშმაკებმა" „ჩელსის" პირველი წინადადების განხილვა არ ისურვეს. ამჯერად შეთავაზება უფრო სოლიდურია. ლაპარაკია 27 წლის თავდამსხმელში 40 მილიონი ფუნტის გადახდაზე. **ჟოზე მოურინიოს** სიჯიუტის ამბავი ყველასთვის ცნობილია. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე პორტუგალიელს მხოლოდ ერთი ფეხბურთელის დამატება სურს. საკითხი ასე დგას: რუნი ან არავინ.

ლივერპული

# სუარესი შეკრებას შეუერთდა

კონფედერაციათა თასზე მონაწილეობის გამო **ლუის სუარესს** შვებულება თანაგუნდელებს შორის ყველაზე გვიან დაუმთავრდა. „ლივერპულ ექოს" ცნობით, გეგმის თანახმად, ფეხბურთელი მელბურნში ადგილობრივი დროით გამთენიას ჩავიდა და უმალვე დაუკავშირდა კლუბის ხელმძღვანელობას. ავსტრალიაში ის გუნდის შეკრებას შეუერთდა. „ლივერპულის" სრული დელეგაცია „მწვანე კონტინენტს" მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ ესტუმრა. ასე რომ, შეთქმულების თეორეტიკოსთა ვერსია, რომ 26 წლის ურუგვაელი განგებ დაიგვიანებდა, რათა საკუთარი ტრანსფერი კიდევ უფრო დაეჩქარებინა, არ გამართლდა.

ფეხბურთელი, მისი აგენტი და „ლივერპულის" წარმომადგენლები ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ, სადაც საბოლოოდ გაირკვევა, თუ რა პრეტენზიები აქვთ მხარეებს და რას ელიან ერთმანეთისგან. პრესის საშუალებით ხომ სუარესის მომავალზე დიდი ხანია ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. „მოუთმენლად ველოდები მასთან პირისპირ შეხვედრას. ყოველთვის მისი ერთგული მხარდამჭერი ვიყავი და ამ მხრივ არც არაფერი შეცვლილა. მესმის ის სიტუაცია, რომელშიც სამხრეთამერიკელი იმყოფება, მაგრამ ჩვენ მასთან კონტრაქტი გვაკავშირებს, რომლის თანახმადაც ლუისი ყოველი თვის ბოლო საბანკო ანგარიშზე სოლიდურ თანხას იღებს. ამიტომ ის ვალდებული იყო, ავსტრალიაში ჩამოსულიყო," - ბრძანა **ბრენდან როჯერსმა**.




ლუის სუარესი „ლივერპულის" ხელმძღვანელობას ავსტრალიაში უახლოეს დღეებში შეხვდება

კრისტალ პალასი

# ლეგენდა ერთი წლით დარჩა

**კევინ ფილიპსზე**, როგორც ნიჭიერ თავდამსხმელზე ჯერ კიდევ 1999/2000 წლების სეზონში ალაპარაკდნენ. მაშინ „სანდერლენდის" დებიუტანტმა თავდამსხმელმა 30 გოლი გაიტანა. **სვენ გორან ერიქსონმა** კევინს ინგლისის ნაკრებში ჯერ კიდევ იქამდე უხმო, ვიდრე ის ელიტურ ლიგაში გამოცდიდა საკუთარ ძალებს. ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მან მალევე დაკარგა ადგილი ეროვნულ გუნდში. სულ „სამი ლომის" რიგებში ფილიპსმა 8 თამაში ჩაატარა (უკანასკნელად 2002 წლის 13 თებერვალს ჰოლანდიასთან) და გოლი არ გაუტანია. 25 ივლისს მას 40 წელი უსრულდება. პრემიერლიგის მოქმედ ფეხბურთელებში მასზე უფროსები არიან მხოლოდ **მარკ შვარცერი** - 40 წლის (ჩელსი), **ბრედ ფრიდელი** - 42 (ტოტენჰემი), მაგრამ ისინი მეკარეები არიან.

კიდევ ერთი რამის აღნიშვნა შეიძლება: მიუხედავად საპატიო ასაკისა, ფილიპსს მთელი 3,5 წელიწადი აკლია ინგლისის ჩემპიონატის ყველა დროის რეკორდამდე. 1995 წლის 14 მაისს ქუინზპარკელი **ჯონ ბარიჯი** „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრისას 43 წლისა და 162 დღისა გახლდათ.

„კრისტალ პალასმა" ვეტერანს 1-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მართალია, კევინმა „სელჰარსტ პარკზე" წინა სეზონში მხოლოდ რამდენიმე თვე გაატარა (იჯარით „ბლექპულიდან"), თუმცა გულშემატკივრებს თავი მაინც დაახსომა. ვეტერანმა ექვსი გოლის გატანა მოახერხა. ივნისში ის თავისუფალი აგენტი გახდა. ლონდონელები დიდხანს ფიქრობდნენ, შეეთავაზებინათ თუ არა ფეხბურთელისთვის ახალი ხელშეკრულება. საბოლოოდ ყველაფერი ჩვენი გმირისთვის სასიკეთოდ დასრულდა. ფილიპსს მხოლოდ პრემიერლიგაში 259 შეხვედრაში 94 გოლი აქვს გატანილი. თუკი იან ჰოლოვეი წყალობის თვალით გადახედავს, მას თავისუფლად შეუძლია ეს რიცხვი 100-ს გადააცილოს.




ინგლისური ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანი კევინ ფილიპსი

ამბები

## ბებეს პოლიცია ეძებს



ბებე

13 ივლისს „მანჩესტერ იუნაიტედის" 22 წლის პორტუგალიელ თავდამსხმელ ბებეს ე.წ. ვალის ამკრეფები „კერინგტონის" ბაზაზე მიადგნენ და მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი დილას იქ იმყოფებოდა, მას ვერავინ მიაგნო. „ეშმაკებში" ახლა სულ სხვა პრობლემა დგას დღის წესრიგში, თუმცა, როგორც ჩანს, ბებეს თავის ტკივილი ყველასგან განსხვავდება. „იუნაიტედის" ბაზაზე სტუმარი უცხო მოვლენა არ არის, თუმცა მსგავსი რამ აქამდე ჯერ არ მომხდარა. ბაზის დაცვამ თავდაპირველად უარი თქვა შიდა ტერიტორიაზე ამ პიროვნებების დაშვებაზე, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისინი უკან დაბრუნდნენ და ამჯერად უკვე პოლიციელების თანხლებით და როგორც ზემოთ გითხარით, პორტუგალიელის ნახვა მაინც ვერ მოახერხეს.

## ბონი ვიზას ელოდება

„სუონსიმ" „ვიტესიდან" 12 მილიონ ფუნტად **ვილფრიდ ბონის** გადაბირება რამდენიმე დღის წინ გვამცნო. ფეხბურთელს „გედების" შემადგენლობაში ვარჯიშის უფლება აქამდე არ ეძლევა. მიზეზი ბიუროკრატიული პრობლემებია. ბრიტანეთის შრომის სამინისტროს ივუარელზე შრომითი ვიზა ჯერ არ გაუცია.

„სუონსი" უკვე მუშაობს ბონის პრობლემების აღმოსაფხვრელად. ის ჯერ კიდევ ჰოლანდიაშია და ყოფილ კლუბთან ერთად ვარჯიშობს, რისი უფლებაც ჩვენ მას საგანგებოდ მივეცით. დაუშვებელი იყო, ფეხბურთელი მოსამზადებელი პერიოდისას ის უსაქმოდ მჯდარიყო. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით მუდამ, როცა ლაპარაკია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქისთვის მუშაობის უფლების მიცემაზე. იმედი მაქვს, ბონი ყველაზე გვიან ერთ კვირაში მაინც შემოგვიერთდება. ყოველ შემთხვევაში ასეთ რამეს მოვკარი ყური მენეჯმენტის წარმომადგენლებისგან," - განაცხადა „სუონსის" მთავარმა მწვრთნელმა **მიკაელ ლაუდრუპმა**.

## უარი ლივერპულს

„ჩელსიმ" „ლივერპულს" 23 წლის **რაიან ბერტრანის** ტრანსფერზე უარი უთხრა. წინადადებით ნაკლებად იყო დაინტერესებული თავად ფეხბურთელიც. ახალგაზრდა მარცხენა მცველი „ლურჯების" ძირითად გუნდში უკვე მესამე სეზონს იწყებს, მაგრამ **ეშლი კოულის** წყალობით აქამდე მხოლოდ მის დუბლიორად მიიჩნევა. სიმართლე ითქვას, დაცვის მარცხენა ფლანგზე არც „ლივერპულს" ჰყავს ცუდი ფეხბურთელი. ხოსე ენრიკე ინგლისში ერთ-ერთი საუკეთესოა. სასტარტოში ადგილს არც ის დათმობდა უბრძოლველად. ასე რომ, ბერტრანმა ალბათ ისევ ნაცნობ სკამზე ჯდომა არჩია. 2012/13 წლების სეზონში ფეხბურთელმა ჩემპიონატში 19 თამაში ჩაატარა და აქედან მხოლოდ 12 შეუცვლელად.

## სისე და ხელგაშლილი რუსები

რუსული წყაროების ცნობით, ბოლო დღეების განმავლობაში „ნიუკასლს" ერთბაშად რამდენიმე რუსული კლუბი („რუბინი", „ანჟი", „ზენიტი") დაუკავშირდა და **პაპის დემბა სისეს** ტრანსფერზე ჩამოუგდო სიტყვა. ფეხბურთელით დაინტერესებულები არიან საფრანგეთის ლიგა ერთის კლუბებიც, თუმცა რუსები მას უფრო მაღალ ხელფასს სთავაზობენ. მოგეხსენებათ, 27 წლის სენეგალელი რელიგიური მოსაზრებების გამო უარს ამბობს „კაჭკაჭების" ამჟამინდელი ტექნიკური სპონსორის, საფინანსო კომპანია ჭონგა-ს ლოგოთი დამშვენებული მაისურის ჩაცმაზე. მოლაპარაკებების მიუხედავად, ხელმძღვანელობამ მოთამაშესთან კომპრომისს ვერ მიაღწია. სისე უკანდახევაზე უარს არის. ერთადერთი გამოსავალი ასეთ სიტუაციაში ფეხბურთელის თავიდან მოშორებაა.



პაპის დემბა სისე

## ჩემპიონატის ფავორიტები

ბრიტანეთში ყველაზე ავტორიტეტულ საბუკმეიკერო კანტორად „უილიამ ჰილი" ითვლება. კომპანიამ უკვე გამოაქვეყნა 2013/14 წლების პრემიერლიგის ფავორიტების მისეული ვარიანტი, სადაც პირველ ადგილზე „ჩელსია". ფსონი ჟოზე მოურინიოს გუნდის გამარჯვებაზე 2/1-ზე მიიღება, მას კვალში უდგანან მანჩესტერული გრანდები „იუნაიტედი" და „სიტი" - 9/4-იანი ფსონით, მეოთხე ადგილზეა „არსენალი" - 10/0-ით, შემდეგ „ლივერპული" - 20/1-ზე. ფავორიტებს შორის ბოლო ადგილზეა „ტოტენჰემი" - 33/1-ზე. მთლად უკანასკნელ ადგილზე კი რატომღაც „ნიუკასლი" დგას - 1001/1-ზე.

## სორენსენი ახალ კლუბს ეძებს



ტომას სორენსენი

37 წლის დანიელი გოლკიპერი **ტომას სორენსენი** ახალ კლუბს ეძებს, სადაც ძირითადში დამკვიდრების შანსი მიეცემა. ის ინგლისში უკვე მე-16 სეზონის ჩასატარებლად ემზადება, თუმცა ხვდება, რომ **მარკ ჰიუზის** გუნდში მისი ადგილი არ მოიძებნება. „სტოკის" ძირითადში პრემიერლიგის ალბათ საუკეთესო გოლკიპერი **ასმირ ბეგოვიჩი** თამაშობს, ახალი სეზონიდან კი მისი კონკურენტი (უფრო დუბლიორი ვიდრე კონკურენტი) ინგლისის ნაკრების წევრი **ჯეკ ბატლენდი** იქნება. ასე რომ, გასაკვირი არაფერია. „თუკი რაიმე საინტერესო წინადადება მექნება, აუცილებლად შევისწავლი. ამ ეტაპზე კი კონკრეტული არაფერია. არ ვამტკიცებ, რომ წასვლა თვითმიზანია, თუმცა მაინც უამრავი ფაქტორის გათვალისწინება მომიწევს. იქამდე კი მოცდა მომიწევს," - განაცხადა ვეტერანმა დანიელმა, ვისაც „სტოკთან" ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ბარსელონა. სამწვრთნელო საკითხი



ტიტო ვილანოვას ისევ მკურნალობა მოუწევს

# ვინ შეცვლის ტიტოს?

## ვილანოვას გამოსათხოვარი წერილი

**„ბარსელონას“ ოფიციალურმა საიტმა გამოაქვეყნა ტიტო ვილანოვას წერილი, რომელშიც „ბარსას“ უკვე ყოფილი დამრიგებელი კლუბს მხარდამჭერისთვის მადლობას უხდის და მომავალში წარმატებას უსურვებს...**

*„დიდი მადლობა „ბარსა“, დიდი მადლობა ყველას.*

*აქ გატარებული ხუთი საოცარი წლის შემდეგ, რომლის დროსაც მე ვიყავი იმ გუნდის ნაწილი, სადაც ყოფნას ყველა მწვრთნელი ინატრებდა, ჩემს პროფესიულ კარიერაში ცვლილებების დრო მოვიდა. ახლა, მთელი ჩემი ძალა და ენერგია იმ დაავადების წინააღმდეგ უნდა მივმართო, რომლის დიაგნოზიც წელიწადნახევრის წინ დაისვა.*

*ექიმების აზრით, მკურნალობის პროცესში არ მომეცემა იმის საშუალება, რომ მთავარი მწვრთნელის მოვალეობებზე კონცენტრირება ასი პროცენტით მოვახერხო. მიუხედავად ამისა, მე მზად ვარ, რომ იმ კლუბში, რომელიც ასე მიყვარს, მუშაობა სხვა მიმართულებით გავაგრძელო.*

*ასეთი საოცარი და განსაკუთრებული ადამიანების დატოვება იოლი არაა. ფეხბურთელები, სამწვრთნელო შტაბის წევრები და მეგობრები, რომელთან ერთადაც დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს - მადლიერი ვარ იმის გამო, რაც მათ ამ წლებში ჩემთვის გააკეთეს. ამ გუნდის ადამიანური და საფეხბურთო რესურსი იმდენად დიდია, რომ ის ყველა წინააღმდეგობას გადალახავს და მიაღწევს წარმატებას იმ სეზონში, რომლისგანაც ყველა ბევრს ელის.*

*მინდა მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს, დირექტორთა საბჭოს და სპორტულ დირექტორ ანდონი სუბისარეტას - ეს ადამიანები ბოლომდე მენდობოდნენ და მუდამ მხარს მიჭერდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ადამიანური და სამედიცინო მხარდაჭერა, რომელსაც ექიმ რამონ კანალისგან ვგრძნობდი. მე ვიცი, რომ ამ მატჩში მარტო არ ვთამაშობ, არამედ ვარ იმ კლუბის წევრი, რომელიც ამ ხანგრძლივი პროცესის დაძლევაში ისევე დამეხმარება, როგორც აქამდე მეხმარებოდა.*

*„ბარსას“ სოსიოებს და გულშემატკივრებს მინდა მადლობა გადავუხადოთ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც თქვენგან არა მარტო ახლა, არამედ ბოლო თვეების განმავლობაში ვიღებდი. მინდა გითხრათ, რომ თავს მშვიდად ვგრძნობ, მკურნალობის პროცესის ახალ ეტაპს თავდაჯერებული ვხვდები და დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.*

*დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს, კოლეგებს, კლუბებს, სპორტსმენებს, იმ ხალხს ვისაც ვიცნობ და ვისაც არ ვიცნობ. მადლობა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.*

*ჩემი მეგობრებისთვის და ოჯახის წევრებისთვის საკმაოდ რთული პერიოდი დგას და ამიტომ, მედიის წარმომადგენლებს ვთხოვ, რომ პირადულ საკითხებს და პირად ცხოვრებას პატივი სცენ. ახლა, როდესაც „ბარსელონას“ მწვრთნელი აღარ ვარ, იმედი მაქვს, რომ მშვიდად ცხოვრების საშუალება მექნება. ამ სიტუაციაში, მეც და ჩემს ოჯახსაც სიმშვიდე ყველაზე მეტად გვჭირდება.*

*წერილს ისე ვერ დავასრულებდი, რომ მსოფლიოში საუკეთესო კლუბის ახალი მწვრთნელისთვის იღბალი და წარმატებები არ მესურვა.*

*დიდი მადლობა“.*

ტიტო ვილანოვა

### გვარდიოლა: მე მიყვარს ტიტო

მიუნხენის „ბაიერნმა“ ამხანაგურ შეხვედრაში „ჰამბურგს“ 4:0 მოუგო და მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა **ხოსეპ გვარდიოლას ტიტო ვილანოვას** შესახებაც ჰკითხეს:

*„ამ საკითხზე გერმანულად საუბარი ჩემთვის ძალიან რთულია. ტიტო ჩემი მეგობარია და მე ის ძალიან მიყვარს,“* - განაცხადა პეპმა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, გვარდიოლას და ვილანოვას 27-წლიან მეგობრობაში მცირე ბზარი გაჩნდა, მას შემდეგ, რაც ჯერ პეპმა გააკრიტიკა „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა, რასაც ტიტოს პასუხი და გვარდიოლას კრიტიკა მოჰყვა. ამის ფონზე, 24 ივლისს გასამართავი ამხანაგური მატჩი, რომელშიც „ბაიერნი“ „ბარსას“ უნდა შეხვდეს ორმაგად საინტერესო იყო, მაგრამ პეპის და ტიტოს დაპირისპირება აღარ შედგება.

ისევ გვარდიოლა: *„ტიტოს და მის ოჯახს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. მინდა, რომ ისინი ძლიერები აღმოჩნდნენ ამ რთულ სიტუაციაში“.*

„ბაიერნის“ წინააღმდეგ „ბარსელონას“ **ჟოან ფრანსესკ ფერერ სისილია**, იგივე **„რუბი“** მოამზადებს, რომელიც შარშან კატალონიური „ჟირონას“ დამრიგებელი იყო და ეს გუნდი სეგუნდა დივიზიონში მე-4 პოზიციაზე გაიყვანა, პრიმერამდე კი ერთი ნაბიჯი დააკლდა და პლეი ოფის ფინალში „ალმერიასთან“ წააგო. რუბი „ბარსაში“ ვილანოვას მოთხოვნით მიიწვიეს და **ჟორდი როურას** შემდეგ, მეორე ასისტენტის როლი ჩააბარეს.

### ვილანოვას შესაძლო შემცვლელები

ვილანოვას წასვლის შემდეგ, ესპანურ და ევროპულ პრესაში, „ბარსელონას“ მომავალ მწვრთნელზე დაიწყეს მსჯელობა.

**იუპ ჰაინკესი, რობერტო მანჩინი, ანდრე ვილაშ-ბოაში, მარსელო ბიელსა, ლუის ენრიკე, ერნესტო ვალვერდე, მიკაელ ლაუდრუპი** და **ხერარდო მარტინო** - მედიის წარმომადგენელთა თქმით, ყველა ეს სპეციალისტი „ბარსას“ მწვრთნელობის კანდიდატი იყო, თუმცა ჰაინკესის, მანჩინის და ვილაშ-ბოაშის კანდიდატურები მალე გამოირიცხა.

ამ მომენტისთვის, ორი ფავორიტია გამოკვეთილი: ვიგოს „სელტას“ დამრიგებელი ლუის ენრიკე და „ნიუელსის“ მწვრთნელი ხერარდო „ტატა“ მარტინო.

ლუის ენრიკეს „ბარსელონას“ შემადგენლობაში 109 გოლი (300 თამაშში) აქვს გატანილი. კატალონიური კლუბის გულშემატკივარს ენრიკე განსაკუთრებით უყვარს - ასტურიელმა მადრიდის „რეალში“ გატარებული 5 წლის შემდეგ (1996-ში) „ბარსელონას“ მიაშურა და „სამეფო კლუბის“ დასამცირებლად თუ გასაკრიტიკებლად შანსს არ უშვებდა ხელიდან.

43 წლის მწვრთნელი 2008-11 წლებში „ბარსელონა BII-ის“ დამრიგებელი იყო, რომელიც 2010/11 წლების სეზონში, სეგუნდაში მესამე ადგილზეც გაიყვანა. მომდევნო წელი ესპანელმა „რომაში“ გაატარა, მაგრამ წარუმატებელი სეზონის შემდეგ იტალია დატოვა, რამდენიმე კვირის წინ კი „სელტას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა.

TV3-ის ცნობით, კატალონიელები მზად არიან „სელტას“ კომპენსაციის სახით 3 მილიონი ევრო გადაუხადონ და გალისიურ კლუბს, ლუის ენრიკეს შემცვლელად, რუბიც შესთავაზონ.

მეორე მთავარი კანდიდატი კი არგენტინელი ხერარდო მარტინოა. პარაგვაის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა „ნიუელს ოლდ ბოისს“ არგენტინის ჩემპიონატი მოაგებინა, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მისი გუნდი შემტევ და ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. გარდა ამისა, „ნიუელსი“ ლიბერტადორესის თასის 1/2-ფინალში გავიდა, სადაც „ატლეტიკო მინეიროსთან“ პენალტების სერიაში წააგო.

როსარიოში დაბადებული 50 წლის სპეციალისტი **ლიონელ მესის** ფავორიტია. „პულგას“ თანამემამულის შესახებ აღმატებულ ტონში არაერთხელ უსაუბრია. „ოლეს“ ცნობით, მარტინოსთან შესახვედრად, არგენტინაში **ანდონი სუბისარეტა** უნდა გაემგზავროს.

*„აღფრთოვანებული ვარ იმ სამუშაოთი, რომელიც „ბარსელონაში“ გვარდიოლამ გასწია. თამაშის ასეთი სტილი ყველაზე მეტად მომწონს. პასი ფეხბურთის მთავარი კომპონენტია,“* - განაცხადა მარტინომ „მარკასთან“ საუბრის დროს.

ამავე გამოცემით თქმით, „სელტას“ „ბარსელონადან“ არავინ დაკავშირებია და მთავარი ფავორიტი სწორედ მარტინოა.

„ბარსელონას“ ახალი მწვრთნელის ვინაობა ამ კვირაში უნდა შევიტყოთ. არ არის გამორიცხული, ყველაფერი უკვე დღეს ან ხვალ გაირკვეს.

ტატო ბაციკაძე

ტრანსფერი

# ინტერნასიონალი სერიოზულად გაძლიერდა

ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, პორტუ ალეგრის „ინტერნასიონალი“ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. ლიბერტადორესის თასის 2-გზის გამარჯვებულმა (2006, 2010) **ალექსი** და **იგნასიო სკოკო** შეიძინა.

31 წლის ალექსი (სრული სახელი: ალექს რაფაელ მესკინი) „ალ გარაფადან“ გამოისყიდეს. მოსკოვის „სპარტაკის“ და „კორინთიანსის“ ყოფილ ნახევარმცველს „ინტერნასიონალში“ ადრეც უთამაშია - 2004-09 წლებში ნახევარმცველმა 168 შეხვედრაში 56 გოლი გაიტანა, სამჯერ მოიგო გაუჩოს (რიო გრანდე დო სულის შტატის) ჩემპიონატი, თითოჯერ კი ლიბერტადორესის თასზე, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, რეკოპა სუდამერიკანაზე და კოპა სუდამერიკანაზე იმარჯვა. ყატარულმა კლუბმა 3 მილიონი ევრო მიიღო, ალექსმა კი 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ნახევარდაცვის გარდა, ბრაზილიის 3-გზის ჩემპიონმა შეტევაც გააძლიერა. იმის გამო, რომ კლუბიდან **ლეანდრო დამიაო** მიდის, მთავარ მწვრთნელ **დუნგას** ერთი ახალი ფორვარდის ყიდვაც სურდა. **ნილმარის** და **სავიოლას** ჩაშლილი ტრანსფერების შემდეგ, ბრაზილიელებმა ყურადღება იგნასიო სკოკოსკენ გადაიტანეს და არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი შეიძინეს.

28 წლის სკოკომ ბოლო სეზონი „ნიუელს ოლდ ბოისში“ გაატარა, სადაც ემირატების „ალ აინიდან“ იყო განათხოვრებული. არგენტინელმა ფორვარდმა ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხაზე არაფერი თქმულა, თუმცა ბრაზილიელი ჟურნალისტების ცნობით „ინტერმა“ 4,5-დან 6,5 მილიონამდე გადაიხადა. სკოკოს „ინტერში“ სამი თანამემამულე დახვდება: **ანდრეს დალესანდრო, ხესუს დატოლო** და **მარიო ბოლატი.**

„ინტერნასიონალს“ ბრაზილიის ჩემპიონატი 70-იან წლებში აქვს მოგებული (1975, 1976, 1979). დუნგას მიზანი 34-წლიანი უტიტულო სვლის შეჩერებაა და ამ ტრანსფერების მერე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ინტერს“ სანუკვარი ტიტულის მოპოვების შანსი საკმაოდ გაიზარდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დალესანდრო-ალექსის მსგავსი შემტევი ნახევარმცველების დუეტი და ფორლანი-სკოკოს მსგავსი თავდასხმელი ბრაზილიაში ბევრ გუნდს ნამდვილად არ ჰყავს.

ტატო ბაციკაძე



სკოკო კარიერას ბრაზილიაში გააგრძელებს

ამბები

### სენტ ეტიენს შეტევის გაძლიერება სურს

დორტმუნდის „ბორუსიაში“ **პიერ-ემერიკ ობამეიანის** გაყიდვის შემდეგ, „სენტ ეტიენს“ მხოლოდ ორი მაღალი დონის ფორვარდი, **მაქს-ალენ გრადელი** და **ბრანდაო** დარჩა. მთავარ მწვრთნელ **კრისტოფ გალტიეს** მინიმუმ ორი თავდამსხმელი სჭირდება და „ფრანს ფუტბოლის“ ცნობით, „მწვანეები“ **ანტონი მუნიეს** და **გიომ ოაროს** შეძენას აპირებენ.

მუნიე ტექნიკური შემტევია, რომელიც უფრო ხშირად ფლანგზე ან მეორე ფორვარდის პოზიციაზე თამაშობს. 25 წლის ფორვარდი „მონპელიეში“ ირიცხება, სადაც შარშან „ნიცადან“ გადავიდა. 2012/13 წლების სეზონში ანტონის ანგარიშზე 2 გოლი და 5 საგოლე გადაცემა იყო.

გიომ ოაროს დიდი წარდგენა არ სჭირდება. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი, პსჟ-დან წასვლის შემდეგ ჩინეთში გაემგზავრა და სეზონი „დალიანში“ დაასრულა, სადაც 10 შეხვედრაში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. გალტიეს თქმით, ოაროს სამშობლოში დაბრუნება სურს და „სენტ ეტიენი“ ჩინურ კლუბთან მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა.

### აჩერბის სიმსივნე ამოკვეთეს

„ჯენოდან“ „სასუოლოში“ 3,5 მილიონი ევროს საფასაურად გადასულ **ფრანჩესკო აჩერბის** სათესლე ჯირკვლების სიმსივნე ამოკვეთეს. „მილანის“ და „კიევოს“ ყოფილ ფეხბურთელს სიმსივნური წარმონაქმნი სეზონის წინ აუცილებელ სამედიცინო შემოწმებაზე აღმოუჩინეს. ოპერაცია ოთხშაბათს ჩატარდა, მაგრამ მის შესახებ ცნობილი მხოლოდ ახლა გახდა. 25 წლის ფეხბურთელმა ვარჯიში უკვე განაახლა.

ტატო ბაციკაძე

### კოენტრაო მიდის, სიკეირა მოდის?

მადრიდის „რეალში“ კიდევ ერთი ცვლილება იგეგმება - პორტუგალიელი მარცხენა მცველი **ფაბიო კოენტრაო** სავარაუდოდ მიდის „სამეფო კლუბიდან“.

„რეალის“ ხელმძღვანელობას ბრაზილიელ **მარსელოს** ახალ კონკურენტად ასევე ბრაზილიელი **გილერმე მადალენა სიკეირა** ესახებათ, რომელიც „გრანადაში“ თამაშობს.

სიკეირა 27 წლისაა და პროფესიულ დონეზე მას მხოლოდ ევროპაში აქვს ნათამაშები, რადგან 18 წლის ასაკში ის მილანის „ინტერმა“ იყიდა. „უდინეზეს“ შემდეგ სიკეირა „გრანადაში“ გადავიდა. ბრაზილიელს იტალიის მოქალაქეობაც აქვს.

„გრანადა“ სიკეირას 15 მილიონად აფასებს, ხოლო „რეალი“ მასში 8 მილიონს იხდის, თუმცა ესპანური პრესის ცნობით, მათ შორის სავარაუდოდ მაინც შედგება შეთანხმება. ამის მიზეზი კი „გრანადას“ და „რეალის“ პრეზიდენტების მეგობრობაა.

რამდენიმე კვირის წინ, „გრანადამ“ „ევერტონი“ უარით გაისტუმრა, რადგან სიკეირაში მხოლოდ 4 მილიონ ევროს იხდიდა. ეს ფეხბურთელი „ლივერპულს“ და „გალათასარაისაც“ აინტერესებთ.

გასულ სეზონში სიკეირამ 35 თამაშში 6 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით გუნდში მხოლოდ ფორვარდ **იუსეფ ელ-არაბის** (8 გოლი) ჩამორჩა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ლა ლიგა. ტრანსფერები

# ბასკი რეალის შესანიშნავ შვიდეულში

## რაულის გზა: ლა ლიგიდან არაბულ კლუბებში

თქვენ წინაშეა იმ ტრანსფერთა მიმოხილვა, რომლებიც ესპანურ ბაზარზე ივლისის მეორე დეკადაში მოხდა. დროის ამ მონაკვეთში „რეალის" ყველაზე დიდი შენაძენი ასიერ ილიარამენდია, ხოლო „ბარსელონას" ყველაზე დიდი დანაკარგი ტიაგო ალკანტარა. ამჯერად ყურადღებას კიდევ ერთ „არხზე" გავამახვილებთ, სადაც გადადიან ლა ლიგაში დამსახურებული ვეტერანები, მიმოვიხილავთ ლა ლიგაში დაბრუნებული „ალმერიას" სატრანსფერო პოლიტიკაზეც...

### ილიარა WHO?

მიუხედავად იმისა, რომ **ასიერ ილიარამენდის** შესახებ ფეხბურთის სპეციალისტებმა ბევრი იციან, ფართო შემოხედველისთვის ეს 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი მაინც 12 ივლისს გახდა ცნობილი, როცა გამოცხადდა, რომ „სამეფო კლუბმა" **ჩაბი ალონსო II** შეიძინა. ალონსოსთან ილიარამენდის ასოციაცია მხოლოდ პოზიციის ბრალი არაა, ისიც ბასკური „რეალ სოსიედადის" აღზრდილია.

ფეხბურთელი ძალიან პერსპექტიულია, მაგრამ მაინც ყურს ეხამუშება მასში გადახდილი 32,2 მილიონი ევრო! თანაც ეს დაზუსტებული ცნობაა, მანამდე ლაპარაკი 39 მილიონზე იყო!

ამ ტრანსფერით ასიერ ილიარამენდი გახდა მადრიდის „რეალის" ისტორიაში მეორე ყველაზე ძვირფასი შენაძენი ესპანელ ფეხბურთელთა შორის. კიდევ ერთი დამთხვევა - პირველი სწორედ ჩაბი ალონსოა, რომელშიც 4 წლის წინ „რეალმა" 35,4 მილიონი გადაიხადა. ბასკი ლა ლიგის ისტორიაში მესამე ადგილზეა ყველაზე ძვირფას შენაძენთა შორის (ისევ მხოლოდ ესპანელებს ვგულისხმობთ) **დავიდ ვილიას** (40 მილიონი) და ჩაბი ალონსოს შემდეგ. „სამეფო კლუბს" მეტი მხოლოდ 6 ფეხბურთელში აქვს გადახდილი. ესენია: **კრიშტიანო რონალდო** (96 მლნ), **ზინედინ ზიდანი** (75), **ლუიშ ფიგუ** (71,6), **კაკა** (65), **რონალდო** (45) და ჩაბი ალონსო (35,4). არის კი ამათი დარი ასიერ ილიარამენდი ანდონეგი, რომელიც ბასკური მუტრიკუს მკვიდრია?... ამას დრო გვიჩვენებს.

### ალ ჯაზირა, ალ რაიანი...

**ნელსონ აედო ვალდესს** ურიგო ფეხბურთელი არ ეთქმის, 29 წლის პარაგვაელ ფორვარდს კარიერის განმავლობაში „ვერდერსა" და „დორტმუნდში" უთამაშია. თებერვალში მანამდე იჯარით მოთამაშე ვალდესი „ვალენსიამ" „რუბინისგან" გამოისყიდა და 2015 წლამდე დაუდო კონტრაქტი, მაგრამ მაშინ გუნდში არ იყო **მიროსლავ ჯუკიჩი.**



გონსალო ასიერ ილიარამენდიში „რეალმა" დიდი ფული გადაიხადა

ვალდესი გაერთიანებული საამიროების გზას გაუდგა, მან 2+1 კონტრაქტი გააფორმა აბუ-დაბის „ალ ჯაზირასთან", „ლამურები" კი 3 მილიონით გამდიდრდნენ. „ალ ჯაზირას" **ლუის მილია** წვრთნის

კიდევ ერთ არაბულ კლუბში, ყატარულ „ალ რაიანში" „ესპანიოლიდან" გადავიდა არგენტინელი უნივერსალი **ხუან ფორლინი.** 25 წლის ფორლინის სანაცვლოდ არაბებმა 2,5 მილიონი ევრო გადაიხადეს.

### ანდალუსიელები გუნდს აკოწიწებენ

როგორ ემზადება პრიმერაში დაბრუნებული „ალმერია" ახალი სეზონისთვის? ანდალუსიელებმა პირველი, რაც გააკეთეს... მთავარი მეგოლე ბრაზილიელი **შარლესი** (32 გოლი) დაკარგეს. ის სულ რაღაც მილიონ ევროდ „სელტაში" გადავიდა. ამის შემდეგ „ალმერიამ" მარცხენა ფლანგი გააძლიერა, 27 წლის არგენტინელი **სებასტიან დუბარბიერი** აიყვანა „კორდობადან". ეს ფეხბურთელი შესაძლოა, რუმინული 'კლუჟიდან" გახსოვდეთ.

შარლესის შემცვლელად კი „ლუგოდან" **ოსკარ დიასს** (15 გოლი) დაუძახეს. ანდალუსიაში იჯარით გადავიდა „ბარსელონას" სარეზერვო გუნდის ნევრი **როდრიგო რიოსი.** 23 წლის რიოსი ბოლო სეზონში „შეფილდში" და „სარაგოსაში" ირჯებოდა იჯარით. კლუბის ხელმძღვანელობა მწირი ფინანსების გამო, ისევ იჯარით ფეხბურთელთა გადაბირებით აპირებს გუნდის დაკომპლექტებას. მომდევნო შენაძენი უფრო ხმაურიანი იყო - **სუსო** „ლივერპულიდან". 19 წლის შემტევ ნახევარმცველს ინგლისში სათამაშო პრაქტიკა აკლდა.

„ალმერიამ" მეკარის პრობლემაც გადაწყვიტა - „ბოკა ხუნიორსიდან" არგენტინელი **ოსკარ უსტარი** აიყვანა. 27 წლის მეკარეს არგენტინის ნაკრებშიც კი აქვს ნათამაშები. ერთი არგენტინელი კი წავიდა - 26 წლის ნახევარმცველი **ერნან ბერნარდელიო** კარიერას მექსიკურ „პუებლაში" გააგრძელებს.

დაბოლოს, „ალმერიაში" ითამაშებს ერთ დროს „რეალის" სარეზერვო გუნდის წევრი მარკოს ტებარი. 3 წლის წინ ის „რეალმა" 100 ევროდ „გაყიდა" „ჟირონაში". აი, ასეთი ფეხბურთელი დაიმატა „ალმერიამ".

**ესპანური ტრანსფერები**

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 10 ივლ | ნერი კასტილიო | პაჩუკა | ვალეკანო | თ.ა. |
| 10 ივლ | კაკა | ვიდეოტონი | დეპორტივო | თ.ა. |
| 10 ივლ | კარლეს ხილი | ვალენსია | ელჩე | იჯარა |
| 10 ივლ | ჟერარდ დეულოფეუ | ბარსელონა | ევერტონი | იჯარა |
| 10 ივლ | ჩაბი კასტილიო | ბილბაო | ლას პალმასი | თ.ა. |
| 10 ივლ | გილერმო სარა | ატლ. რაფაელა | ბეტისი | იჯარა |
| 10 ივლ | რაულ ფერნანდესი | ბილბაო | ნუმანსია | იჯარა |
| 10 ივლ | ხუან კარლოს პერესი | ბრაგა | ბეტისი | იჯარა |
| 10 ივლ | სალვადორ აგრა | ბეტისი | ბრაგა | იჯარა |
| 11 ივლ | როკე სანტა კრუსი | მან. სიტი | მალაგა | თ.ა. |
| 11 ივლ | მარტინ დემიკელისი | მალაგა | ატლეტიკო | თ.ა. |
| 11 ივლ | პარის სეფეროვიჩი | ფიორენტინა | სოსიედადი | 3 მლ. ევ. |
| 11 ივლ | სერხიო ესკუდერო | შალკე | ხეტაფე | 0,5 მლნ. |
| 11 ივლ | როდრი რიოსი | ბარსელონა II | ალმერია | იჯარა |
| 11 ივლ | რაფაელ ალკანტარა | ბარსელონა | სელტა | იჯარა |
| 11 ივლ | ორიო რომეუ | ჩელსი | ვალენსია | იჯარა |
| 11 ივლ | ხავი ვენტა | ვილიარეალი | ბრენტფორდი | თ.ა. |
| 12 ივლ | დუგლას დოს სანტოსი | ნაუტიკო | გრანადა | თ.ა. |
| 12 ივლ | ასიერ ილიარამენდი | სოსიედადი | რეალი | 32 მლნ. |
| 12 ივლ | სუსო | ლივერპული | ალმერია | იჯარა |
| 12 ივლ | კატა დიასი | ატლეტიკო | ბოკა | თ.ა. |
| 12 ივლ | პედრო მარტინი | ატლეტიკო | ნუმანსია | იჯარა |
| 12 ივლ | ხონათან პერეირა | ბეტისი | ვილიარეალი | 1,5 მლნ. |
| 13 ივლ | ლაუტარო აკოსტა | სევილია | ლანუსი | თ.ა. |
| 14 ივლ | ხუან ვალერონი | დეპორტივო | ლას პალმასი | თ.ა. |
| 14 ივლ | ალექსანდრ კოეფი | უდინეზე | გრანადა | იჯარა |
| 14 ივლ | ტიაგო ალკანტარა | ბარსელონა | ბაიერნი | 25 მლნ. |
| 15 ივლ | ხოსე კამპანია | სევილია | კრისტალ პალ. | 2 მლნ. |
| 15 ივლ | უმბერტო ოსორიო | სან მარტინი | ვალიადოლიდი | 1 მლნ. |
| 15 ივლ | ხუან ერნანდესი | გრანადა | ლორკა | იჯარა |
| 15 ივლ | ნაჩო ზაბალი | ოსასუნა | უესკა | თ.ა. |
| 15 ივლ | დანიელ კარიშო | რედინგი | სევილია | იჯარა |
| 15 ივლ | მარკუს შტაინჰოფერი | ბაზელი | ბეიტისი | თ.ა. |
| 16 ივლ | რაულ ალბიოლი | რეალი | ნაპოლი | 12 მლნ. |
| 16 ივლ | კრისტიან სეპუნარუ | სარაგოსა | ელჩე | თ.ა. |
| 16 ივლ | დავიდ ტიმორი | ოსასუნა | ჟირონა | იჯარა |
| 16 ივლ | რუბენ პერესი | ატლეტიკო | ელჩე | იჯარა |
| 16 ივლ | ანხელ ლოპესი | ბეტისი | ლას პალმასი | თ.ა. |
| 17 ივლ | ირინეი | გრანადა | უოტფორდი | იჯარა |
| 17 ივლ | დანიელ პუდილი | გრანადა | უოტფორდი | თ.ა. |
| 17 ივლ | კაზირუ აკინსოლა | გრანადა | ოსპიტალეტი | თ.ა. |
| 17 ივლ | ალვარო ნეგრედო | სევილია | მან. სიტი | 25 მლნ. |
| 18 ივლ | ოსკარ უსტარი | ბოკა | ალმერია | თ.ა. |
| 18 ივლ | ხორხე პულიდო | ატლეტიკო | რეალი II | თ.ა. |
| 18 ივლ | ჩუმბი | ალმერია | ვალენსია II | თ.ა. |
| 18 ივლ | დანი ხიმენესი | ვალეკანო | ალკორკონი | თ.ა. |
| 18 ივლ | ოსკარ ტრეხო | სპორტინგი | ტულუზი | 2,1 მლნ. |
| 18 ივლ | ისმაელ ლოპესი | ბილბაო | სპორტინგი | თ.ა. |
| 18 ივლ | დიოგო ფიგეირაში | ფერეირა | სევილია | 1,5 მლნ. |
| 18 ივლ | პიროში იგუსუკი | სევილია | ვალენსია II | თ.ა. |
| 19 ივლ | ნელსონ ვალდესი | ვალენსია | ალ ჯაზირა | 3 მლნ. |
| 19 ივლ | ომარ რამოსი | უესკა | ვალიადოლიდი | 0,4 მლნ. |
| 19 ივლ | ივან ლოპესი | ლევანტე | ჟირონა | იჯარა |
| 19 ივლ | ნანო | ოსასუნა | ალავესი | თ.ა. |
| 20 ივლ | ხუან ფორლინი | ესპანიოლი | ალ რაიანი | 2,5 მლნ. |
| 20 ივლ | ერნან ბერნარდელიო | ალმერია | პუებლა | თ.ა. |
| 20 ივლ | ხონა | გრანადა | ხაენი | იჯარა |
| 20 ივლ | საულ ნიგესი | ატლეტიკო | ვალეკანო | იჯარა |

*შენიშვნა: თარ - თარიღი, როცა ტრანსფერი გადაწყდა.*

● ამხანაგური მატჩები

# პრიმერამდე არც თუ ისე შორია

## ვალვერდემ კარგად დაიწყო, ჯუკიჩმა ცუდად

**16 ივლისი**

**სან ფერნანდო-სევილია 1:4**

გოლები: 1:0 კარიონი (30), 1:1 რეიესი (33), 1:2 მარინი (54), 1:3 რეიესი (63), 1:4 მარინი (90)

**17 ივლისი**

**გენკი-მალაგა 0:1**

გოლი: 0:1 დუდა (25-პენ)

**ხეტაფე-ბრაიტონი 0:1**

გოლი: 0:1 ორლანდი (12)

**მანჰაიმი-ვალენსია 0:0**

**19 ივლისი**

**აიაქსი-ოსასუნა 1:0**

გოლი: 1:0 კლაასენი (7)

**კორია-ბეტისი 2:2**

გოლები: 0:1 სევილია (4-პენ), 1:1 კურო (28), 1:2 სედრიკი (55), 2:2 კამპოსი (71)

**20 ივლისი**

**შტუტგარტი-ვალენსია 1:0**

გოლი: 1:0 შვააბი (3)

**ხიმნასტიკი-ვილიარეალი 1:2**

გოლები: 1:0 ლუსენა (31), 1:1 ხ. პერეირა (43), 1:2 ხუანიტო (63)

**ბრაუნშვაიგი-ბილბაო 0:4**

გოლები: 0:1 სუსაეტა (20), 0:2 რუისი (28), 0:3 ადურისი (47), 0:4 დე მარკოსი (75)

**ლეხია-ბარსელონა არ შედგა**

**ალკალა-რაიო ვალეკანო 0:1**

გოლი: 0:1 საბალსი (53)

**რეალ სოსიედადი-ტულუზი 1:1**

გოლები: 1:0 გრიზმანი (10), 1:1 სილა (78)

**უნ. კატოლიკა-სევილია 0:2**

გოლები: 0:1 მარინი (61), 0:2 სამპერიო (84)

**ვალიადოლიდი-ვალიადოლ. II 8:0**

**სან როკე-ლევანტე 0:2**

გოლები: 0:1 ბარალი (6), 0:2 როდასი (89)

**ბეტისი-ბრაგა 0:0**

**21 ივლისი**

**ალკმაარი-ხეტაფე 3:0**

გოლები: 1:0 ბეერენსი (1), 2:0 ელმი (14), 3:0 ა. იოჰანსონი (79)

**გალათასარაი-მალაგა 3:3**

გოლები: 1:0 სნეიდერი (13), 1:1 სანტა კრუსი (45), 2:1 დროგბა (45+1), 2:2 ბ. ანდერსონი (58), 2:3 დუდა (73-პენ), 3:3 კაზიმ-რიჩარდსი (90)

**ნუმანსია-ატლეტიკო 2:4**

გოლები: 0:1 დ. კოშტა (7), 0:2 დ. კოშტა (16), 0:3 დ. აკინო (46), 1:3 პალანკა (56), 1:4 ლეო კარილიო (66), 2:4 პალანკა (69-პენ)

**ბორნმუთი-რეალი 0:6**

გოლები: 0:1 რონალდო (21), 0:2 რონალდო (40), 0:3 ხედირა (43), 0:4 იგუაინი (46), 0:5 დი მარია (68), 0:6 კასემირო (83)

**ბოლო** კვირაა, ესპანური გუნდები შვებულებიდან გამოვიდნენ და 83-ე ლა ლიგისთვის მზადება დაიწყეს. გუნდებმა უკვე რამდენიმე ამხანაგური მატჩიც გამართეს. სწორედ მათზე შევჩერდებით მოკლედ. „რეალის" პირველ თამაშზე დღეს მხოლოდ სტატისტიკით შემოვიფარგლებით, „სამეფო კლუბზე" უფრო დაწვრილებით ხვალ მოგიყვებით.



სევილიელი გარი მედელი (ბურთით) თანამემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში

### დაბრუნდება კი ჯარისკაცი სახლში?

„ვალენსიამ" თავისი მესამე ტესტმატჩი გერმანულ ქალაქ ლუდვიგსბურგში გამართა და „შტუტგარტთან" 0:1 დათმო. თამაშის დასაწყისშივე გამარჯვების გოლი შვაბთა მარჯვენა მცველმა **დანიელ შვააბმა** კუთხურის გათამაშების შემდეგ გაიტანა. „ვალენსიას" ძალიან ეტყობა **რობერტო სოლდადოს** არყოფნა (3 მატჩში 1 გოლი). „ლამურების" მთავარ მეგოლეს ჯერ შვებულება აქვს, რადგან კონფედერაციათა თასზე ითამაშა. აი, მერე დაუბრუნდება თუ არა „ვალენსიას" „ჯარისკაცი" უცნობია - „ტოტენჰემმა" 20-მილიონიანი შეთავაზება გაამზადა, რასაც ფინანსურად შეჭირვებული „ვალენსია" იოლად ვერ უარყოფს. „ლამურების" რიგებში ითამაშა „ჩელსიდან" განათხოვრებულმა **ორიოლ რომეუმ.**

### ფეხბურთი და გუნდაობა

„კოპა ევროპამერიკანას" ეგიდით, „სევილია" ჩილეს „უნივერდისად კატოლიკას" შეხვდა და 2:0 მოუგო. დიდებულად მოერგო „სევილიას" გერმანელი შემტევი ნახევარმცველი **მარკო მარინი.** ექსჩელსელმა ამ შეხვედრაშიც გაიტანა („სან ფერნანდოსთან" სულაც დუბლი შეასრულა). მეორე გოლი **ხაიმე სამპერიოს** ანგარიშზეა. არადა, სამხრეთ ამერიკაში ჩასულ „სევილიას" ესპანელთათვის უცნაური ამინდი დაუხვდა - სანტიაგოში თამაში თოვლჭყაპში გაიმართა. „მარკა" წერს, რომ 12 ათასი გულშემატკივარი, მატჩის ყურებასთან ერთად გუნდაობით ერთობოდა.

### ვალვერდემ კარგად დაიწყო

მე-2 ტესტმატჩი გამართა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომპოვებელმა „რეალ სოსიედადმა" - ბასკურ ლოინაცში „ტულუზს" 1:1 დაუზავდა. ბასკების უპირატესობა აშკარა იყო, **ანტუან გრიზმანმა** ერთი გოლიც გაიტანა ფრანგი თანამემამულეების კარში, მაგრამ შემდეგ „რეალ სოსიედადმა" იმდენი „მოახერხა", რომ აქეთ გაუშვა.

ავსტრიულ კუფშტაინში **ერნესტო ვალვერდემ** პირველად დამოძღვრა ბილბაოს „ატლეტიკი", რომელმაც ბუნდესლიგაში ალზევებული ბრაუნშვაიგის „აინტრახტი" გაანადგურა - 4:0. პირველ ტაიმში გოლები **მარკელ სუსაეტამ** და **ინიგო რუის დე გალარეტამ** გაიტანეს, მეორეში - **არიც ადურისმა** და **ოსკარ დე მარკოსმა.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ტელეკომის თასი 2013

# ბაიერნმა ჰამბურგს და გლადბახს გადაუარბინა

## დორტმუნდი მრისხანე რეკორდმაისტერს გაერიდა

შაბათს და კვირას გერმანიაში, კერძოდ მიონხენგლადბახში სეზონისწინა ტურნირი, ტელეკომის თასის გათამაშება გაიმართა, რომელშიც ოთხი კლუბი მონაწილეობდა - „ბაიერნი“, „დორტმუნდი“, „გლადბახი“ და „ჰამბურგი“. მიუნხენურმა გრანდმა ქვა ქვაზე არ დატოვა და პირველი, არაოფიციალური, მაგრამ მაინც ტიტული მოიგო.

**1/2 ფინალი**

**გლადბახი-დორტმუნდი 1:0**

**გოლი:** 1:0 დემსი (61-პენ)

**გლადბახი (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი - კორბი, შტრანცლი, ბრუვერსი, დემსი - კრამერი, ჯაკა - იუნესი, რუპი - რაფაელი - კრუზე.

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სოკრატისი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი (31. კელი), ნ. შაჰინი - ჰოფმანი, გიუნდოგანი (31. დურმი), როისი - ლევანდოვსკი (44. შიბერი).

**მაყურებელი:** 47 125

**ჰამბურგი-ბაიერნი 0:4**

**გოლები:** 0:1 ბოატენგი (12), 0:2 მანჯუკიჩი (41), 0:3 კროოსი (44), 0:4 თ. მიულერი (52)

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი - სალა (48. მანსიენი), ვესტერმანი, სობიხი, იანსენი (48. რაიკოვიჩი) - არსლანი (48. დემირბაი), ბადელი (48. რინკონი) - ილიჩევიჩი (48. სკიელბრედი), ვან დერ ვაარტი (48. ჩალჰანოლლუ), ბაისტერი (48. ირაჩეკი) - ზუა (48. რუდნევსი).

**ბაიერნი (4-1-3-1-1):** შტარკე - ლამი, ვან ბუიტენი, ბოატენგი (48. კირხჰოფი), ალაბა - ტიაგო ალკანტარა (48. ჰოიბერგი) - კროოსი, რიბერი (54. გრინი), შაჩირი - პისარო (42. რობენი) - მანჯუკიჩი (42. თ. მიულერი).

გაფრთხილება: ბადელი

**მაყურებელი:** 47 125


გუშინ, მიონხენგლადბახში: მიუნხენელები „გლადბახის“ განადგურებას ზეიმობენ

„ტელეკომის თასი“ ამხანაგური საკლუბო ტურნირია, რომელიც ტრადიციად იქცა. ის სეზონის წინ ტარდება ხოლმე და ამჯერად მას მიონხენგლადბახმა უმასპინძლა. შაბათს ნახევარფინალური შეხვედრები შედგა, გუშინ კი ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის გაიმართა. აღსანიშნავია, რომ „ტელეკომის თასზე“ ერთი მატჩი 60 წუთს გრძელდება - ტაიმები, შესაბამისად, 30-წუთიანია.

„ბაიერნმა“ ნახევარფინალში „ჰამბურგი“ მოლოდინისამებრ იოლად გაანადგურა - 60-წუთიანი თამაშის 4:0-ით მოგება სახუმარო საქმე არაა. მიონხენგლადბახის „ბაი-არენაზე“ 47 125-მა მაყურებელმა მთლად ისეთი მრისხანე ვერა, მაგრამ უკვე ძალიან კარგ ფორმაში მყოფი „ბაიერნი“ და შეშინებული „ჰამბურგი“ იხილა. **ხოსეპ გვარდიოლას** შეგირდებმა ჩრდილოგერმანულ კლუბთან თავიდანვე კატა-თაგვობანა გააჩაღეს, რაც ანგარიშშიც აისახა.

„ჰამბურგის“ თავკაცმა **ტორსტენ ფინკმა** ახალწვეული თავდამსხმელი **ზუა** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და დაცვაში **ვესტერმანს** ასევე ახალწვეული **სობიეხი** შეუწყვილა. ბავარიელებს ტრავმირებულები, **ბადშტუბერი, შვაინშტაიგერი** და **გიოტცე** აკლდათ. 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემაში ერთადერთი საყრდენი ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** გახლდათ, მის წინ **კროოსი, რიბერი** და **შაჩირი** მოქმედებდნენ, **კლაუდიო პისარო** უკან დახეული ფორვარდი გახლდათ, ყველაზე წინ კი **მარიო მანჯუკიჩი** ირჯებოდა.

„ბაიერნის“ ტაქტიკას 4-1-4-1 კი ეთქმოდა, მაგრამ მიუნხენელებმა ამ სქემის ძალიან მოქნილი ინტერპრეტაციით ითამაშეს. მანჯუკიჩი, პისარო და სხვა შემტევები ხშირად ერთმანეთში ირეოდნენ, რიბერი კი მეტწილად ცენტრიდან მოქმედებდა.

ჰამბურგელებმა თამაში თითქოს თამამად დაიწყეს, მაგრამ მალე აირივნენ და პირველი გოლიც სწორედ მაშინ მიიღეს. **ბოატენგის** ბურთი „ჰამბურგის“ დაცვაში შექმნილი უდიდესი ქაოსის ბრალია. მეორე გოლი მანჯუკიჩმა ცარიელ კარში, რიბერის პასის შემდეგ გაიტანა, ფრანგს კი ტიაგო ალკანტარამ მისცა მართლაც ზღაპრული პასი. კროოსმა შორეული დარტყმით გაიტანა, **მიულერმა** კი - თავით.

*„კმაყოფილი ვარ, რადგან კარგად ვითამაშეთ და ფინალში გავედით. განსაკუთრებით მცველების კარგ თამაშს გამოვყოფდი. დაცვის, ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზებს შორის მოძრაობაც კარგი იყო, თუმცა ეს სოლიდური ფეხბურთის მხოლოდ პირველი ნაწილია. სეზონის დაწყებამდე თამაშს კიდევ უფრო დავხვეწთ,“* - განაცხადა გვარდიოლამ „ჰამბურგთან“ გამარჯვების შემდეგ.

### დორტმუნდს ბაიერნთან თამაში არ უნდოდა?

ცნობები იმის შესახებ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ „ტელეკომის თასზე“ „ბაიერნთან“ შეხვედრა არ უნდოდა, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გავრცელდა. თავიდან ბავარიული და დორტმუნდული გრანდები ერთმანეთს ნახევარფინალში უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მერე კალენდარი შეიცვალა და ზემოთ ხსენებული ეჭვიც ამიტომ გამძაფრდა. უშუალოდ ტურნირზე კი, „დორტმუნდი“ ნახევარფინალში „გლადბახთან“ ბოლო წუთზე გაშვებული ბურთით დამარცხდა - ეს გოლი **დემსმა** პენალტით გაიტანა, თერთმეტმეტრიანი კი დორტმუნდელთა მეკარე **რომან ვაიდენფელერის** უხეშობის გამო დაინიშნა.

„გლადბახის“ ძირითად შემადგენლობაში მოულოდნელად **კორბი, კრამერი** და **რუპი** ვიხილეთ, წინა ხაზზე კი **ლუსიენ ფავრმა** ახალწვეულები, **რაფაელი** და **კრუზე** ათამაშა. დორტმუნდის „ბორუსიას“ დამრიგებელმა **იურგენ კლოპმა** სასტარტოში ახალწვეული ცენტრალური მცველი **სოკრატისი** დააყენა, მარჯვენა მცველად კი, **პიშჩეკის** არყოფნაში **კევინ გროსკროიტცი** გაამწესა. კლოპის 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ცენტრფორვარდ **ლევანდოვსკის** უკან **ილქაი გიუნდოგანი** მოქმედებდა -როგორც იცით, **ჰენრიხ მხითარიანი** ტრავმირებულია. „დორტმუნდს“ ამ მატჩში **ობამეიანი** და **ბლაშჩიკოვსკიც** დააკლდნენ. შესაბამისად, მარჯვენა გარემარბად ახალგაზრდა **ჰოფმანი** ვიხილეთ.

დორტმუნდელთაგან გამოყოფის ღირსი **ნური შაჰინია**, რომელიც მოედნის ცენტრში შეუდარებლად მოქმედებდა, მიონხენგლადბახელთა მხრიდან კი ყველაზე ეფექტური **იუნესი** გახლდათ.

გიუნდოგანის ფლეიმეიქერად გამწესებამ არ გაამართლა, რაც, შეიძლება, იმასაც დავაბრალოთ, რომ ილქაი თამაშამდე ერთი დღით ადრე გამოჯანმრთელდა. შესაბამისად, შესვენების შემდეგ კლოპმა გამთამაშებლად როისი გაამწესა. თუმცა არც მარკო თამაშობდა ისე, როგორც სჩვევია. მიუხედავად ამისა, მატჩი ინტენსიური და საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, გამარჯვებული კი ბოლო წუთზე, ვაიდენფელერის უხეშობის გამო დანიშნული პენალტით გამოვლინდა. „დორტმუნდი“ „ბაიერნს“ ასცდა.

**მატჩი III ადგილისთვის**

**დორტმუნდი-ჰამბურგი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჰოფმანი (24)

**დორტმუნდი (4-2-2-1-1):** ლანგერაკი - დურმი, ჰუმელსი (31. სოკრატისი), სუბოტიჩი, შმელცერი (31. გროსკროიტცი) - კელი (31. ს. ბენდერი), გიუნდოგანი - ჰოფმანი (43. კირხი), როისი (31. შაჰინი) - ლევანდოვსკი (31. ბანდოვსკი) - შიბერი.

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ნოიჰაუსი - მანსიენი (56. ბაისტერი), სობიეხი, რაიკოვიჩი, იანსენი - რინკონი (47. არსლანი), დემირბაი (58. ნაფიუ) - ჩალჰანოლლუ (47. ვან დერ ვაარტი), სკიელბრედი, ირაჩეკი (56. ილიჩევიჩი) - რუდნევსი (47. ზუა).

**გაფრთხილება:** გროსკროიტცი - რაიკოვიჩი

**მაყურებელი:** 47 100

**ფინალი**

**გლადბახი-ბაიერნი 1:5**

**გოლები:** 0:1 რიბერი (17), 0:2 ლამი (23), 0:3 ტიაგო ალკანტარა (26), 1:3 ლ. დე იონგი (30-პენ), 1:4 რობენი (41), 1:5 თ. მიულერი (60)

**გლადბახი (4-2-2-2):** ჰაიმეროთი - იანჩკე, ნორდტვეიტი, ალვარო დომინგესი, ვენდტი - დაჰუდი, ჯაკა (31. კრამერი) - ჰერმანი, არანგო - ლ. დე იონგი, ჰრგოტა.

**ბაიერნი (4-1-4-1):** შტარკე - რაფინია, ვან ბუიტენი (50. კირხჰოფი), ბოატენგი, კონტენტო (31. ალაბა) - ტიაგო ალკანტარა (50. შაჩირი) - რობენი, ლამი (50. ვაინრაუხი), კროოსი (51. ვაიზერი), რიბერი - თ. მიულერი.

**გაფრთხილება:** კრამერი - კონტენტო

**მაყურებელი:** 47 100

### ალკანტარას პირველი გოლი

რაკი „დორტმუნდი“ ასცდა, „ბაიერნმა“ ფინალიც მარტივად მოიგო - უფრო მარტივად, ვიდრე ნახევარფინალი. რეკორდმაისტერმა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ 60 წუთში ხუთი გოლი გაუტანა და „ტელეკომის თასს“ დაეუფლა. ეს ტიტული, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვანია, მთავარი კი ისაა, რომ გვარდიოლას „ბაიერნი“ უკვე ყველას შიშის ზარს სცემს. ცხრა გატანილი და მხოლოდ ერთი მიღებული ბურთი ორ შეხვედრაში და თანაც ისეთ კლუბებთან, რომლებსაც ბუნდესლიგაში სიტყვა ეთქმით - რეკორდმაისტერი ახალ სეზონს მართლაც შესანიშნავ ფორმაში ხვდება.

პეპმა „ბაიერნის“ ქომაგებს ფინალშიც შესთავაზა სიურპრიზი: მან **ფილიპ ლამი** მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე გაამწესა. კაპიტანი **არიენ რობენთან** კომბინირებდა, მარჯვენა მცველის პოზიციაზე კი **რაფინია** თამაშობდა. ტიაგო ალკანტარამ ბრწყინვალედ ითამაშა და დაამტკიცა, რომ გვარდიოლას მიუნხენში ტყუილად არ ჩაუყვანია - ტიაგომ „გლადბახთან“ გოლიც გაიტანა (მკერდით!) და ეს მისი პირველი გოლი გახლდათ „ბაიერნში“.

მატჩის შემდეგ პეპმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გამოვასწოროთო.

**გოტფრიდ ლენცი**

ნაპოლი

# მოსალოდნელი და მოულოდნელი ტრანსფერი

„კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ნაპოლის“ მესვეურებმა მადრიდის „რეალის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, **გონსალო იგუაინი** გადაიბირეს. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ როგორც ავტორიტეტული გამოცემა იუწყება, მხარეები ყველა დეტალზე შეთანხმდნენ.

25 წლის არგენტინელის გადაბირება ჯერ ტურინის „იუვენტუსს“ სურდა, შემდეგ ლონდონის „არსენალს“, თუმცა უფრო მონდომებული სწორედ „ნაპოლი“ გამოდგა. გავრცელებული ცნობის თანახმად, იტალიელები გონსალოს სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს გადაიხდიან. ერთი ხანობა, „რეალის“ მესვეურები 40 მილიონს ცენტს არ აკლებდნენ, მაგრამ მცირე დათმობაზე წასვლა მაინც მოუწიათ. ამრიგად, **ხოსე კალეხონისა** და **რაულ ალბიოლის** შემდეგ, მადრიდი-ნეაპოლის გზას 25 წლის გონსალო იგუაინიც დაადგა, რომელიც თამამად შეგვიძლია მოვიაზროთ **ედინსონ კავანის** შემცვლელად.

იგუაინმა ბოლო ექვსი წელი მადრიდის „რეალში“ გაატარა, 190 შეხვედრაში და 107 გოლი გაიტანა.

### რეინაც ნაპოლიში

**ჟულიო სეზარის** „ნაპოლიში“ გადასვლა პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში, მოლაპარაკება ჩაიშალა. ნეაპოლში გადაბარგება თავად ბრაზილიელმა გოლკიპერმა არ ისურვა, რომლის თქმითაც სამხრეთელები მას დაბალ ხელფასს და მიუღებელ პირობებს სთავაზობდნენ. ასეა თუ ისე, სეზარი „ნაპოლიში“ არ გადავიდა **აურელიო დე ლაურენტისმა** სარეზერვო გეგმა აამოქმედა.

თუ ინგლისურ „გარდიანს“ და იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, ნეაპოლელები „ლივერპულის“ მესვეურებს დაუკავშირდნენ და **პეპე რეინას** ერთწლიანი იჯარა გაჩარხეს. ბუნებრივია, მოლაპარაკებაში ჩართული თავად ესპანელიც იყო, რომელსაც იტალიაში გადაბარგებაზე უარი არ უთქვამს.


„კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, გონსალო იგუაინი „ნაპოლიში“ ითამაშებს

საქმე იმაშია, რომ „ლივერპულის“ მესვეურებმა „სანდერლენდის“ მეკარე **სიმონ მინიოლე** 9 მილიონ ევროდ გადაიბირეს და ამით, რეინას პოზიციები მკვეთრად შეირყა. მოკლედ, პეპემ აღარ გარისკა და იქით გაუწია გულმა, სადაც პირველ მეკარეს ეძებენ. მით უმეტეს, „ნაპოლის“ **რაფაელ ბენიტესი** წვრთნის, რომელთანაც რეინა წლების განმავლობაში „ლივერპულში“ თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ 30 წლის ესპანელი „ლივერპულში“ 2005 წლიდან ირიცხება და ამ გუნდის შემადგენლობაში 285 მატჩი აქვს ჩატარებული.

**ლაშა წიკლაური**

● ამხანაგური მატჩები

# გოლები, გოლები, გოლები

## გომესის გარდა, ყველამ გაიტანა



ჯუზეპე როსიმ (მარჯვნივ) ჰეთთრიკი შეასრულა

**ფიორენტინა-ტრენტინო 9:0**

**გოლები:** 1:0 როსი (1), 2:0 პასკუალი (11), 3:0 როსი (24), 4:0 როსი (35), 5:0 ლიაიჩი (49), 6:0 ლიაიჩი (63), 7:0 ლიაიჩი (72), 8:0 იაკოვენკო (82), 9:0 ლიაიჩი (90).

**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო (46. ლუპატელი) - რონკალია (46. კასანი), კომპერი (46. ოლივერა), ჰეგაზი (46, ტომოვიჩი), პასკუალი (46. ვესინო) - ამბროზინი (46. რომულო), პისარო (46. ბაკიჩი), ბორხა ვალერო (46. ვოლსკი) - ხოაკინი (46. ალონსო), როსი (46. იაკოვენკო), გომესი (46. ლიაიჩი).

**მილანი-პერგოლეტეზე 5:1**

**გოლები:** 1:0 ტრაორე (19), 2:0 ემანუელსონი (30), 3:0 რობინიო (32), 4:0 კ. პ. ბოატენგი (61), 5:0 პეტანია (75), 5:1 (89).

**მილანი (4-3-3):** გაბრიელი (46. ანდრენაჩი) - ძაკარდო (46. შტრასერი), ბონერა (46. მექსე), საპატა (46. ოდუამადი), ანტონინი (46. კონსტანტი) - ტრაორე (46. ანეკანი), დე იონგი (46. კრისტანტე), ნოჩერინო (46. პიჩინიკო) - ემანუელსონი (46. კინგსლი ბოატენგი), ნიანგი (46. პეტანია), რობინიო (კ. პ. ბოატენგი).

**ლაციო-ბრაზილია 4:1**

**გოლები:** 1:0 ედერსონი (15), 1:1 (49), 2:1 კეიტა (50), 3:1 ედერსონი (55), 4:1 კანა (67).

**უდინეზე-ქპრ 2:1**

**გოლები:** 1:0 ბასტა (48), 2:0 ნალდო (60), 2:1 საზერლენდი (68).

**ბოლცანო-ბოლონია 0:11**

**გოლები:** 0:1 ბიანკი (20), 0:2 ბიანკი (24), 0:3 ბიანკი (36), 0:4 ხრისტოდულოპულოსი (38), 0:5 ვერატი (48), 0:6 რივეროლა (57), 0:7 დელა როკა (59), 0:8 მორლეო (62), 0:9 რივეროლა (67), 0:10 რივეროლა (76), 0:11 მოსკარდელი (85).

**კატანია-მეტერა აუგუსტა 25:0**

**გოლები:** ლეტო (7, 11, 22, 30), ბერგესიო (9, 24, 28, 33, 38), გომესი (13), ბარიენტოსი (16), ალმირონი (40), ლეგროტალიე (42), დუკარა (44, 51, 56, 58, 61, 67), ბარიშიჩი (49, 80), ფრეირა (52, 65, 68), კაბალსეტა (69).

**სტუბაი-ჯენოა 0:8**

**გოლები:** 0:1 კონატე (12), 0:2 სანტანა (22), 0:3 კონატე (30), 0:4 ლოდი (33), 0:5 კონატე (34), 0:6 კონატე (55), 0:7 მარტინესი (60), 0:8 სოპრანო (67).

**სამპდორია-ლუჩენტო 7:0**

**გოლები:** 1:0 გაბიადინი (22), 2:0 რეჯინი (30), 3:0 ობიანგი (37), 4:0 რენანი (51), 5:0 გენცოლლუ (57), 6:0 სანსონე (75), 7:0 რენანი (90).

**ბორმეზე-ტორინო 0:10**

**გოლები:** 0:1 იმობილე (9), 0:2 მეჯორინი (20), 0:3 გლიკი (21), 0:4 იმობილე (31), 0:5 იმობილე (32), 0:6 მეჯორინი (39), 0:7 მორეტი (47), 0:8 ვივესი (73), 0:9 იმობილე (80), 0:10 ბელომო (88).

**სერია A-ს გუნდები აგრძელებენ ამხანაგური მატჩების გამართვას და კოლოსალური ანგარიშებით მოგებას. მაგალითად, ის, რაც „კატანიამ" თავის მეტოქეს დამართა, არანაირ ჩარჩოში არ ჯდება: სიცილიელებმა სამოყვარულო გუნდს 25 უპასუხო გოლი მიართვეს, ფეხბურთელებმა კი ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი გოლი გაიტანეს. მოკლედ, „კატანიას" ნამეტანი მოუვიდა, დანარჩენზე კი ქვემოთ...**

### უგოლო გომესი

„ფიორენტინა" „ტრენტინოს" შეხვდა და მეტოქეს 9 გოლი გაუტანა. აქედან სამი **ჯუზეპე როსის**, ხოლო ოთხი **ადემ ლიაიჩის** ანგარიშზეა. სასტარტო შემადგენლობაში იყო **მარიო გომესი**, მაგრამ მოედანი უგოლოდ დატოვა. არადა, გერმანელზე მთელი გუნდი მუშაობდა - პირველი ტაიმის ბოლოს, მეტწილად მარიოს ტვირთავდნენ შუახაზელები, მაგრამ იმ დღეს, გოლის გატანა არ ეწერა. მოკლედ, გომესს არცთუ სახარბიელო დებიუტი გამოუვიდა და ნამატჩევს თავის მართლებამაც მოუწია - იდეალური ფორმისგან შორს ვარ, თუმცა მალე ავთამაშდებიო.

**ვინჩენცო მონტელამ** 4-3-3 ტაქტიკა აირჩია და ისეთი პირი უჩანს, რომ მომდევნო სეზონშიც სწორედ ამ სქემას დაეყრდნობა. სამოყვარულო გუნდთან კიდევ სამმა ახალწვეულმა ითამაშა: **მასიმო ამბროზინიმ, მარკოს ალონსომ** და **ხოაკინ სანჩესმა**. მიუხედავად იმისა, რომ „ფიორენტინა" **სტევან იოვეტიჩმა** დატოვა, გუნდი აშკარად გაძლიერებულია და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს არსებულ რესურსს ვინჩენცო მონტელა.

### მილანმაც დაიწყო

ახალი სეზონისთვის მზადება „მილანმაც" დაიწყო და მალევე, პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართა. ლომბარდიული გრანდის მეტოქე „პორგოლეტეზე" გახლდათ, რომელმაც საპატიო გოლი გაუტანა მრისხანე მეტოქეს. „როსონერიმ" ხუთი შეაგდო, დუბლი კი არავის გაუხერხებია. თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, ყველაზე აქტიური **რობინიო** იყო, რომელსაც, როგორც ჩანს, კლუბთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულება მოუხდა. ცნობისთვის, ბრაზილიელმა „მილანს" ბედი 2016 წლამდე დაუკავშირა.

ვთქვათ ისიც, რომ „როსონერი" ჯერჯერობით იტალიის ნაკრების ფეხბურთელების გარეშე ემზადება - ამიტომ, სამოყვარულო გუნდთან **მარიო ბალოტელის, სტეფან ელ შაარავის, ინაციო აბატეს, მატია დე შილიოს** და **რიკარდო მონტოლივოს** არ უთამაშიათ. ნამატჩევს, მასიმილიანო ალეგრიმ შეგირდები შეაქო და დასძინა, პირველი მატჩისთვის ურიგო თამაში ნამდვილად არ იყოო.

### უფრო რთულად...

„უდინეზემ" სამოყვარულო გუნდებთან თამაშზე უარი თქვა და ინგლისურ „ქუინს პარკ რეინჯერსს" ეკვეთა. ფრიულელებმა მეტოქეზე უკეთ წარმართეს შეხვედრა და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს - 2:1. უდინელებს სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტიურიათ და ამიტომ, **ფრანჩესკო გვიდოლინს** ძველი შემადგენლობა ჰყავს შეკრებაზე. ინგლისელთა წინააღმდეგ **ანტონიო დი ნატალეს** არ უთამაშია, რომელსაც მცირე ტრავმა ჰქონია. შედარებით რთული მატჩი ჰქონდა „ლაციოსაც", რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, „ბრაზილიას" შეხვდა. დიახ, „ბიანკოჩელესტეს" მეტოქე „ბრაზილ ფუტბოლ თიმ" იყო, რომელმაც მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. მეორე ტაიმის სტარტზე, ანგარიში 1:1 იყო, თუმცა შემდეგ რომაელებმა მოუმატეს და სამი გოლი გაიტანეს. გოლებიდან ორი **ედერსონმა** შეაგდო, თითო კი **კეიტამ** და **კანამ.** მთელი მეორე ტაიმი ითამაშა **მიროსლავ კლოზემ**, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა. მატჩის შემდეგ, **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** მოკლე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ მისი გუნდი ფირმის პიკზე სექტემბრის დასაწყისში გავა.

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერი



ჟოზე მოურინიო და მასიმო მორატი

# სამი წლის მერე შევხვდებით

## ჟოზემ მორატი დააიმედა

ბოლო პერიოდში, **მასიმო მორატი** ჟურნალისტებთან იშვიათად ჩნდება - ალბათ იმიტომ, სალაპარაკო ბევრი არაფერი აქვს... მისი „ინტერი" სატრანსფერო ბაზარზე პასიურობს და ეს იმ ფონზე, როდესაც სხვა იტალიური გრანდები ძლიერდებიან. მორატიმ სატრანსფერო თემას „ლა სტამპასთან" საუბრის დროსაც აარიდა თავი, სამაგიეროდ, ერთი მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა: *„რამდენიმე დღის წინ, ჟოზე მოურინიოს ვესაუბრე და „ჩელსიში" წარმატებები ვუსურვე. დარწმუნებული ვარ, პორტუგალიელი ლონდონში ბევრ ტროფეის მოიგებს. რა მიპასუხა? - დამპირდა, რომ სამ წელიწადში ჩვენი გზები ისევ გადაიკვეთება".*

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიო „ინტერს" 2008-2010 წლებში ედგა სათავეში და ამ პერიოდში, გუნდს ყველაფერი მოაგებინა.

**ლაშა ნიკლაური**

● თამამი განცხადება

# რონალდოს მიზანი: 70 გოლი სეზონში!



უკვე ვწერდით, რომ **კრიშტიანო რონალდოს** შემართება ძალიან მოეწონა მადრიდის „რეალის" ახალ თავკაც **კარლო ანჩელოტის**. ესპანური მედიისთვის რონალდოს პირადი მიზანიც გახდა ცნობილი - 70 გოლი სეზონში!

პორტუგალიელი ფორვარდი მონადინებულია, 2011/12 წლების სეზონის რეკორდი დაამხოს, როცა მან სეზონში 67 გოლი გაიტანა (60 ოფიციალურ მატჩებში და 7 ამხანაგურებში).

რონალდო იმედოვნებს, რომ რეკორდის დამყარებაში მას თანაგუნდელები დაეხმარებიან. ანჩელოტი კი პორტუგალიელს ნამდვილ პროფესიონალს და ახალგაზრდების მისაბაძ მაგალითს უწოდებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






## გერმანია

### II ბუნდესლიგა

I ტური

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-აუე | 1:2 |
| ზანდჰაუზენი-აალენი | 0:0 |
| სტ. პაული-მიუნხენი | 1:0 |
| პადერბორნი-კაიზერი | 0:1 |
| დინამო (დ)-კიოლნი | 1:1 |
| ფრანკფურტი-კარლსრუე | 0:1 |
| ფიურტი-არმინია | 2:0 |
| უნიონი-ბოხუმი | 1:2 |
| ფორტუნა-კოტბუსი | დღეს |

### III ბუნდესლიგა

I ტური

| | |
|---|---|
| ჰალეშერი-ლაიპციგი | 0:1 |
| დორტმუნდი II-შტუტგარტი II | 1:0 |
| დარმშტადტი-ელვერსბერგი | 0:0 |
| დუისბურგი-ჰაიდენჰაიმი | 0:1 |
| ჰანზა-კილი | 0:0 |
| მიუნსტერი-ბურგჰაუზენი | 3:0 |
| რეგენსბურგი-უნტერჰახინგი | 0:0 |
| ზაარბრიუკენი-ვეენი | 1:2 |
| შტ. კიკერსი-ერფურტი | 0:1 |
| ხემნიცი-ოსნაბრიუკი | 0:3 |

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

III ტური

| | |
|---|---|
| ბაიერნ ჰოფი-ნიურნბერგი II | 2:1 |
| ზელიგენპორტენი-ჰაიმშტეტენი | 4:1 |
| აინტრახტი (ბ)-ფიურტი II | 1:0 |
| ილერტისენი-როზენჰაიმი | 1:0 |
| რაინი-ვიურცბურგერი | 0:2 |
| ვიქტორია (ა)-ინგოლშტადტი II | 2:2 |
| შალდინგი-შვაინფურტი | 2:1 |

## ბელგია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-გენკი | 1:0 |

## ავსტრია

I ტური

| | |
|---|---|
| აუსტრია-ადმირა | 2:0 |
| ველტბსი-რაპიდი | 2:2 |
| გრიოდიგი-რიდი | 0:0 |
| ვინერი-ზალცბურგი | 1:5 |
| ვაკერი-შტურმი | 2:2 |

## დანია

I ტური

| | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-მიდტიულანდი | 0:2 |
| ვიბორგი-რანდერსი | 2:2 |
| ოდენსე-სონდერიისკი | 1:1 |
| ბრონდბიუ-ვესტსიელანდი | 1:1 |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2:1 |
| ესბერგი-ნორდსიელანდი | დღეს |

## ფინეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ვაასა-მიუპა | 4:1 |
| როვანიემი-ჰიკ | 0:0 |
| ლაჰტი-მარიეჰამნი | 2:1 |
| ჰონკა-კუოპიო | 1:0 |
| იუვიასკიულა-ინტერი | 2:0 |
| ტურკუ-იარო | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 19 | 11 | 4 | 4 | 37-15 | 37 |
| 2. ჰონკა | 19 | 11 | 3 | 5 | 26-18 | 36 |
| 3. ვაასა | 19 | 9 | 5 | 5 | 20-16 | 32 |
| 4. იარო | 19 | 7 | 6 | 6 | 30-24 | 27 |
| 5. ტურკუ | 18 | 7 | 6 | 5 | 21-19 | 27 |
| 6. მიუპა | 19 | 8 | 2 | 9 | 24-25 | 26 |
| 7. კუოპიო | 19 | 7 | 4 | 8 | 21-20 | 25 |
| 8. მარიეჰამნი | 20 | 7 | 4 | 9 | 27-35 | 25 |
| 9. როვანიემი | 20 | 6 | 5 | 9 | 17-19 | 23 |
| 10. ინტერი | 19 | 5 | 7 | 7 | 15-21 | 22 |
| 11. ლაჰტი | 19 | 6 | 3 | 10 | 15-27 | 21 |
| 12. იუვიასკიულა | 18 | 3 | 5 | 10 | 15-29 | 14 |

### II დივიზიონი

XV ტური

ვიიკინგიტი-კაიაანი 5:3; იიპო-ილვესი 2:1; სეინაიოენი-კოტეპე 0:1; პკ35-პაკა დღეს.

## ისლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-ჰაფნარი | 0:4 |
| აკრანესი-ვესტმანაეარი | 2:1 |
| ტორი-ბრეიდაბლიკი | 1:2 |
| ვალური-ფილკირი | 1:3 |
| სტიარნანი-რეიკიავიკი | 3:1 |
| ფრამი-ვიკინგური | დღეს |

## ირლანდია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| კობ რამბლერსი-ლონგფორდი | 4:3 |

## ოქროს თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| პანამა-კუბა | 6:1 |
| მექსიკა-ტრინიდადი | 1:0 |
| აშშ-სალვადორი | 5:1 |
| ჰონდურასი-კოსტა რიკა | გვ. დასრულდა |

## ევრო 2013

### ქალები. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| შვედეთი-ისლანდია | 4:0 |
| იტალია-გერმანია | 0:1 |
| ნორვეგია-ესპანეთი | დღეს |
| საფრანგეთი-დანია | დღეს |

## შვედეთი

გადადებულ მატჩები

| | |
|---|---|
| იურგარდენი-ნორჩოპინგი | 1:2 |
| ჰაკენი-აიკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალმიო | 16 | 9 | 5 | 2 | 31-18 | 32 |
| 2. ჰელსინგბორგი | 15 | 9 | 4 | 2 | 34-11 | 31 |
| 3. აიკ | 16 | 8 | 5 | 3 | 26-16 | 29 |
| 4. გიოტებორგი | 16 | 8 | 5 | 3 | 23-14 | 29 |
| 5. ელფსბორგი | 16 | 7 | 6 | 3 | 29-15 | 27 |
| 6. კალმარი | 16 | 7 | 6 | 3 | 19-12 | 27 |
| 7. ატვიდაბერგი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-17 | 26 |
| 8. მიალბიუ | 16 | 7 | 3 | 6 | 28-23 | 24 |
| 9. ნორჩოპინგი | 16 | 6 | 4 | 6 | 24-25 | 22 |
| 10. ჰაკენი | 16 | 6 | 2 | 8 | 19-23 | 20 |
| 11. იურგორდენ | 16 | 4 | 4 | 8 | 12-27 | 16 |
| 12. გეფლე | 16 | 2 | 8 | 6 | 17-26 | 14 |
| 13. ჰალმსტადი | 15 | 2 | 7 | 6 | 14-23 | 13 |
| 14. ოსტერსი | 16 | 3 | 4 | 9 | 13-24 | 13 |
| 15. ბრომაპოიკ | 16 | 3 | 4 | 9 | 16-34 | 13 |
| 16. სირიანსკა | 16 | 2 | 3 | 11 | 13-31 | 9 |

### II დივიზიონი

XV ტური

ფალკენბერგი-ოსტერსუნდი 2:0; სუნდსვალი-გაის 4:4; ვარნამო-ლიუნგსკილე 1:0; ჰამარბიუ-იორგრიტე 0:0; ასირისკა-ანგელჰოლმი 0:4; ლანდსკრონა-ვარბერგი დღეს.

## შვეიცარია

II ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ლუცერნი | 4:2 |
| ლოზანა-იანგ ბოიზი | 1:3 |
| სიონი-ციურიხი | 0:0 |
| თუნი-სტ. გალენი | 3:2 |
| გრასჰოპერსი-ბაზელი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იანგ ბოიზი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. გრასჰოპერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ციურიხი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. არაუ | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 5. თუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 7. ლუცერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 9. სტ. გალენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 10. ლოზანა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### ჩელენჯლიგა

II ტური

ბილი-ვინტერტური 2:1; ლოკარნო-ვოლენი 0:0; კიასო-ვილი 0:3; შაფჰაუზენი-ლუგანო 2:4; სერვეტი-ვადუცი დღეს.

## ბელარუსი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბატე-დნეპრი | 3:1 |
| ნემანი-ნაფტანი | 1:0 |
| დინამო (მნ)-ტორპედო | 1:2 |
| ბელშინა-შახტიორი | 1:1 |
| დინამო (ბრ)-მინსკი | 1:1 |
| სლავია-გომელი | 1:2 |

## ბულგარეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ჩერნო მორე | 1:0 |
| ლიუბიმეცი-ლუდოგორეცი | 1:0 |
| პირინი-ლოკომოტივი (ს) | 2:2 |
| ცსკა-ლოკომოტივი (პ) | 0:0 |
| ბოტევი-ლევსკი | 2:1 |
| ლიტექსი-ნეფტოხიმიკი | 4:1 |
| სლავია-ბეროე | დღეს |

## ხორვატია

II ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ზადარი | 3:0 |
| სლავენი-დრაგოვოლიაცი | 2:2 |
| ისტრა-სპლიტი | 1:1 |
| ჰაიდუკი-რიეკა | 1:1 |
| ოსიეკი-ლოკომოტივა | დღეს |

## ჩეხეთი

I ტური

| | |
|---|---|
| დუკლა-ზნოიმო | 1:1 |
| პლზენი-ბოჰემიანსი | 5:0 |
| სლავია-ბანიკი | 1:1 |
| იაბლონეცი-ბრნო | 0:0 |
| ტეპლიცე-სლოვაცკო | 3:2 |
| სიგმა-ლიბერეცი | 1:2 |
| იჰლავა-სპარტა | 1:4 |
| ბოლესლავი-პრშიბრამი | დღეს |

## ესტონეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ლევადია-კურესაარე | 2:1 |
| ტრანს ნარვა-ინფონეტი | 1:2 |
| ტალინა-პაიდე | 1:2 |
| სილამაე-ფლორა | 2:1 |
| კალიუ-ტამეკა | 3:0 |

## პოლონეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ზაგლებე-პოგონი | 0:2 |
| ვისლა-გურნიკი | 0:0 |
| ზავიშა-იაგელონია | 0:1 |
| ლეგია-ვიძევი | 5:1 |
| კორონა-შლიონსკი | 0:0 |
| კრაკოვია-პიასტი | 2:3 |
| რუხი-ლეხი | 1:1 |
| ლეხია-პოდბესკიძი | დღეს |

## ევრო 2013

### UNDER 19

| | |
|---|---|
| ლიტვა-ჰოლანდია | 2:3 |
| ესპანეთი-პორტუგალია | 1:0 |

## რუმინეთი

I ტური

| | |
|---|---|
| პოლი ტიმიშოარა-დინამო | 2:0 |
| სეჯეატა-გაზ მეთანი | 1:0 |
| პანდური-ბრაშოვი | 3:1 |
| სტიაუა-ჩახლაული | 2:1 |
| ბოტოშანი-კლუჟი | 0:0 |
| უნივერსიტატეა-პეტროლული | 0:1 |
| ვიიტორული-ასტრა | 0:4 |

## რუსეთი

II ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ანჟი | 2:1 |
| ტომი-ყუბანი | 1:2 |
| ვოლგა-ლოკომოტივი | 1:2 |
| ტერეკი-ამკარი | 1:1 |
| რუბინი-ზენიტი | 2:1 |
| ურალი-სპარტაკი | 0:2 |
| როსტოვი-კრასნოდარი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ამკარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. როსტოვი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ლოკომოტივ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. რუბინი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. ყუბანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. ზენიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 9. ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 10. ანჟი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 10. ტერეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12. ვოლგა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 12. კრასნოდარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14. ურალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 15. კრილია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16. ტომი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

## სლოვაკეთი

II ტური

| | |
|---|---|
| მორავცე-რუჟემბეროკი | 1:3 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 1:0 |
| ნიტრა-მიიავა | 0:1 |
| დ. სტრედა-ჟილინა | 0:1 |
| ტრნავა-ტრენჩინი | 2:1 |

## სლოვენია

II ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-ტრიგლავი | 2:2 |
| კრკა-გორიცა | 1:1 |
| რუდარი-მარიბორი | 0:3 |
| ზავრცი-პუბლიკუმი | 2:1 |
| კოპერი-ოლიმპია | 1:1 |

## უკრაინა

II ტური

| | |
|---|---|
| ილიჩივეცი-დნიპრო | 0:2 |
| გოვერლა-დინამო | 1:2 |
| არსენალი-მეტალისტი | 1:2 |
| მეტალურგი (დ)-კარპატი | 1:1 |
| სევასტოპოლი-შახტარი | 1:3 |
| ვოლინი-ტავრია | 1:0 |
| ჩერნომორეცი-ვორსკლა | 1:1 |
| ზორია-მეტალურგი (ზ) | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დნიპრო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. მეტალისტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 4. ვორსკლა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. ვოლინი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ზორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 8. ილიჩივეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 9. ჩერნომორეცი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 10. მეტალურ (დ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 11. სევასტოპოლი | 2 | 0 | 1 | 1 | -2-4 | 1 |
| 12. კარპატი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 13. მეტალურ (ზ) | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14. ჰოვერლა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 15. ტავრია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 16. არსენალი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

## ბრაზილია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-ნაუტიკო | 2:0 |
| კრისიუმა-გრემიო | 2:1 |
| სან პაულუ-კრუზეირო | 0:3 |
| ატ. პარანაენსე-კორინთიანსი | 1:1 |
| ინტერნასიონალი-ფლამენგო | 1:0 |
| სანტოსი-კორიტიბა | 2:2 |
| ვიტორია-ბაია | 0:0 |

## ეკვადორი

IV ტური

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-მანტა | 3:0 |
| ლდუ კიტო-ბარსელონა | 2:2 |
| დეპ. კიტო-ელ ნასიონალი | 0:0 |
| დეპ. მაკარა-ლიგა დე ლოხა | 1:1 |

## პერუ

XXVI ტური

| | |
|---|---|
| კახამარკა-კომერსიო | 1:0 |
| ხუან აურიჩი-სესიანო | 6:1 |
| ინტი გასი-სესარ ვალიეხო | 0:0 |
| ალიანსა ლიმა-სპორტი | 1:0 |
| ლეონი-სან მარტინი | 5:0 |
| მელგარი-უნივერსიტარიო | 2:2 |

## მექსიკა

I ტური

| | |
|---|---|
| კერეტარო-მორელია | 1:3 |
| ტიხუანა-ატლასი | 3:3 |
| კრუს ასული-მონტერეი | 1:0 |
| ვერაკრუსი-ხაგუარესი | 2:2 |
| ლეონი-ატლანტე | 1:0 |
| ტოლუკა-პაჩუკა | 0:1 |
| პუებლა-პუმასი | 1:1 |

ძიუდო. მოსკოვის ტურნირი

# მოსკოვმა მუზარადი არ მოგვარგო

## ბოლო ტურნირის პერიპეტიები

საქართველოს ვაჟთა ნაკრები თითო ოქროსა და ბრინჯაოს დასჯერდა მოსკოვის „დიდ მუზარადზე" - ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** (60) გახდა, მესამეზე კი **ზებედა რეხვიაშვილი** (73) გავიდა. ბრინჯაოს მედლისთვის კიდევ ორი ქართველი ჭიდაობდა – **ზვიად გოგოჭური** (90) და **ლევან მატიაშვილი** (+100), მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ. მწირი მონაგარის მიუხედავად, საერთო გუნდურ ჩათვლაში მეხუთეზე მაინც ვართ, ვაჟთა შორის კი - სულაც მეოთხეზე.

ცხადია, შედეგი არაა ისეთი შთამბეჭდავი, რასაც ბოლო თვეებში ძიუდოისტთა ნაკრებმა მიგვაჩვია, მაგრამ ვიქონიოთ იმედი, რომ ეს ბაკურიანული ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრების ბრალია და ქართული ძიუდოსთვის სიმპტომური ამბავი არ ხდება, როცა ბოლო ორი წლის განმავლობაში კარგად გამოვდიოდით ევროპის პირველობებზე ანუ სეზონის პირველ ნახევარში, მაგრამ ვაგდებდით მეორე ნაწილს. ტურნირზე მთლად ასეთი საგანგაშო არაფერი შეგვინიშნავს, თუმცა ვიცით, აუცილებლად გაჩნდება კითხვა უმედლობის თაობაზე და სკეპტიკოსებიც გამოჩნდებიან. სადღაც მათიც გვესმის – შიშს ისედაც დიდი თვალები აქვს, რაც ჩვენ ბოლო წლებმა კიდევ უფრო გაგვიფართოვა. წინ კიდევ დარჩენილია მოსამზადებელი შეკრებები და ნაკლოვანებების გამოსწორების იმედი ვიქონიოთ.

მოსკოვში გუნდის უმეტესობა ცოტა გადაღლილი, ადრინდელთან შედარებით ინერტული ჩანდა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ბაკურიანის შემდეგ დასვენება არ ეყოთ. თუ მიზეზი მართლაც ესაა, იოლად გამოსწორებადია, თუმცა ნაკრების რამდენიმე წევრმა კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა, დაგვანახა პროგრესი. აი, ეს კი გვავარაუდებინებს, რომ გუნდი სწორი გზით მიდის, ხოლო პრობლემები ზემოაღნიშნულითაა გამოწვეული.

### ისევ პაპინა-ოქრო

„პაპინა-უკვე" - უკვე მერამდენედ გვიწევს ამ სასიამოვნო მეტსახელის დაწერა, რაც კასპელი ფალავნის დამსახურებაა. უზნაძის ხელში, ახალი წესების შემდეგ მან საგრძნობლად მოუმატა, ჭიდაობაც გარდაქმნა, შედეგებიც მოიმკო და წონის გამოკვეთილ ლიდერადაც იქცა. *„პაპინაშვილი მწვრთნელის გეგმას - ეჭიდავათ ახლოდან და დაესწროთ პირველი ჩავლება მარცხენა ხელით, მარჯვენათი კი ზედა ჩავლებაზე ემუშავათ, ყველაზე ნაკლებად იცავდა, ოლონდ არა სიჯიუტის გამო – მისი სტილი ცოტა განსხვავებულია, უფრო თავისუფლად, დისტანციიდან ბრძოლას არჩევდა, შედარებით ბევრსაც მოძრაობდა და გამუდმებით აწუხებდა მეტოქეებს,"* - ეს სიტყვები წლეულს თებერვალში, დიუსელდორფის ტურნირს შემდეგ დავწერეთ, სადაც მესამეზე გავიდა. მას შემდეგ უზნაძემ მისი საჭიდაო სტილი საფუძვლიანად გარდაქმნა და მოარგო ახალ წესებს – უკვე პირველ ჩავლებაზეც ჭიდაობს, თან ახლო დისტანციიდან, ამავდროულად კვლავაც ბევრს მოძრაობს და მეტოქეს აქეთ-იქით დაათრევს ანუ ისევ წნეხში ჰყავს. ამასთან, ტექნიკურადაც კარგად ირჯება. მოსკოვში ის პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი შეხვედრის დასრულებამდე 1.34 წუთით ადრე ჰოლანდიელი ევროპის ორგზის მედალოსანი **ხერუნ მოორენი** მშვენიერი ბრუნით გადააგდო იპონზე. მასთან კარიერაში მეორედ იმარჯვა. მეოთხედფინალშიც კარგად ნაცნობი მეტოქე ჰყავდა – აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ილგარ მუშკიევი**, ვისთანაც აქამდე სამჯერ მოეგო. შეხვედრის შუაში მუშკიევმა გარესარმით ვაზარი მოიპოვა და პირველად მიეცა ჩვენებურთან მოგების რეალური შანსი, ოღონდ ვინ დააცალა – ორთაბრძოლის მიწურულს პაპინაშვილი კარგად შეეკრა და ბრუნის მსგავსად წამოილო, ოღონდ რაღაც უცნაური ტრაექტორიაც გააკეთა – პრაქტიკულად, ჰაერში აწეულმა მარჯვენა ფეხით ამოსმულიც მიაყოლა და აზერბაიჯანელი ზურგს უკან გადააგდო. გდება იმდენად ეფექტური გამოდგა, ოპერატორებმა პირდაპირი რეპორტაჟისას გაიმეორეს, რაც იშვიათად ხდება. მსაჯმა ილეთი ვაზარად შეაფასა, თუმცა პაპინაშვილმა მეტოქე იქვე შებოჭა. ეფექტური იყო სომეხთა მსოფლიოს პრიზიორსა და ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონ **ჰოვანეს დავთიანთან** გაკეთებული ბრუნიც – ამ დროს გაფრთხილებებითაც უგებდა, იუკოც ჰქონდა და მეტოქეც ვაბანკზე წავიდა, რითაც ჩვენებურმა ჩინებულად ისარგებლა. ფინალში მისი მეტოქე ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **ფელიპე კიტადაი** იყო, რომელმაც დიუსელდორფის წლევანდელი ტურნირის მსგავსად, პაპინაშვილს ვერც ამჯერად გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა – ბრაზილიელმა პირველ ნახევარში იმდენი კი მოახერხა, ქულა არ დაკარგა, მაგრამ ზუსტად 2.30-ზე პაპინაშვილმა კარგად აული ჩავლება მაჯებზე და მოგვერდით უზადოდ დააგდო. მსაჯმა ილეთი თავიდან იუკოთი შეაფასა, მაგრამ შეცდომა მყისვე გაასწორა.

პაპინაშვილი ამ ოქროსთვის 500 ქულას შეიმატებს, რითაც რეიტინგში იაპონელ **ნაოჰისა ტაკატოსაც** გადაუსწრებს და აგვისტოს ბოლოს გასამართ მსოფლიოს პირველობას ცხრილის ლიდერად შეხვდება.

### ბრინჯაოს ხალხი

ვინ იცის, რა წვლილი მიუძღვით მსაჯებს ზებედა რეხვიაშვილის მესამე ადგილზე დატოვებაში - მეოთხედფინალში მათ ბელგიელ ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორს, ტურნირის მომავალ გამარჯვებულ **დირკ ვან ტიხელტს** ძალზე საეჭვო ვითარებაში მისცეს იპონი... ილეთისთვის მზადება აშკარად ბელგიელმა დაიწყო, მაგრამ გდება ვერ მოახერხა და მცდელობა ჩაიშალა. მეტოქეებმა ჩახვეული ფეხიც კი გახსნეს და რეხვიაშვილმა ტატამზეც დადგა ის, რითაც უკვე მან დაიწყო ილეთისთვის მზადება და ამოსმულით წამოილო, მაგრამ ტიხელტმა ქამარში ჩავლება შეინარჩუნა და



ამირან პაპინაშვილი

ვარდნისას ილეთი გაუგრძელა. აი, სწორედ ამ ეპიზოდში გადაგორდა ჩვენებური ბეჭებზე, თუმცა მანამ ბელგიელი დავარდა ბეჭებზე, მაგრამ არბიტრმა რატომღაც გდება მაინც მას ჩაუთვალა. ოპერატორები ამ ეპიზოდს დიდხანს იმეორებდნენ და კომენტატორიც უფრო იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ფანდი ქართველმა დაიწყო. არადა, რეხვიაშვილი შესანიშნავად იყო მომზადებული და პაპინაშვილთან ერთად თუ ვინმეს გამოვარჩევთ, უდავოდ – მას. პირველ წრეში ამ სეზონში უკვე მეორედ მოუგო რუს **მურად კოძოკოვს** – მაჯებიდან საიმედო ჩავლებით გარეფეხით გამოცელა, ბრაზილიელი **მარსელო კონტინი** პირდაპირ დააიპონა, სანუგეშოში ამერიკელ **ნიკოლა დელპოპოლოს** სამივე ხარისხის ქულა აართვა, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი** გააბითურა – კარგად გადაავლო და გარესარმით მოწყვეტით გადაჩეხა იპონზე. პროგრესი რეხვიაშვილსაც ეტყობა – იმავე ჩავლებებში, ფიზიკურ მომზადებაში, ტექნიკურ-ტაქტიკურ ასპექტებში. საწყენია, ასეთ საეჭვო ვითარებაში რომ წააგო. ამით მან 200

>> მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

ქულა შეიმატა და რეიტინგის განახლების შემდეგ, როცა ზოგს გაუნახევრდება, ზოგს კი გაუნულდება ქულები, შესაძლოა, მსოფლიოზე 8 განთესილს შორისაც მოხვდეს. აღსანიშნავია, რომ ახლა რეიტინგში მერვე ნომერი დელპოპოლოა.

წინასწარ შეხვედრებში გოგოჭური თავიდან ისვენებდა, მერე კი ბრაზილიელ **ედუარდო სილვას** გაფრთხილებებით მოუგო. მეოთხედფინალში ჩვენებური რუს **იური პანასენკოვთან** წმინდად დამარცხდა – თავიდან გაფრთხილებებით აგებდა, რისი გაქვითვაც კი შეძლო, მაგრამ ეტყობა, დაიღალა და შეხვედრის ბოლოს ჯერ ძალიან იოლად გადაჰყვა ილეთზე, როცა რუსი ჩავლებიდან უკან გადაკოტრიალდა და ვაზარი მიიღო, დასრულებამდე 27 წამით ადრე კი ჩვენებურმა მეტოქე იოლად შეუშვა შეკვრაზე, რომელმაც ბრუნით იპონზე გადააგდო. დამამშვიდებლის პირველ წრეში გოგოჭურს ჰოლანდიელი მსოფლიოს ექსჩემპიონი **ხიიომ ელმონტი** არ გამოუცხადდა, ხოლო ბრინჯაოსთვის შეხვედრაში იაპონელმა **ჰიროტაკა კატომ** დასაწყისშივე მტკივნეულზე დაიჭირა.

მატიაშვილმა პირველად ორი იუკოთი **ადამ ოქრუაშვილის** უმცროსი ძმა, აზერბაიჯანში გადასული **ვახტანგ ბიტიევი** დაამარცხა, რუს **ალექსანდრ ვოლკოვს** ჯერ გაფრთხილებებით გაუთანაბრა ანგარიში, შეხვედრის მიწურულს კი ტექნიკურ-ტაქტიკურად სწორად გაისარჯა – ფეხიც კარგად ჩაუხვია, მხარიც ეფექტურად ჩაუდგა და მიწოლით იუკოზე იოლად გადააგდო. ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **რაფაელ სილვა** ისე გამოცელა, პირდაპირ იპონზე ხომ დააგდო, მხარიც ატკინა და, ვგონებთ, მეტოქე ვარდნისას გაითიშა კიდეც – თავით დაეცა. ამის შემდეგ ჩვენებურს მალევე მოუწია საჭიდაოდ გასვლამ ჩინებულად მოასპარეზე გერმანელ **რობერტ ზიმერმანთან**, რომელიც გუშინ წარმატებით იყენებდა თავის საყვარელ ფანდს - ჩავლებიდან ფეხის ამოსმით უკუგდებით რამდენიმე მეტოქე დააიპონა. ნახევარფინალში ჩვენებურთან ეს ილეთი არ გამოუვიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ გდებაზე შებოჭა. დამამშვიდებლის ფინალში მატიაშვილი ყირგიზმა **იური კრაკოვეცკიმ** გარესარმით საიპონედ მოცელა... ჩვენებურის გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ, რადგან ჯერ 20 წლისაა, თუმცა დაიღალა. ალბათ, იმის გამო რომ შეკრების შემდეგ (ის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად გაიარა და არა ეროვნულთან) ყაზანშიც იჭიდავა უნივერსიადაზე. თან სიმაღლითაც პატარაა – თითქმის ყველა მეტოქე მასზე დიდი იყო, მაგრამ ამ ხარვეზს სწორი ჭიდაობით და ილეთებით აბათილებს – ამას თუნდაც მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე მაღალ სილვასთან გაკეთებული გდება ადასტურებს.

## წაგებულები

სამწუხაროდ, დანარჩენ ქართველებზე ბევრიც არაფერია სათქმელი... **შალვა ქარდავა** (66) პირველივე წრეში იუკოთი დამარცხდა შებერებულ რუს **დენის ლავრენტიევთან**. ამავე წონაში უფროსებში საქართველოს ჩემპიონი **ტრისტან ფეიქრიშვილი** თავიდან ჰოლანდიელ **გუნარ კოპს** იპონით მოერია, მაგრამ რუსთა ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონ **კამალ ხან –მაგომედოვთან** სუფთად წააგო. **ნოდარ მეტრეველმა** (100) რუსი **ხაიბულა მაგომედოვი** კი დააიპონა, მაგრამ ყაზახთა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ **მაქსიმ რაკოვთან** გაფრთხილებებით წააგო. ამ წონაში დროებით მოასპარეზე **ვალერი ლიპარტელიანი** იაპონელ **იუსიკე კუმაშიროსთან** წმინდად მოგების შემდეგ უზბეკ **რამზიდინ საიდოვთან** კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა – 2 იუკოს და ვაზარის აგებდა, მაგრამ ფიზიკურად მასზე ბევრად დიდმა მეტოქემ შებოჭა. ადამ ოქრუაშვილს წამიერი მოდუნება იპონად დაუჯდა იაპონელ **რიუტა იშიისთან** და გავარდა. არადა, მას წლეულს დიუსელდორფში რეტი დაასხა, ისეთ ბრუნზე დააბზრიალა.

ახლა ჩვენი ნაკრები მოსკოვიდან სოჭში გადაინაცვლებს, სადაც ერთკვირიან საწვრთნელ კემპში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირზე ნაჭიდავებ შემადგენლობას შეკრებაზე ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66), ევროპის ვერცხლის მედალოსანი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) და ევროპის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) დაემატებიან.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**60 კგ. 1. ამირან პაპინაშვილი (საქართველო)**; 2. ფელიპე კიტადაი (ბრაზილია); 3. ილგარ მუშკიევი (აზერბაიჯანი), ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი).

**66 კგ.** 1. კარლეს ჩიბანა (ბრაზილია); 2. კოლინ ოუტსი (ბრიტანეთი); 3. მირზაჰიდ ფარმონოვი (უზბეკეთი), ლუის რევიტე ბრაზილია).

**73 კგ.** 1. დირკ ვან ტიხელტი (ბელგია); 2. დმიტრი იარცევი (რუსეთი); **3. ზებედა რეხვიაშვილი (საქართველო)**, ნავრუზ ჯურაკობილოვი (უზბეკეთი).

**81 კგ.** 1. სვენ მარეში (გერმანია); 2. ვიტალი დუდჩიკი (უკრაინა); 3. სტანისლავ სემენოვი, ივან ვორობიოვი (ორივე – რუსეთი).

**90 კგ.** 1. გრიგორი სულემინი (რუსეთი); 2. ერკინ დანიოროვი (უზბეკეთი); 3. ალექსანდრ იურეცკა (ჩეხეთი), ჰიროტაკა კატო; **5. ზვიად გოგოჭური (საქართველო)**.

**100 კგ.** 1. ჯავად მაჰჯოუბი (ირანი); 2. რამზიდინ საიდოვი (უზბეკეთი); 3. ლუსიანო კორეა (ბრაზილია), დიმიტრი პეტერსი (გერმანია).

**+100 კგ.** 1. რობერტ ზიმერმანი; 2. ანდრეას ტოლცერი (ორივე – გერმანია); 3. ფაიცელ ჯაბალანი (ტუნისი), იური კრაკოვეცკი (ყირგიზეთი); **5. ლევან მატიაშვილი (საქართველო)**.

#### ქალები

**48 კგ.** 1. სარა მენეზესი (ბრაზილია); 2. ოტგონცეცეგ გალბადრახი (მონღოლეთი); 3. ლუსინე ავაქიანი (რუსეთი), მონიკა უნგურეანუ (რუმინეთი).

**52 კგ.** 1. იაანა სუნდბერგი (ფინეთი); 2. ერიკა მირანდა (ბრაზილია); 3. გილი კოენი, რონი შვარცი (ორივე – ისრაელი).

**57 კგ.** 1. მირიამ როპერი (გერმანია); 2. კეტლინ ქუადროსი; 3. რაფაელა სილვა (ორივე - ბრაზილია), საბრინა ფილზმოსერი (ავსტრია).

**63 კგ.** 1. იარდენ გერბი (ისრაელი); 2. ანიცკა ვან ემდენი (ჰოლანდია); 3. მუნგუნჩიმეგ ბალდორჯი (მონღოლეთი), მარტინა ტრაიდოსი (გერმანია).

კალათბურთი

# სლოვენიამ მზადება დაიწყო

წლეულს კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრები C ჯგუფში პოლონეთს, ესპანეთს, ჩეხეთს, ხორვატიას და სლოვენიას დაუპირისპირდება. მასპინძლებმა ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მზადება დაიწყეს, თუმცა არასრული შემადგენლობით. მთავარმა მწვრთნელმა **ბოჟიდარ მალკოვიჩმა** შეკრებაზე 16 კალათბურთელს უხმო. მათგან ცამეტი (გორან დრაგიჩი, იაკა ლაკოვიჩი, იაკა ბლაჟიჩი, ზორან დრაგიჩი, კლემე პრეპელიჩი, ედო მურიჩი, დომენ ლორბეკი, ლუკა ლაპორნიკი, იურე ბალაჟიჩი, იაკა ბროდნიკი, გეზიმ მორინა, უროშ სლოკარი, გასპერ ვიდმარი) გამოცხადდა პირველ ვარჯიშზე, ხოლო მირზა ბეგიჩი, ბოსტიან ნახბარი და ნებოისა იოკსიმოვიჩი, მწვრთნელთან შეთანხმებით, ნაკრებს 4 დღის დაგვიანებით შეუერთდებიან.

ქართველთა მეტოქეებმა წვრთნა დაბა როგასკა სლატინაში დაიწყეს; მერე ლიუბლიანაში გადაინაცვლებენ. ზრიცში, კრასნა გორასა და ცელიეში სლოვენილები 12 საკონტროლო მატჩს გამართავენ, მათ შორის უკრაინასთან, მაკედონიასთან, ლატვიასა და თურქეთთან.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (4-22 სექტემბერი) ჯგუფიდან მომდევნო რაუნდში 3 გუნდი გავა.

**ვაჟა დანელია**

U18

# ზედიზედ ოთხი მარცხი



შტრუმიცაში (მაკედონია) გრძელდება 18-წლამდელ კალათბურთელთა ევროპის პირველობა B დივიზიონში, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ჩაება. სამწუხაროდ, **მიხეილ ბერუაშვილის** გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი დათმო: სტარტზე ესტონეთთან დამარცხდა - 57:73 (10:18, 21:22, 11:16, 15:17), მერე ჰოლანდიასთან ვერაფერი გააწყო - 60:71 (9:19, 16:19, 17:14, 18:19). კვირას საქართველოს ნაკრები ავსტრიას დაუპირისპირდა. ჩვენებურებს თითქოს ურიგოდ არ უთამაშიათ - მეორე და მეოთხე ათწუთიანი მონაკვეთები მოიგეს, მაგრამ საერთო წარმატებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ მატჩის გმირი იყო ავსტრიელთა 213-სანტიმეტრიანი გიგანტი იაკობ პიოლტლი, რომლის ანგარიშზეა 25 ქულა და 16 მოხსნა. ჩვენგან 15 ქულით საუკეთესო იყო ზაქრაძე, სანაძემ 14 ქულას მოუყარა თავი. ავსტრიელებთან მარცხით საქართველოს ნაკრებს, ფაქტობრივად, ჯგუფიდან გასვლისა და A დივიზიონის საგზურისთვის ბრძოლის შანსი გადაეწურა, მით უმეტეს, რომ გუშინ ჩვენები მეოთხედაც დამცხდნენ - ამჯერად ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ გერმანიასთან - 62:86 (17:17, 10:20, 15:25, 20:24). ქართველთაგან საუკეთესო იყო **ბოლქვაძე** - 19 ქულა. ალემანთაგან 18 ქულა ვიმბერგმა, 14-14 ქულა ფერნერმა და აკპინარმა მოაგროვეს.

დღეს საქართველოს ნაკრები ჯგუფის ბოლო შეხვედრას ნორვეგიასთან გამართავს.

**ვაჟა დანელია**

U20

# საქართველოს 20-წლამდელებმა A დივიზიონი დატოვეს

ტალინში დამთავრდა 20-წლამდელ კალათბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობა. უკვე გაუწყეთ, რომ ზედიზედ შვიდი მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა A დივიზიონის სახიფათო ზონაში მყოფ ოთხ გუნდს შორისაც ვერ ივარგა: **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა უკრაინასთან 47:75 წააგეს და ელიტა დატოვეს. გუშინ ჩვენები, ასევე, B დივიზიონში დაქვეითებულ ესტონელებს დაუპირისპირდნენ. უმოტივაცო მატჩში მასპინძლებმა უფრო მოინდომეს, უსტიაშვილმა ეროვნული ნაკრების კანდიდატთაგან **ოთარ ფხაკაძე** საერთოდ არ გამოიყვანა მოედანზე, **რევაზ როგავამ** კი მხოლოდ 6 წუთი ითამაშა.

პირველი პერიოდი ბალტიისპირელებმა შვიდი ქულით მოიგეს, მეორე ათწუთიან მონაკვეთში ქართველმა კალათბურთელებმა იყოჩაღეს. შესვენების შემდეგაც გუნდებმა თითო მეოთხედში მიაღწიეს წარმატებას, თუმცა ესტონელებს 9 ქულით მეტი აღმოაჩნდათ და პაექრობაც მათი გამარჯვებით დამთავრდა - 79:70 (23:16, 21:23, 23:10, 12:21). ქართველთაგან 18 ქულით საუკეთესო იყო **ირაკლი მიქელაძე**. **კახა ჯინჭარაძის** ანგარიშზეა 12 ქულა და 13 მოხსნა, **ნოდარ გოგოძემ** კი 12 ქულა შესძინა თავის გუნდს. ესტონელთაგან 20 ქულით **მარტინ პაასოი** გამოირჩა.

საქართველოს და ესტონეთის 20-წლამდელთა გუნდების ბედი გაიზიარა ჩვენებურთა მძლეველმა უკრაინის ნაკრებმა, რომელიც ბოლო გადამწყვეტ პაექრობაში ჩეხეთთან დამარცხდა - 68:75 (20:15, 13:14, 12:20, 23:26). გაისად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ჩეხებმა შეინარჩუნეს.

რაც შეეხება მედლებს, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ესპანელებმა რუსებს სძლიეს 70:63 (23:17, 14:11, 15:11, 18:24), ფინალში კი იტალიელები და ლატვიელები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თავიდან ბალტიისპირელები აქტიურობდნენ და პირველი პერიოდი 4 ქულით მოიგეს. ლატვიელებს არც მეორე 10-წუთიან მონაკვეთში დაუთმიათ უპრატესობა და ანგარიშში სხვაობა 8 ქულამდე გაზარდეს. შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი ძირფესვიანად შეიცვალა - მოედნის ბატონ-პატრონი იტალიელები გახდნენ, მატჩი 67:60 (9:13, 14:18, 23:11, 21:18) მოიგეს და ჩემპიონობა მოიპოვეს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალში დამარცხდნენ

გერმანიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, როგორც გაუწყეთ, **სოფიო ქვაცაბაიამ** სტარტზევე წააგო (5:7, 6:2, 6:7) რუს იანა სიზიკოვასთან, **ეკატერინე გორგოძემ** კი მე-2 ნომრად განთესილი ალიაქსანდრა სასნოვიჩი (ბელარუსი) ჩამოიშორა გზიდან (6:1, 6:4), თუმცა მეორე წრეში სიზიკოვას ვერც მან აჯობა (6:4, 4:6, 2:6).

წყვილთა პაექრობაში ქართველმა ჩოგბურთელებმა, რომლებიც მე-4 ნომრად იყვნენ განთესილი, ნახევარფინალს უწიეს: ჯერ კინდი ბურგერსა (ჰოლანდია) და ლენა-მარი ჰოფმანს (გერმანია) გასცდნენ მეტოქის ტრავმის ხარჯზე, მერე ვივიან ჰეისენისა (გერმანია) და ანია პრისლანის (სლოვენია) დუეტი დაჯაბნეს - 6:4, 5:7, 10:7, ნახევარფინალი კი ტურნირის რეიტინგფავორიტ ქრისტინა შაკოვეცისა (გერმანია) და მაშა ზეკ-პესკარიჩის (სლოვენია) ტანდემთან, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმეს - 0:6, 1:6. ტურნირი რუსეთის სახელით მოასპარეზე ნათელა ძალამიძემ და ალექსანდრა არტამონოვამ (რუსეთი) მოიგეს - ფინალში მათ პირველ ნომრებს ორ სეტში დააყრევინეს ფარ-ხმალი - 6:3, 7:6.

**ვაჟა დანელია**

ფრენბურთი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ქართველას თასი ბელარუსებს

თბილისში დასრულდა ტრაგიკულად დაღუპული ფრენბურთელის **გოგა ქართველიშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი პლაჟის ფრენბურთში - „ქართველას თასი". შეჯიბრებაში, რომელიც ვაჟა კაჭარავას სახელობის ოლიმპიური მზადების საფრენბურთო ცენტრში გაიმართა, ექვსი ქვეყნის - საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, უკრაინისა და თურქეთის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ.

„ქართველას თასი" ბელარუსული წყვილის **კოვალენკო-ჟარიკოვის** ნადავლი გახდა, რომელმაც ფინალში ქართული, ახვლედიანი-ლობჟანიძის დუეტი დაამარცხა ორ სეტში - 21:17, 21:18. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი, ჩვენებურთა წყვილმა **ჯანხოთელი-ლიპარტელიანი** სომხურ **აბარიან-ასრამიანის** დუეტს აჯობა 2:0 (21:18, 21:19).

„ქართველას თასის" გათამაშება წლეულს მეხუთედ ჩატარდა. მის ორგანიზებაში თბილისის მერიასთან ერთად, გოგა ქართველიშვილის მეგობრები და ოჯახის წევრები გვეხმარებიან. ვფიქრობ, წლეულს კარგი, საინტერესო ტურნირი გამოგვივიდა. შეჯიბრებაში საკმაოდ მაღალი დონის ფრენბურთელებმა იასპარეზეს და მაყურებელმა ბევრი დაძაბული მატჩი იხილა" - თქვა ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ირაკლი ჩაჩუამ.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-16 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

საწყლოსნო სახეობები

# ქართული წყალბურთი ტრადიციების დაბრუნების გზას ადგას

**საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორი რაუნდი შესანიშნავად განვლო და, როგორც გაუწყეთ, ფაქტობრივად, პლეი ოფში თამაში გარანტირებული აქვს. ნაკრების წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ყოფილი წყალბურთელი დავით რურუა:**

- საქართველოში ერთ დროს წყალბურთის კულტი იყო და აქ ისეთი მოთამაშეები აღიზარდნენ, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც ისახელეს თავი. მერე ტრადიცია დავიწყებას მიეცა და თუ რამ შემოგვრჩა, ისიც თითო-ოროლა ენთუზიასტის წყალობით. ახლა კი შემიძლია ვთქვათ, რომ ქართული წყალბურთი აღმავლობის გზაზეა. დასტურად ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების გამარჯვებებიც კმარა. როგორც იცით, ქვეყნის პირველმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორი რაუნდი მოიგო, ახალგაზრდებმა კი კონტინენტის პირველობის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს და წლეულს სექტემბერს მალტაზე მედლებისთვის იბრძოლებენ.

**- ბატონო დავით, ზოგიერთი ქომაგი ეროვნული ნაკრების წარმატებებს ნატურალიზებულ წყალბურთელთა დამსახურებად მიიჩნევს...**

- ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ჩვენი სპორტის სპეციფიკაში, ალბათ დამეთანხმება, რომ წყალბურთს მხოლოდ ოთხი კაცი არ თამაშობს. ეს გუნდური სპორტია და მის თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აკისრია. მაგალითად, მარკო ელეზი შესანიშნავი წყალბურთელია, მაგრამ იგი ერთდროულად მეკარე, მცველი და თავდამსხმელი ვერ იქნება. გეთანხმებით, ელეზიც, მარკო ელაჩაც, დამირ ცრეპულიაცა და მარინო ფრანიჩევიჩიც გამოცდილი, შესანიშნავი წყალბურთელები არიან და ჩვენი ნაკრებისთვის უდიდეს ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ის გამარჯვებები, რომლებიც ბოლო დროს ჩვენმა გუნდმა მოიპოვა, მხოლოდ მათი დამსახურება არ არის. გვიხარია, რომ მათ გვერდით ქართველი წყალბურთელები ოსტატობას იმაღლებენ და საერთაშორისო სარბიელზე უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. ეს მათ ჯერ კიდევ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე დაამტკიცეს, სადაც ევროპის 12 საუკეთესოში შემავალ რუმინეთსა და თურქეთს სძლიეს, აღარაფერს ვამბობ სლოვაკეთზე.

**- მალტაზე ჩასვლამდე ჩვენმა ნაკრებმა ჩერნოგორიაში საწვრთნელი შეკრება გაიარა.**

- დიახ, თუმცა ეს მხოლოდ შეკრება არ ყოფილა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე რაუნდისთვის ძალები რომ შეგვემოწმებინა, რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც გავმართეთ. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ჩერნოგორიაში გამგზავრებამდე „ოლიმპიკის" აუზში „თბილისის თასი" მეოთხედ მოვიპოვეთ, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებ გუნდებს მოვუგეთ, თანაც ნატურალიზებული წყალბურთელების გარეშე.


საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მალტაზე გამარჯვების შემდეგ

ჩერნოგორიაში საწვრთნელ შეკრებაზე იყვნენ ავსტრალიისა და ამერიკის საკლუბო და ეროვნული ნაკრები გუნდები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. პირველი ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სწორედ მწვანე კონტინენტის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ წარმომადგენელს მოვუგეთ. ჰერცეგ ნოვიში ორი რვაწუთიანი პერიოდი ვეთამაშეთ სერბეთის პირველი ნაკრების მე-2 ექვსეულს. არ გვეგონა, თუ ამ მინიშეხვედრაში ასეთ ძლიერ მეტოქეს ვაჯობებდით; ყველაზე მძიმე პაექრობა ლონდონის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსან ავსტრალიის ნაკრებთან გვქონდა. ეს გუნდი ბარსელონაში მიემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე. ცხადია, ჩვენზე ძლიერები და გამოცდილები არიან, 4 ბურთის სხვაობით დაგვამარცხეს. ჯავრი ამერიკის ხუთგზის ჩემპიონ გუნდსა და ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებზე ვიყარეთ - ორივეს დიდი ანგარიშებით ვძლიეთ.

**- ასე ვთქვათ, მალტაზე დიდი იმედებით ჩახვედით.**

- დიახ. ტრაბახში ნუ ჩამოგვართმევთ და, ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ამბიციები გაგვიზარდა. მალტის ტურნირზე ფავორიტებად მივიჩნევდით თავს და აკი პირველი ადგილიც დავიკავეთ. განსაკუთრებით მასპინძლებთან გამარჯვებამ გაგვახარა. კუნძულელებთან 2009-2010 წლებში ორი მატჩი გვქონდა წაგებული. ბიჭებს რევანში სწყუროდათ და მიზანსაც მიაღწიეს.

**- პირველობაც თვითმიზანი იყო თქვენთვის?**

- რატომაც არა. ყოველი გამარჯვება მოტივაციას ზრდის და ახალ-ახალი წარმატებისკენ გიბიძგებს. თბილისსა და მალტაზე პირველობისკენ იმიტომ ვისწრაფვოდით, რომ რაც შეიძლება მეტი ქულა დაგვეგროვებინა. შესარჩევში მონაწილე 17 ნაკრებს შორის აუცილებლად პირველ სამეულში უნდა დავიმკვიდროთ ადგილი, რომ პლეი ოფში შედარებით სუსტ გუნდს შევხვდეთ და ფინალური ეტაპის საგზური მოვიპოვოთ.

**- შესარჩევი ეტაპის მესამე რაუნდზე რას იტყვით?**

- გათამაშების სისტემაში კიდევ რამე თუ არ შეცვალეს, სავარაუდოდ, ისეთ ხუთგუნდიან ჯგუფში უნდა მოვხვდეთ, სადაც ჩვენი დონის მეტოქეები გვეყოლება. დიდი სურვილი გვაქვს, ამ ეტაპსაც თბილისში ვუმასპინძლოთ. საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპული წყალბურთის მესვეურებს შევხვდებით და, შესაძლოა, ივლისის ბოლომდე ყველაფერი გაირკვეს.

**- სამომავლო გეგმებიც გაგვაცანით.**

- ეროვნული ნაკრების წევრები ახლა ცოტას დაისვენებენ და აგვისტოდან წვრთნას განაახლებენ. დაგეგმილი გვაქვს ჩერნოგორიისა და იტალიის ტურნირებში მონაწილეობა, მე-3 რაუნდის წინ ერთკვირიანი შეკრება სერბეთში. რაც შეეხება 18-წლამდელთა ნაკრებს, ამას წინათ იტალიის დიდ ტურნირზე ორი შეხვედრა მოიგეს. ორშიც გამოცდილება არ ეყოთ და დამარცხდნენ. აგვისტოში სლოვაკეთის ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს. სექტემბერში კი მალტაზე ევროპის პირველობის ფინალში იასპარეზებენ.

**- თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატი ახსენეთ.**

- დიახ. საწყლოსნო სახეობათა ამ მნიშვნელოვან ფორუმს ბარსელონა მასპინძლობს. იქ ოთხი წარმომადგენელი გვეყოლება. წყალხტომაში ჭოლა ჭანტურია გვეყოლება. წლეულს მან ევროპის ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, ხოლო რუსეთისა და ესპანეთის გრან პრის გათამაშების ფინალისტი. მწვრთნელ ირაკლი ბართაიასთან ერთად ჭოლა უკვე კატალონიის დედაქალაქში იმყოფება. ბარსელონის ცისფერ ბილიკებზე მოსინჯავენ ძალებს მოცურავეები - ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი ბოლქვაძე, ასევე, დავით სიხარულიძე და თეონა ბოსტაშვილი. ასე რომ, ნელ-ნელა გავდივართ დიდ სარბიელზე, რაც მომავალი თაობებისთვის მაგალითი და სტიმული იქნება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



# აკადემია ოფიციალურად გაიხსნა

ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ ევროპის 2003 წლის ჩემპიონის - დიდოსტატ **ზურაბ აზმაიფარაშვილის** ძალისხმევით თბილისში საჭადრაკო აკადემია გაიხსნა, მაგრამ უსახსრობის გამო მალევე შეწყვიტა არსებობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილის** ხელშეწყობით აკადემიამ ფუნქციონირება წლეულს მაისში განაახლა. და აი, შაბათს, 20 ივლისს, ჭადრაკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემია ოფიციალურად გაიხსნა, რომელსაც ესწრებოდნენ ფიდეს პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი**, ხუთ-ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონები - **ნონა გაფრინდაშვილი** და **მაია ჩიბურდანიძე**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე** და სხვები. აკადემიას, რომელშიც ქართველი და უცხოელი სპეციალისტების დახმარებით ოსტატობას აიმაღლებენ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრები, ასაკობრივ პირველობებში გამარჯვებულები, **მარინე მილორავა** უხელმძღვანელებს. ფიდესა და საჭადრაკო აკადემიას შორის გაფორმდა მემორანდუმი. საპატიო სტუმარმა მასპინძლებს ისიც აუწყა, რომ ფიდეს ხელშეწყობით თბილისში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის გრანდიოზული საჭადრაკო აკადემიის მშენებლობა დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 7-21 ივლისი

# მეორე დივიზიონი იაპონელმა შოთამ მოიგო

## გაგამარუმ და ტოჩინოშინმა 3-3 მოგება იკმარეს

**თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ) გადაურჩა ანტირეკორდის გამეორებას. მესამე გამარჯვება ნაგოიას ბაშოზე მან **დაიდოსთან** ორთაბრძოლაში მოიპოვა მძლავრი ოშიდაშით. სუპერტურნირის ბოლო დღეს გაგამარუ „მატადორ" **ამინიშიკის** შეხვდა და დამარცხდა.

საბოლოოდ, გაგამარუმ ბაშო 3-12 ბალანსით დაასრულა, ისევე როგორც **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, რომელმაც მხოლოდ პირველ 5 დღეს მიიღო ბაშოზე მონაწილეობა, შემდეგ კი მუხლის მძიმე ტრავმის გამო არ გამოჩენილა. გაგამარუს რეიტინგში დაქვეითება ელის, ხოლო ტოჩინოშინს - ერთი დივიზიონით ჩანაცვლებაც.

სხვათა შორის, II დივიზიონი ძურიო 14-1 ბალანსით მოიგო 22 წლის **ენდომ**, რომელმაც შეიძლება მოიპოვოს კიდევაც უმაღლესის საგზური. ამაზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, რომ არა ენდოს სახელი - **შოთა**. იაპონელს სახელი **შოთა ჩოჩიშვილის** საპატივცემულოდ ჰქვია.

იმპერატორის თასი კარიერაში 26-ედ მოიგო დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**. მონღოლის 43-შეხვედრიანი წაუგებელი სერია ბაშოს მე-14 დღეს ოძეკი **კისენოსატომ** შეწყვიტა, თუმცა ჰაკუჰოს დაწევა მაინც ვერავინ შეძლო.

### XIV დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ (უვატენაგე), კისენოსატო-ჰაკუჰო (იორიტაოში), კაკურიუ-ოკინოუმი (კოტენაგე), შოჰოზანი-კოტოოშუ (იორიტაოში), გოეიდო-აოიამა (ცუკიოტოში), იკიოი-მიოგირიუ (ოშიტაოში), **გაგამარუ**-დაიდო (ოშიდაში).

### ბოლო დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-კისენოსატო (იორიკირი), კაკურიუ-კოტოოშუ (უვატენაგე), მიოგირიუ-ოკინოუმი (ოშიდაში), გოეიდო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), შოჰოზანი-აოიამა (ოშიდაში), ამინიშიკი-**გაგამარუ** (იორიკირი).

### საბოლოო მდგომარეობა

**13-2:** ჰაკუჰო (იოკოძუნა)

**11-4:** კისენოსატო (ოძეკი), კაისეი (მაეგაშირა 12).

**10-5:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კაკირიუ (ოძეკი), ტოჩიოძანი (მ 2), აოიამა (მ 9)

**9-6:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ტაკაიასუ (მ 1), იკიოი (მ 5), ოკინოუმი (მ 6), ტაკარაფუჯი (მ 7), ტოიოჰიბიკი (მ 8), ტოკუშორიო (მ 16), შოტენრო (მ 16).

**8-7:** მიოგირიუ (სეკივაკე), გოეიდო (სეკივაკე), კიტატაიკი (მ 8), არანი (მ 10), კოტოიუკი (მ 12).

**7-8:** შოჰოზანი (კომუსუბი), ჩიოტაირიუ (მ 3), იოშიკაძე (მ 7), მასუნოიამა (მ 14), ვაკანოსატო (მ 15).

**6-9:** ამინიშიკი (მ 3), კიოკუტენჰო (მ 4), ტოიონოშიმა (მ 5), ჯოკორიუ (მ 13), ტამაასუკა (მ 14), სოკოკურაი (მ 15).

**5-10:** ფუჯიაზუმა (მ 4), სადანოფუჯი (მ 9), ტამავაში (მ 13).

**4-11:** ტოკიტენკუ (კომუსუბი)

**3-12:** გაგამარუ (მ 2), ტოჩინოშინი (მ 11).

**2-13:** ჩიონოკუნი (მ 10)

**1-14:** ტაკეკაძე (მ 1), დაიდო (მ 11).

**0-15:** ბარუტო (მ 6)

### პრიზები

**იმპერატორის თასი:** ჰაკუჰო (26)

**ბრწყინვალე ასპარეზობა:** ტაკაიასუ (1)

**მებრძოლი სული:** არავის

**ტექნიკური რიკიში:** არავის

**ძურიოს ჩემპიონი:** ენდო (1)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


შოთა ენდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პირველი საკონტროლო, პირველი გამარჯვება


ჯონი ვილკინსონი და ლევან ჩილაჩავა

საფრანგეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვე დარჩა. გუნდები უკვე ორ კვირაზე მეტია სეზონისთვის აქტიურად ემზადებიან. გასულ უქმეებზე პირველი საკონტროლო შეხვედრაც გაიმართა.

ქართველი პირველხაზელის, **გიორგი ჟღენტის** კატალონიური „პერპინიანი" ბასკურ „ბაიონს დაუპირისპირდა და 28:12 დაამარცხა. ჩვენებურის გუნდი წლევანდელი სეზონის წინ საგრძნობლად მოლონიერდა და, სავარაუდოდ, ჩემპიონატის პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლებს. პერპინიანელებს ბასკებთან დაპირისპირებაში რამდენიმე მოთამაშე დაუშავდათ, თუმცა სერიოზული არაფერია.

**ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქუტაძის** „ტულონი" კი საფეხბურთო კლუბ „მარსელთან" გამართული საქველმოქმედო, საკმაოდ უცნაური მატჩის შემდეგ, საფრანგეთის ალპებში გაემგზავრა. ჩვენებურთა გუნდი ზღვის დონიდან 3 456 მეტრის სიმაღლეზე, გრანდ მოტის მყინვართან ახლოს დაბანაკდა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, „ჰაინეკენის თასის" გამარჯვებულები აქ 26 ივლისამდე დარჩებიან. ამ დღეს ისინი ტულონში, საკონტროლო მატჩში „ბორდოს" დაუპირისპირდებიან.

ამასობაში ორი ქართული ტრანსფერი განხორციელდა ფედერალ 1 დივიზიონში. პირველხაზელი **საბა ქართველიშვილი** „შამბერიში" ჩაირიცხა. ქუთაისელმა შერკინების ბურჯმა **გიორგი ტორაძემ** კი, „სენ ჟან დანჟელისთან" გააფორმა ხელშეკრულება.

პლაჟის რაგბი

# ოთხიდან სამი მოგება

საქართველოს პლაჟის რაგბის ნაკრები საფრანგეთის ქალაქ ანგლეტში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს. ჩვენმა მორაგბეებმა, რომლებსაც თბილისის „ხულიგანას" მთავარი მწვრთნელი **მამუკა ტყეშელაშვილი** მოძღვრავს, შეჯიბრების პირველ დღეს ოთხი მატჩიდან სამი მოიგეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ.

პირველ მატჩში პორტუგალიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ 2:4, საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა გუნდს, რომელიც ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია, 4:2 მოუგო. მომდევნო ორი მეტოქის, უკრაინისა და პოლონეთის დამარცხება ჩვენს გუნდს აღარ გასჭირვებია. ქართველმა მორაგბეებმა ორივეს მშრალი ანგარიშით, შესაბამისად 8:0 და 6:0 მოუგეს.

| I დღე | |
|---|---|
| საქართველო-პორტუგალია | 2:4 |
| საქართველო-საფრანგეთი | 4:2 |
| საქართველო-უკრაინა | 8:0 |
| საქართველო-პოლონეთი | 6:0 |

**საქართველო**

მურაზ გიორგაძე, სანდრო ჟღენტი, გიორგი ტალახაძე, რეზო ბროძელი, შავლეგ მახარაშვილი, ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე, გიორგი აფციაური.

პრობლემა

# ვერბარტონი ოთხი თვე იუქმებს

უელსის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების" კაპიტანმა **სემ ვერბარტონმა** ავსტრალიური ტურნეს მეორე მატჩში, მელბურნში სერიოზული ტრავმა მიიღო. შინ დაბრუნებულ სემს ლონდონის კლინიკაში კვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ის თამაშს ოთხი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს.

*„ვერბარტონს მუხლის მყესი აქვს დაზიანებული. თუმცა, საბედნიეროდ, ოპერაცია საჭირო არ გახდა. მიუხედავად ამისა, მას დასვენება და რეაბილიტაციის პროცესის გავლა მოუწევს, რაც მაქსიმუმ ოთხ თვემდე გასტანს."* - თქვა „კარდიფ ბლუზის" სამედიცინო სამსახურის უფროსმა **მილი იოანმა.**

ერთი სიტყვით, ვერბარტონი დეკემბრამდე ვერ ითამაშებს. „წითელი ურჩხულები" კი, ნოემბრის ტესტების პირველ მატჩს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან 9 ნოემბერს გამართავენ.


ირლანდიის ნაკრები

# ირლანდიური რაგბი გაკოტრების წინაშე

ირლანდიის რაგბის კავშირმა ახლახან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მომავალი ექვსი წლის განმავლობაში სესხის აღება მოუწევს, ვინაიდან ბიუჯეტში პროგნოზირებადი გარღვევა 26 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება.

ასეთი საგანგაშო დასკვნა ირლანდიის რაგბის კავშირმა იმოტომ გააკეთა, რომ მომავალი სეზონის ბილეთების მხოლოდ 50 პროცენტის გაყიდვა მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაცია ფულს მხოლოდ ეროვნული ნაკრების მეშვეობით შოულობს. თუმცა მერე მას, რეგიონული კლუბებისა და რაგბის მასობრივად განვითარებისთვის ხარჯავს.

*„ჩვენ ყველას მოგვიწევს ქამრების მოჭერა. მიუხედავად ამისა, ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები არ შეიცვლება. ისევ განვაგრძობთ ეროვნული ნაკრების, ოთხი პროფესიული კლუბის და საშინაო რაგბის დაფინანსებას.*

*ეს ბიზნესია და მოგვიწევს სესხის აღება, რაც აბსოლუტურად ჩვეულებრივი ამბავია. ასეთი რთული ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა მძიმე ეკონომიკური კრიზისია ქვეყანაში. ჩვენ ხელების ჩამოშვებას არ ვაპირებთ და რაგბის განვითარებისთვის უწინდებურად ვიზრუნებთ"* - თქვა ირლანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ფილიპ ბრაუნმა.**

ქემპი


დევიდ ბექჰემი

# ბექჰემი რაგბით დაინტერესდა

საფრანგეთის ნაკრებისა და „ბიარიცის" მესამეხაზელმა **იმანოლ არინორდოკმა** ბასკეთის ზღვისპირა ქალაქ ბიარიცში რაგბის საზაფხულო კემპი მოაწყო, რომელსაც ყველასთვის მოულოდნელად ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა **დევიდ ბექჰემი** ეწვია.

ცხადია, ამ ამბავმა კემპის მონაწილეები გაახალისა. მათ ბექჰემთან ოვალური ბურთით თამაშით იჯერეს გული. აღსანიშნავია, რომ დევიდს კარგი ურთიერთობა აქვს თავის თანამემამულე **ჯონი ვილკინსონთან,** რომელთან ერთადაც რამდენიმე სარეკლამო ეპიზოდი ჩაწერა რაგბისა და ფეხბურთის თემაზე.

ზე რაგბი


რაიან კროტის ლელო

# ჯვაროსნები და გაუხედნავი ცხენები

**ზე რაგბის გათამაშების ნახევარფინალის შესარჩევ მატჩებში, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა გაიმარჯვეს და პირველობისთვის ბრძოლას განაგრძობენ.**

პირველ წყვილში ახალზელანდიურმა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა", რომელიც ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, შინ დაამარცხა ავსტრალიური ბრისბენის „რედსი" - 38:9. ცხადია, „ჯვაროსნები" ამ შეხვედრაში ფავორიტები იყვნენ, თუმცა ასეთ იოლ გამარჯვებას მათგან მაინც არავინ ელოდა. არადა, ფაქტია, ქრაისთჩერჩელები გათამაშების მიწურულს, ბოლო სტადიაზე შესანიშნავ ფორმაში არიან და თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო უმატებენ.

„ჯვაროსნების" რიგებში წლეულს პირველად გამოჩნდა ლეგენდარული ახალზელანდიელი მესამეხაზელი **რიჩი მაქოა.** ის სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 15 წუთი დაყო. „ოლ ბლექსის" კაპიტანი გუნდის თამაშით კმაყოფილია და დარწმუნებულია, რომ ერთი კვირის თავზე, ვისაც არ უნდა დაუპირისპირდნენ, თუ ასევე ითამაშებენ, აუცილებლად გაიმარჯვებენ.

*„ეს შანსია თითოეული ჩვენგანისთვის. საკმარისია ყველა ბოლომდე გავიხარჯოთ და ისევე კარგად ვითამაშოთ, როგორც დღეს, წინ ვერავინ დაგვიდგება."* - თქვა მან.

მასპინძლებმა თამაში თავიდანვე რიხით დაიწყეს და მეტოქეს თავს შეტევების კორიანტელი დააყარეს. „კრუსეიდერზი" მეათე წუთისთვის უკვე 10:0 იგებდა. პირველი ნახევარი კი 15 ქულის სხვაობით - 21:6 მოიგო. ცხადი იყო, რომ ქრაისთჩერჩელები გამარჯვებას, თანაც საკუთარ კედლებში, ხელიდან არ გაუშვებდნენ. მით უფრო, რომ **ვილი გენიასა** და **ქუადე კუპერის** წინამძღოლობით „წითლები" სახეიროს ვერაფერს ახერხებდნენ.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა. „ჯვაროსნებმა" პირველ ტაიმში გატანილ ორ ლელოს კიდევ ამდენივე მიუმატეს და დამსახურებულად მოიგეს - 38:9. ორი ლელო შუამარბმა **რაიან კროტიმ** მიითვალა, მგეზავმა **დენ კარტერმა** სამი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა გაიტანა (15 ქულა).

„ჯვაროსნების" მომდევნო მეტოქე ნახევარფინალში ზე რაგბის ამჟამინდელი ჩემპიონი, ახალზელანდიური ჰემილტონის „ჩიფსი" იქნება. შეხვედრა ჰემილტონში გაიმართება.

ნახევარფინალის შესარჩევ მეორე წყვილში თამაში ბევრად უფრო დაძაბული გამოდგა. ავსტრალიურმა კანბერას „ბრამბიზმა" სამხრეთაფრიკულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზს" უმასპინძლა და 15:13 დაამარცხა. სტუმრებს ცუდად არ უთამაშიათ. მეტიც, მეტოქეს ორი ლელოც გაუტანეს, მაგრამ კანბერელებმა ხუთი ზუსტი საჯარიმოს წყალობით შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა. 12 ქულა მასპინძლებს შუამარბმა **კრისტიან ლელიიფანომ** მოუტანა.

ავსტრალიურ გუნდს ნახევარფინალში სათამაშოდ ამჯერად სამხრეთ აფრიკაში მოუწევს გამგზავრება, სადაც მეტოქე ბევრად უფრო ძლიერი დაუხვდება. პრეტორიის „ბლუ ბულზი" სამხრეთ აფრიკის კონფერენციის გამარჯვებული და გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

**კრუსეიდერზი-რედსი 38:9**

**კრუსეიდერზი** (15-9) დაგი (ა. ვაითლოქი 69), მარშალი, კროტი, ტეილორი, გილფორდი, კარტერი (ბლეიენდაალი 67), ელისი (ჰეინცი 56). (1-8) კროკეთი (მუდი 65), ფლინი (ფანელი 53), ფრენქსი, რომანო (ლ. ვაითლქოი 65), ს. ვაითლოქი, ჯ. ვაითლოქი, ტოდი (მაქოა 65), რიდი.

**4ლ:** კროტი (2), კარტერი, მარშალი. **4ს:** კარტერი (3), ტეილორი. **3გ:** კარტერი.

**რედსი** (15-9) ლუკასი, შიპერლი, ტაპუაი, ლენსი (მორაჰანი 56) ფეაუაი-საუიტია, კუპერი, გენია. (1-8) ჰოლმსი, ს. ფაინგაა (ანაე 60), სლიპერი, საიმონსი, ჰორვილი (ედმონიდ 60), ქუირკი (სამო 52), გილი, შატცი (რობინსონი 68).

**3ს:** კუპერი.

**მსაჯი:** იაკო პეიპერი (სამხეთ აფრიკა)

**ბრამბიზი-ჩიტაზი 15:13**

**ბრამბიზი** (15-9) მოგი, სპეიგთი, კურიდრანი, ლეალიიფანო, რათბონი (ტომანე 61), ტოომუა, ვაითი. (1-8) სიო, მური, ალექსანდერი (ჰენრი-სმითი 67), ფარდი, ს. კარტერი (აუელუა 61), კიმლინი, სმითი, მოვენი.

**5ს:** ლეალიიფანო (4), ვაითი.

**ჩიტაზი** (15-9) დანიელი, ლე რუ, სედი, ებერსონი, რულე, სმითი, ფან ზილი (პრეტორიუსი 61). (1-9) ოსტჰუიზენი, სტრაუსი, ადრიანსე (ჰიაკანე 47), დე იაგერი, ლანდმანი, ბრსოუ, ლაბუსჰაჰნი (პრინსლოო 63), ფან დერ მერვე.

**2ლ:** სლედი, ბენჯამინი. **ს:** სმიტი.

**მსაჯი:** გლენ ჯექსონი (ახალი ზელანდია)

**ნახევარფინალი**

ჩიფსი-კრუსეიდერზი
ბლუ ბულზი-ბრამბიზი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

**საქართველოს რაგბის კავშირი სამძიმარს უცხადებს საქართველოს ნაკრების მორაგბეს მამუკა გორგოძეს მამის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდი: 22.VII, მისამართი: დიდი დიღომი, დიმიტრი თავდადებულის, 12; გამოსვენება 23.VII, საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან 15 საათზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# ვარსკვლავები სოჭში მიდიან

## ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ 2013-14 წლების სეზონის ფორმატი შეცვალა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ NHL-ის მოთამაშეებს შეეძლებათ 2014 წელს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

ეს იქნება ზედიზედ მეხუთე ზამთრის ოლიმპიადა, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო ლიგის ვარსკვლავები ითამაშებენ. პირველად ისინი თამაშებზე 1998 წელს, ნაგანოს ოლიმპიადაზე გამოჩნდნენ. ვარაუდობენ, რომ სოჭში NHL-ის დაახლოებით 120 ჰოკეისტი ჩავა.

*„ბევრის ფაქტორის გათვალისწინებით, ეს საკმაოდ რთული გადაწყვეტილება იყო,* - განაცხადა ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა**. - *მაგრამ ვიცით, რომ ამით მოთამაშეებიც გავახარეთ და მთლიანად მსოფლიო სპორტის გულშემატკივრებიც".*

■ ■ ■

სოჭში NHL-ის მოთამაშეების გამგზავრების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ლიგის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა 2013-14 წლების სეზონის კალენდარი, რომელშიც 9-23 თებერვალს გათვალისწინებულია პაუზა ოლიმპიური თამაშებისთვის.

კალენდრის გამოქვეყნების გარდა, NHL-მა გამოაცხადა მასშტაბური ცვლილებების შესახებ ლიგის დივიზიონების შემადგენლობებში.

მომავალი ჩემპიონატიდან დაწყებული, ლიგაში დივიზიონების რაოდენობა ექვსიდან ოთხამდე შემცირდება. ამიერიდან, აღმოსავლეთი კონფერენცია შედგება ატლანტიკისა და მეტროპოლიტენის დივიზიონებისგან, დასავლეთი - წყნარი ოკეანისა და ცენტრალური დივიზიონებისგან. მათი შემადგენლობები ასე გამოიყურება:



აღმოსავლეთი კონფერენცია (16 კლუბი):

**ატლანტიკის დივიზიონი:** „ტორონტო", „მონრეალი", „ოტავა", „ბაფალო", „დეტროიტი", „ბოსტონი", „ფლორიდა" და „ტამპა ბეი".

**მეტროპოლიტენის დივიზიონი:** „ვაშინგტონი", „პიტსბურგი", „ფილადელფია", „ნიუ ჯერსი", „რეინჯერსი", „აილენდერსი", „კაროლინა" და „კოლამბუსი".

დასავლეთი კონფერენცია (14 კლუბი):

**წყნარი ოკეანის დივიზიონი:** „ვანკუვერი", „კალგარი", „ედმონტონი", „სან ხოსე", „ლოს ანჯელესი", „ფინიქსი" და „ანაჰაიმი".

**ცენტრალური დივიზიონი:** „ვინიპეგი", „ჩიკაგო", „კოლორადო", „დალასი", „მინესოტა", „ნეშვილი" და „სენტ ლუისი".

დასავლეთის თითოეული გუნდი თავის თანადივიზიონელს შეხვდება 29-ჯერ - ხუთჯერ ხუთი კლუბის და ოთხჯერ ერთი კლუბის წინააღმდეგ. კიდევ 21 შეხვედრას გუნდები ჩაატარებენ დასავლეთი კონფერენციის სხვა დივიზიონის გუნდებთან. დარჩენილ 32 მატჩს კი „დასავლელები" აღმოსავლეთი კონფერენციის კლუბების წინააღმდეგ გამართავენ.

აღმოსავლეთ კონფერენციაში განსხვავებული სიტუაციაა. აქაური კლუბები საკუთარ დივიზიონში ხუთ-ხუთ მატჩს ჩაატარებენ მხოლოდ ორი კლუბის წინააღმდეგ და ოთხ-ოთხს - ხუთის წინააღმდეგ. მეზობელი დივიზიონის თითოეულ გუნდთან ჩატარდება სამ-სამი შეხვედრა, ხოლო დარჩენილი 28 მატჩი განაწილდება დასავლეთის გუნდებს შორის.

სერიოზული ცვლილებები შეეხება პლეი ოფის საგზურების განაწილებას. შემდეგ სეზონში, სტენლის თასისთვის ბრძოლას გააგრძელებს ყველა დივიზიონიდან სამი საუკეთესო გუნდი, დანარჩენ ოთხ საგზურს კი უაილდ-ქარდის მფლობელები მიიღებენ. ესენი იქნებიან აღმოსავლეთსა და დასავლეთში სამეულს მიღმა დარჩენილი საუკეთესო ორორი გუნდი. ეს სქემა ძალიან ჰგავს ამერიკული ფეხბურთის ლიგის სისტემას, სადაც 32 გუნდი თამაშობს. სავსებით შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში, NHL-ში გამოჩნდეს ორი ახალი გუნდი დასავლეთ კონფერენციაში.

რაც შეეხება 2013-14 წლების რეგულარული ჩემპიონატის განრიგს, სეზონის სტარტი პირველ ოქტომბერს არის დაგეგმილი. პირველ მატჩში სტენლის თასის მფლობელი „ჩიკაგო" „ვაშინგტონს" შეხვდება. ამ დღეს კიდევ ორი შეხვედრა გაიმართება: „მონრეალი"-"ტორონტო" და „ედმონტონი"-"ვინიპეგი". რეგულარული ჩემპიონატი 13 აპრილს დასრულდება, სტენლის თასი კი 16 აპრილს აიღებს სტარტს.

კრივი



დერეკ ჩისორა (მარცხნივ)

# ვიტალის ტრავმა, მეივეზერის პირობა და ჩისორას მოგება

გასულ უქმეებზე ლონდონში გაიმართა საინტერესო ორთაბრძოლა სუპერმძიმე წონით კატეგორიაში. 29 წლის ბრიტანელი **დერეკ ჩისორა** ხვდებოდა აქამდე პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ 32 წლის ამერიკელ **მალიკ სკოტს**.

მეექვსე რაუნდში ჩისორამ სკოტი მარჯვნიდან დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა. მალიკმა ათ თვლაზე მოასწრო წამოდგომა, მაგრამ რეფერიმ ბრძოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო და ჩისორას ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭა.

■ ■ ■

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ, ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა** განაცხადა, რომ ბრძოლა ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** შესაძლებელია, ოღონდ ერთი პირობით: „პაკმენმა" უნდა შეწყვიტოს ურთიერთობა პრომოუტერულ კომპანია Top Rank-თან და ხელი მოაწეროს მეივეზერის კომპანია Mayweather Promotions-თან კონტრაქტს.

*„პაკიაო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ჩემთან ბრძოლის შესაძლებლობას, თუ კომპანია Mayweather Promotions-თან დაიწყებს თანამშრომლობას,* - განაცხადა ამერიკელმა. - *თუ მას არ სურს ჩემი კომპანიის ეგიდით ჩხუბი, შეიძლება დაივიწყოს ჩემთან ბრძოლის შესახებ. ბურთი ჩემს ნახევარზეა და ამიტომაც, მე ვკარნახობ პირობებს".*

■ ■ ■

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსა** და აუცილებელ პრეტენდენტს, კანადელ **ბერმეინ სტივერნს** შორის ბრძოლის კონტრაქტზე მოლაპარაკება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

როგორც უკრაინული პრესა იუწყება, ვიტალიმ ტრავმა მიიღო და მისმა გუნდმა ითხოვა მომავალი ბრძოლის უფლებების მოსაპოვებლად 22 ივლისისთვის დანიშნული აუქციონი მოგვიანებით ჩაატარონ. უფროსი კლიჩკოს ტრავმის ხარისხისა და აღდგენის ვადების შესახებ არაფერს იტყობინებიან.

კალათბურთი

# ბერძენი რუსებს გაექცა

## ევრობასკეტის წინ, რუსეთის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა



ფოცის კაციკარისი

ევროპის მოახლოებული ჩემპიონატის წინ, რუსეთის ნაკრებს მწვრთნელის შეცვლა მოუწევს. ბერძენმა სპეციალისტმა **ფოცის კაციკარისმა,** რომელმაც გასული წლის დეკემბერში რუსეთის კალათბურთის ფედერაციასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, პოსტი საკუთარი ინიციატივით დატოვა. კაციკარისის ამგვარი ნაბიჯი უკავშირდება წინა დღეს ნაკრების გენერალური მენეჯერის **ოლეგ უშაკოვის** გათავისუფლებას. ეს გადაწყვეტილება ეროვნული გუნდის საწვრთნელი შეკრების დაწყებამდე სამი დღით ადრე მიიღეს.

რუსეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა **იულია ანიკეევმა,** რომელმაც პირადად მიიღო უშაკოვის გადაყენების გადაწყვეტილება, კაციკარისის პოსტიდან წასვლას კომენტარი არ გაუკეთა. ახლა ფედერაცია მოლაპარაკებებს აწარმოებს ოთხწლიანი კონტრაქტის გაწყვეტისთვის დაწესებულ კომპენსაციაზე, რომლის გადახდა ბერძენ სპეციალისტს მოუწევს.

სანამ კაციკარისის შემცვლელს მოძებნიან, ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება **ვალერი კარასიოვს** დაევალა. ეს ის სპეციალისტია, ვინც რამდენიმე დღის წინ, რუსეთის ნაკრებს უნივერსიადა მოაგებინა. როგორც იტყობინებიან, ფედერაციის საგანგებო სხდომა 23 ივლისს გაიმართება, სადაც ახალ მთავარ მწვრთნელს აირჩევენ. უკვე ცნობილია, რომ ნაკრების დამრიგებელი რუსი იქნება: კარასიოვის გარდა, კანდიდატები არიან **სერგეი ბაზარევიჩი** და **ევგენი პაშუტინი.**

მძლეოსნობა

# ევროპის რეკორდი საკმარისი არ იყო

გასულ კვირას, მძლეოსნებს სერიოზული სტარტი ჰქონდათ - მონტე კარლოში გაიმართა „ბრილიანტის ლიგის" მორიგი ეტაპი. ცნობილია, რომ მონაკოში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სპორტული ტურნირი იმართება (ფორმულა 1-ის ეტაპი, საჩოგბურთო მასტერსი.) და მათ რიგებშია მძლეოსნობის ეს შეჯიბრი, რომელიც 20 წელია არ ტოვებს ჯუჯა სახელმწიფოს.

მონტე კარლოში ამჯერადაც ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, ყველაზე საინტერესო კი მამაკაცებს შორის 1500 მეტრზე გარბენი აღმოჩნდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ დისტანციაზე გარბოდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბრიტანელი **მო ფარა**, რომელმაც 3.28,81 აჩვენა, რაც ევროპის ახალი რეკორდია, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. საუკეთესო აღმოჩნდა კენიელი **ასბელ კიპროპი**, რომლის დროს იყო 3.27,72. ასე სწრაფად ამ დისტანციაზე ბოლო ცხრა წელია არავის ურბენია!

გარდა ამისა, მონაკოში კიდევ ოთხმა სპორტსმენმა აჩვენა 2013 წლის სეზონში საუკეთესო შედეგი: **ამანტლ მონტშომ** (400 მეტრი), **ვიცესლავ ვესელიმ** (შუბის ტყორცნა), **ედვინ ჩერუიოტ სოიმ** (5000 მეტრი) და **რენო ლავილენიმ** (ჭოკით ხტომა). ამ უკანასკნელმა ძალიან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, როცა 5.96 მეტრი სიმაღლე აიღო.



რენო ლავილენის ნახტომი

ამბები

### ბარსამ პაპანიკოლაუ გადაიბირა

ევროლიგის გამარჯვებული „ოლიმპიაკოსის" ფორვარდი **კოსტას პაპანიკოლაუ** „ბარსელონაში" გადავიდა სათამაშოდ. კატალონიელებმა ბერძნებს 1.5 მილიონი ევრო გადაუხადეს, კალათბურთელმა კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა საერთო ხელფასით - 5.5 მილიონი ევრო.

გასულ სეზონში პაპანიკოლაუ საშუალოდ მატჩში 8.7 ქულას აგროვებდა.

### ნოას დრო მოაკლდება

„ჩიკაგო ბულზის" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** განაცხადა, რომ ძირითად ცენტრს **ჟოაკიმ ნოას** ახალ სეზონში სათამაშო დრო შეუმცირდება.

*„მომავალ სეზონში ნოა ნაკლებ დროს გაატარებს მოედანზე. შარშან, მისი დიდი სათამაშო დრო პარტნიორების ტრავმებით იყო გამოწვეული. გუნდის შეტევა მთლიანად ჟოაკიმზე იყო დამოკიდებული. მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში ჩვენ მას მოედანზე ყოფნის დრო მაინც შევუმცირეთ და ამან სასიკეთოდ იმოქმედა მის თამაშზე. საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ ჩვენი სათადარიგოთა სკამის სიღრმით",* - ამბობს ტიბოდო ამერიკულ პრესასთან კომენტარში.

### ჰიტი კემბით დაინტერესდა

როგორც ამერიკული პრესა წერს, NBA-ის ჩემპიონი „მაიამი ჰიტი" დაინტერესებულია თავისუფალი აგენტის **მარკუს კემბის** გადაბირებით. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონის შემდეგ, 39 წლის ცენტრის კონტრაქტი „ტორონტომ" გამოისყიდა, რის შემდეგაც, კემბი თავისუფალი აგენტი გახდა.

„ტორონტომდე" მარკუსი „ნიუ იორკის" რიგებში თამაშობდა და კანადაში ტრეიდის შედეგად მოხვდა, რომელშიც იტალიელი **ანდრეა ბარნიანი** იყო ჩართული.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2013

# ტრიუმფატორი ფრუმი, გმირი კინტანა

გუშინდელი ფორმალური ეტაპის წინ, ველომრბოლელებს შაბათს ბოლო სერიოზული გამოცდა ელოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 ეტაპის სიგრძე მხოლოდ 125 კილომეტრი იყო, სპორტსმენებს კარგად ესმოდათ, რომ წინ იყო ამ ტურზე ერთ-ერთი ყველაზე რთული სამთო რბოლა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ფინიში მთა სემნოზზე, რომელიც პირველად იყო შეტანილი ტურის მარშრუტში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ლამაზი გამოვიდა.


კინტანა, ფრუმი და როდრიგესი

საერთო ჩათვლის ლიდერს **კრისტოფერ ფრუმს** შეეძლო ოდნავ მოდუნება, რადგან წარმოუდგენელი იყო ერთ ეტაპზე კონკურენტებთან ხუთწუთიანი უპირატესობის განიავება. თან მეტოქეებს მისთვის არ ეცალათ, რადგან **კინტანა, კონტადორი, კროიციგერი** და **როდრიგესი** პოდიუმის მეორე და მესამე საფეხურისთვის იბრძოდნენ.

როგორც ვთქვით, ყველაზე საინტერესო მოვლენები ბოლო აღმართზე განვითარდა. ამ დროისთვის ყველა გაქცევა მოგერიებული იყო ფავორიტების მხრიდან და ჩამოყალიბდა გუნდების კაპიტანთა ჯგუფი, რომელსაც უნდა გამოევლინა ეტაპის გამარჯვებული და ტურ დე ფრანსის საბოლოო პოდიუმი.

ფავორიტთა ჯგუფში ძალიან მალე გაირკვა ძალთა თანაფარდობა. აღმოჩნდა, რომ ალბერტო კონტადორი კვლავ არ იყო საუკეთესო მდგომარეობაში. ფრუმისა და როდრიგესის შეტევებმა ის გამოიწვია, რომ ესპანელი დამხმარეს გარეშე დარჩა და ლიდერთა სამეულს (ფრუმი, როდრიგესი, კინტანა) თითქმის წუთით ჩამორჩა. მალე მას თანაგუნდელი რომან კროიციგერი დაეწია და სცადა კონტადორისთვის საბოლოო პოდიუმი გადაერჩინა, მაგრამ წინ აქტიურად მუშაობდა როდრიგესი, რომელმაც ალბერტოს საპრიზო სამეულში მოხვედრის ყველანაირი შანსი მოუსპო. ასე რომ, „კატიუშას" კაპიტანი გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე გავიდა.

ფინიშამდე კილომეტრით ადრე კიდევ ერთი შეტევა წამოიწყო კრისტოფერ ფრუმმა, მაგრამ უკნიდან კონტრშეტევაზე გადავიდა ნაირო კინტანა, რომელმაც ამ ეტაპზე სერიოზული კოლექცია შეაგროვა - მოიგო შაბათის რბოლა, დაიკავა მეორე ადგილი გენერალურ კლასიფიკაციაში, დაისაკუთრა საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლის თეთრი მაისური და „მთის მეფის" მაისურა. ასე რომ, 23 წლის კინტანას ტურ დე ფრანსზე ფანტასტიკური დებიუტი გამოუვიდა. ის გახდა პირველი კოლუმბიელი, ვინც ფრანგულ ველომარათონზე მეორე ადგილი დაიკავა. 1988 წელს, მესამე იყო მისი თანამემამულე **ფაბიო პარა**. გარდა ამისა, კინტანა პირველი კოლუმბიელია 2007 წლის შემდეგ, ვინც ტურ დე ფრანსის ეტაპი მოიგო. 2007 წლის 17 ივლისს, ტურის ეტაპზე გაიმარჯვა **მაურისიო სოლერმა**. 23 წლის ასაკში, კინტანამ მოიგო „მთის მეფის" სტატუსი. ბოლოს, ასეთ ადრეულ ასაკში 1955 წელს მოიგო ეს ტიტული ლუქსემბურგელმა **შარლი გოლმა**.

თავის მხრივ, ფრუმმა მშვიდად გაუშვა წინ კინტანა და როდრიგესი და მესამე მივიდა ფინიშზე, მაგრამ ბრიტანელისთვის უკვე სულერთი იყო. გასული წლის შემდეგ, როცა კრისტოფერი იძულებული იყო **ბრედლი უიგინსზე** ემუშავა, წარმოშობით კენიელმა კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა ტურ დე ფრანსზე. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანელი წლევანდელ ტურზე 12-ჯერ შეამოწმეს დოპინგზე, სულ კი კრისტოფერმა მიმდინარე სეზონში ეს პროცედურა 50-ჯერ გაიარა და ყოველთვის „სუფთა" აღმოჩნდა.

რაც შეეხება გუშინდელ ეტაპს, რომელიც ტრადიციულად პარიზში დასრულდა, ყველაზე საინტერესო ფინიშზე სპრინტერული გარჩევა იყო, რის შემდეგაც ფრუმისა და კინტანას გარდა, წლევანდელი ტურის კიდევ ერთ გმირად მოინათლა გერმანელი სპრინტერი **მარსელ კიტელი**. მან მეოთხე ეტაპის მოგება შეძლო და პირად დაპირისპირებაში 4:2 დაამარცხა ბრიტანელი **მარკ კევენდიში**.

### XX ეტაპი

1. **ნაირო კინტანა** (კოლ, Movistar) - 3:39.04; 2. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპ, Team Katusha) - +0.18; 3. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - +0.29; 4. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Movistar) - +1.42; 5. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Team Sky) - +2.17; 6. **ენდრიუ ტალანსკი** (აშშ, Garmin-Sharp) - +2.27...

### XXI ეტაპი

1. **მარსელ კიტელი** (გერ, Team Argos-Shimano) - 3:06.14; 2. **ანდრე გრაიპელი** (გერ, Lotto Belisol) - იგივე დრო; 3. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, Omega Pharma-Quick Step) - იგივე დრო; 4. **პეტერ საგანი** (სლოვაკ, Cannondale) - იგივე დრო; 5. **რობერტო ფერარი** (იტა, Lampre-Merida) - იგივე დრო; 6. **ალექსანდრ კრისტოფი** (ნორ, Team Katusha) - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - 80:49.33; 2. **ნაირო კინტანა** (კოლ, Movistar) - +5.03; 3. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპ, Team Katusha) - +5.47; 4. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Saxo-Tinkoff) - +7.10; 5. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Saxo-Tinkoff) - +8.10; 6. **ბაუკე მოლემა** (ჰოლ, Belkin) - +12.25...

● ფრენბურთი

# ბრაზილიას რევანში მართებს



ბრაზილია -ბულგარეთი

არგენტინაში დღეს დილით უნდა დასრულებულიყო ფრენბურთში მამაკაცებს შორის მსოფლიოს ლიგის ფინალური ეტაპი - „ექვსთა ფინალი". ერთი დღით ადრე გაიმართა ნახევარფინალური მატჩები და გამოვლინდნენ ფინალისტები.

ბრაზილიის ნაკრებმა 3:1 (25:12, 25:12, 23:23, 25:16) დაამარცხა ბულგარეთი და მეცამეტედ გავიდა მსოფლიოს ლიგის ფინალში. წინა 12 ფინალიდან ბრაზილიელებმა ცხრაში შეძლეს გამარჯვება.

მეორე ნახევარფინალში რუსეთის ნაკრებმა ასევე 3:1 (25:12, 25:23, 24:26, 25:20) მოუგო იტალიის ნაკრებს. ეს არის რუსების მერვე გასვლა ფინალში. ამ გუნდს ორჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს ლიგა.

ალსანიშნავია, „ექვსთა ფინალში" რუსეთი და ბრაზილია წინასწარ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და რუსებმა ხუთ სეტში შეძლეს მოგება, ასე რომ, ბრაზილიელებს ფინალი რევანშზე თამაში მოუწევთ.

● მოტოსპორტი

# ტრაგედია მოსკოვში

მოსკოვის ტრასაზე ტრაგედიით დასრულდა მოტოსპორტში SuperSport-ის ჩემპიონატის ეტაპი: შეჯიბრის დროს დაიღუპა 25 წლის იტალიელი **ანდრეა ანტონელი**, რომელიც „კავასაკის" მოტოციკლით GoEleven-ის გუნდის ღირსებას იცავდა.

რბოლა წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა. სტარტის შემდეგ, იტალიელი უმძიმეს ავარიაში მოხვდა, ზურგზე დაეცა და თან წაქცეულს **ლორენცო ძანეტის** მოტოციკლი დაეჯახა. ანდრეა საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს. სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად ფუძის მოტეხილობა დასახელდა.

ინციდენტის შემდეგ, რბოლა შეწყდა, ბოლოს კი საერთოდ გაუქმდა. არ ჩატარებულა ასევე ძირითადი კატეგორიის - სუპერბაიკის მეორე ცდა.


ანდრეა ანტონელი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| აშშ | |
|---|---|
| სიეტლი-კოლორადო | 1:1 |
| ტორონტო-ნიუ იორკი | 0:0 |
| მონრეალი-დალასი | 0:0 |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 0:2 |
| ფილადელფია-პორტლენდი | 0:0 |
| ჩიკაგო-დი სი იუნაიტედი | 4:1 |
| სოლტ ლეიკი-კანზას სიტი | 1:2 |
| ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 2:1 |

| კორეა | |
|---|---|
| ჯეჯუ-ინჩეონი | 1:1 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| კასაბლანკა-ნიცა | 1:0 |
| პიტსბურგი-უიგანი | 1:4 |
| ბოჰემიანი-ბრედფორდი | 1:4 |
| დენ ჰააგი-ექსელსიორი | 2:1 |
| ჰერაკლესი-ქოვენთრი | 1:1 |
| დანფერმლაინი-ფალკირკი | 2:2 |
| მორეკამბი-მოზერველი | 1:2 |
| ნიურნბერგი-გენჩლერი | 1:0 |
| არბროა-პარტიკი | 1:0 |
| ბარნსლი-ვულვზი | 2:2 |
| ბრენტფორდი-სელტიკი | 1:2 |
| კარლაილი-ბარნლი | 1:4 |
| დაგენჰემი-კრ. პალასი | 1:2 |
| ისტ ფაიფი-ჰემილტონი | 0:4 |
| ემენი-რეინჯერსი | 0:1 |
| ჰარტლპული-მიდლსბრო | 0:0 |
| მენსფილდი-შეფილდი | 0:1 |
| ნორტჰემპტონი-პიტერბრო | 0:1 |
| ოქსფორდი-ბირმინგემი | 1:1 |
| პორტსმუთი-ჩარლტონი | 0:3 |
| ქუინი-ჰართსი | 0:0 |
| რეითი-ინვერნესი | 2:2 |
| შელბურნი-აბერდინი | 1:2 |
| სტ. მირენი-მორტონი | 2:4 |
| უიკომბი-ასტონ ვილა | 2:2 |
| ბარნეტი-იფსვიჩი | 0:1 |
| აუგსბურგი-მონაკო | 1:0 |
| ბორუსია (მ)-დორტმუნდი | 1:0 |
| უდინეზე-ქუინზ პარკი | 2:1 |
| შტუტგარტი-ვალენსია | 1:0 |
| მაინცი- ვესტ ჰემი | 4:1 |
| ჰამბურგი-ბაიერნი | 0:4 |
| კლერმონი-მონპელიე | 0:0 |
| ჰერენვეენი-გენტი | 1:1 |
| ნიიმეგენი-შივასი | 2:0 |
| რიუ ავე-ნიუკასლი | 3:1 |
| სოსიედადი-ტულუზა | 1:1 |
| ბრაგა-ბეტისი | 0:0 |
| ვარეგემი-ბორდო | 2:1 |
| ჰალი-უენსდი | 0:0 |
| საპრისა-ფულჰემი | 2:2 |
| სან ხოსე-ნორვიჩი | 1:0 |
| მალაიზია XI-ჩელსი | 1:4 |
| ალკმაარი-ხეტაფე | 3:0 |
| დანდი-სტ. ჯონსტონი | 1:1 |
| ექსეტერი-სუონსი | 0:2 |
| შალკე-ბეშიქთაში | 1:1 |
| ბრაუნშვაიგი-რიზე | 1:0 |
| სერკლი-ოფი | 1:1 |
| მეხელენი-ბორდო | 1:2 |
| კორტრიიკი-ბრიუგე | 2:2 პენ. 1:4 |
| გალათასარაი-მალაგა | 3:3 |
| ბორნმუთი-რეალი | 0:6 |

### ჩოგბურთი

| ATP. ჰამბურგი | |
|---|---|
| ალმაგრო-ფონინი | 4:6, 6:7 |
| დელ ბონისი-ფედერერი | 7:6, 7:6 |
| დელ ბონისი-ფონინი | 6:4, 6:7, 2:6 |

| ATP. ბოგოტა | |
|---|---|
| კარლოვიჩი-ანდერსონი | 6:4, 6:7, 6:3 |
| ფალა-პოსპიშილი | 6:7, 6:3, 6:4 |
| ფალა-კარლოვიჩი | 3:6, 6:7 |

| WTA. ბად გაშტაინი | |
|---|---|
| მოისბურგერი-კნაპი | 6:4, 6:3 |
| სვიტოლინა-ჰლავაჩკოვა | 5:7, 7:6, 4:6 |
| მოისბურგერი-ჰლავაჩკოვა | 7:5, 6:2 |

| WTA. ბაშტადი | |
|---|---|
| ლარსონი-პენეტა | 2:6, 6:3, 6:4 |
| ს. უილიამსი-ზაკოპალოვა | 6:0, 6:4 |
| ს. უილიამსი-ლარსონი | 6:4, 6:1 |

● TV პროგრამა

### 22 ივლისი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ამხანაგური მატჩი. მალაიზიის ვარსკვლავები-ჩელსი.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერენვეენი.
14:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - მანჩესტერ სიტი.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ვიტესი.
18:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - სან ლორენცო.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ეინდჰოვენი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ბარსელონა.
01:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ვიტესი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-პორტლენდი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი - დორტმუნდი
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-არგენტინა.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აუგსბურგი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-პორტლენდი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ჩიკაგო.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
18:10 სპორტ-NEWS.
18:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მემფისი.
20:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
23:50 საჩოგბურთო მიმოხილვა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 22 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 18 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 16 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 17 | 19 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 20 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 8 | 17 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 10 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1715 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6556 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5264 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1053 |

● ამბები

**ჩოგბურთი**

## ბარტოლი ჯერ ვერ ბრუნდება

ქალებს შორის უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონი, ფრანგი **მარიონ ბარტოლი** გამოტოვებს ამერიკული სერიის ტურნირებს სტენფორდსა და კარლსბადში.

ფრანგული ჩოგბურთის პირველმა ნომერმა ამის მიზეზად დაასახელა ბარძაყის კუნთის დაჭიმულობა. ეს დაზიანება ბარტოლიმ მისთვის ტრიუმფალური უიმბლდონის დროს მიიღო.

*„უიმბლდონის დროს კუნთი დავიჭიმე, რომლის მკურნალობა დროულად ვერ მოვახერხე. ვცადე სტენფორდის ტურნირისთვის მწყობრში ჩადგომა, მაგრამ ტრავმა არ მაძლევს იქ გამოსვლის საშუალებას"*, - ამბობს ბარტოლი.

სტენფორდის ტურნირის ბადეში ფრანგს ამერიკელი **მელორი ბერდეტი** შეცვლის, კარლსბადში - **დანიელა ჰანტუხოვა**. შემდეგი შეჯიბრი, რომელშიც მერიონს განაცხადი აქვს შეტანილი, მონრეალის უმაღლესი კატეგორიის ტურნირია. ის 5 აგვისტოს დაიწყება.

**ოლიმპიზმი**

## ლონდონმა 9.9 მილიარდი მოიგო

ორი დღის წინ გამოქვეყნდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის შეფასება, რომელიც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ფინანსურ მხარეს აჯამებს.

ერთი წლის წინ ჩატარებული თამაშების ხარჯები მთლიანად ანაზღაურდა და დამატებით, ბრიტანეთის ეკონომიკას დაახლოებით 9.9 მილიარდი ფუნტი სტერლინგი მოუტანა. დასკვნაში ასევე წერია, რომ ოლიმპიადისგან შემოსავალი მომავალშიც გაიზრდება და 2020 წლისთვის მოგება 28-40 მილიარდ ფუნტს მიაღწევს.

შეგახსენებთ, რომ მასპინძელმა ქვეყანამ ოლიმპიადის ორგანიზებისთვისა და ჩატარებისთვის 8.9 მილიარდი ფუნტი სტერლინგი დახარჯა.

16 ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი



შივონ ფანჩესი ჩიკაგოს ქუჩაში

# უეიდის ცოლი ქუჩაში ცხოვრობს

ამერიკულ პრესაში გაჩნდა „მაიამი ჰიტის“ ვარსკვლავის **დუეინ უეიდის** ყოფილი მეუღლის შოკისმომგვრელი ფოტოები - ის უსახლკაროდ არის დარჩენილი და ქუჩაში მათხოვრობით ირჩენს თავს.

Deadspin.com-ის ფოტოგრაფმა **შივონ ფანჩესი** ჩიკაგოს ერთ-ერთ ქუჩაზე დააფიქსირა. ქალი უეიდს 2010 წელს დაშორდა. გაყრის პროცესი სამი წელი გრძელდებოდა და საბოლოოდ, შივონმა დუენისგან სასამართლოს ძალით ერთი მილიონი დოლარი მიიღო. გარდა ამისა, ვარსკვლავ კალათბურთელს თვეში 25 ათასი დოლარი დააკისრეს - ეს არის ალიმენტი ორი შვილისთვის, რომელიც უეიდს ფანჩესისგან ჰყავს.

კალათბურთელმა მომავალი მეუღლე ჯერ კიდევ სკოლაში გაიცნო, შეუყვარდა და შემდგომ მასზე იქორწინა. მაგრამ, მოგვიანებით, შივონმა დუეინი მსახიობ **გაბრიელ იუნიონთან** ღალატში ამხილა. დღეისთვის, 40 წლის იუნიონი უეიდის შეყვარებულია და ამასწინ, წყვილი ESPY-ის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდა. ამ დროს კი უეიდის ყოფილი მეუღლე ჩიკაგოში მოწყალებას ითხოვს, ოღონდ ერთი რამ არის გაურკვეველი - სად წაიღო მან სასამართლოს ძალით მიღებული ერთი მილიონი დოლარი.



კობი მილანის მაისურით

# კობი მილანს სტუმრობს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერი **კობი ბრაიანტი** იტალიაში ჩავიდა აქილევსის მყესის ტრავმის სამკურნალო კურსის გასავლელად. NBA-ის ვარსკვლავმა სარეაბილიტაციოდ „მილანის“ ბაზა აირჩია. ცნობილია, რომ კობი სწორედ ამ იტალიური გრანდის გულშემატკივარი გახლავთ.

კალათბურთელმა მონაწილეობა მიიღო „მილანის“ ვარჯიშში, რის შემდეგაც, მას 24-ნომრიანი მაისურა გადასცეს. შეგახსენებთ, რომ ბრაიანტმა აღნიშნული ტრავმის გამო 2012-13 წლების სეზონის პლეი ოფი გამოტოვა.

● ფრენბურთი




# საჩუქარი ბრაზილიურად

ქალთა ფრენბურთის ვარსკვლავმა, ბრაზილიის ნაკრების წევრმა **მარი პარაიბამ** მამაკაცები თამამი ფოტოსესიით გაახარა.

ბრაზილიელმა ფრენბურთელმა დაამშვენა ჟურნალ Playboy-ს გარეკანი. დადის ჭორები იმაზე, რომ 27 წლის სპორტსმენმა ამ ფოტოსესიაში 250 ათასი დოლარი მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ პარაიბა სპორტიდან სამოდელო ბიზნესში გადავიდა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა პლაჟის ფრენბურთში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. ტურნირები

# ფედერერის საზაფხულო კრიზისი

## შვეიცარიელმა ლეგენდამ ერთი თვის განმავლობაში ორჯერ წააგო TOP100-ის მიღმა მყოფ ჩოგბურთელთან

ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელის **როჯერ ფედერერის** კარიერაში სერიოზული კრიზისია. 2002 წლიდან მოყოლებული პირველად, მან სეზონში მეორედ წააგო მატჩი ATP-ის საუკეთესო ასეულის მიღმა მყოფ ჩოგბურთელთან. შეგახსენებთ, რომ ივნისში უიმბლდონზე როჯერი დამარცხდა უკრაინელ **სერგეი სტახოვსკისთან**, რომელსაც იმ მომენტში 116-ე ადგილი ეკავა მსოფლიოს რეიტინგში, ახლა კი ჰამბურგის ტურნირის ნახევარფინალში ფედერერი დაამარცხა მსოფლიოს 114-ე ნომერმა, 22 წლის არგენტინელმა **ფედერიკო დელბონისმა**.

ეს უკანასკნელი კვალიფიკაციაგამოვლილი მესამე ჩოგბურთელია სეზონში, ვინც ATP-ის ტურნირის ფინალამდე მიაღწია. მან საათსა და 53 წუთში ორი ტაი-ბრეიკი მოუგო როჯერს და კარიერაში პირველად გავიდა პროფესიულ დონეზე ფინალში და ასევე პირველად დაამარცხა TOP10-ის წევრი.

მატჩის მსვლელობისას ფედერერის არანაირ უპირატესობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ინიციატივას მუდმივად დელბონისი ფლობდა. პირველ სეტში ის ბრეიკით დაწინაურდა, მე-12 გეიმში კი ორი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ტაი-ბრეიკზე როჯერმა ერთადერთი სეტბოლი 6:5-ზე მიიღო, თუმცა შანსი ხელიდან გაუშვა, არგენტინელმა კი მეოთხე ცდაზე შეძლო პარტიის მოგება.

მეორე სეტში დელბონისი აგრძელებდა მეტოქეზე ზეწოლას. მეორე და მეექვსე გეიმებში სამხრეთამერიკელს სამ-სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა ფედერერი ახერხებდა თამაშში დარჩენას. მეშვიდე გეიმში კი ერთი ბრეიკ-პოინტი შვეიცარიელმა ვერ გამოიყენა. ამჯერადაც, საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც 4:4-მდე თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ როჯერმა ორი შეცდომა დაუშვა და დელბონისმა პირველივე მატჩბოლი გამოიყენა.

ფედერერს მთელი ტურნირის განმავლობაში ეტყობოდა, რომ არ იყო სათანადო ფორმაში - ფინალამდე შვეიცარიელს ორი სამსეტიანი მატჩის ჩატარება მოუწია. როგორც უკვე ვწერდით, ჰამბურგის შეჯიბრის წინ, როჯერმა ჩოგნის მოდელი შეიცვალა და, შესაძლოა, მისი არადამაჯერებელი თამაში ამის ბრალიც იყო, მაგრამ ეს მიზეზი თავად შვეიცარიელმა უარყო.

*„მე მგონია, მეტოქე ჩემზე უკეთ თამაშობდა,* - ამბობს ფედერერი. - *რა თქმა უნდა, თითოეულ სეტში სცენარი შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო, ამიტომაც დასანანია, რომ ერთი პარტიის აღებაც ვერ შევძელი. მატჩის ბოლოს თავი უკეთ ვიგრძენი, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. მეტოქე ძალიან კარგად თამაშობდა, ჩემი გამართლება კი არ შეიძლება“.*

დელბონისის მეტოქე ფინალში იტალიელი **ფაბიო ფონინი** გახდა, რომელმაც საათსა და 49 წუთში ორ სეტში მოუგო ესპანელ **ნიკოლას ალმაგროს** - 6:4, 7:6.

ბოლო პერიოდში აპენინელი ბრწყინვალე ფორმაშია: გასულ კვირას მან მოიგო შტუტგარტის ტურნირი (კარიერაში პირველი წარმატება ATP-ის ტურში) და მისი გამარჯვებათა სერია ცხრა მატჩს უტოლდება.

■ ■ ■

დელბონისი ფინალშიც ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. პირველ პარტიაში მან ხუთი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, მეათე გეიმში კი სეტში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და 6:4 მოიგო. მეორე სეტი ფონინიმ ბრეიკით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო და 1:4 ჩამორჩა. ამას მოჰყვა იტალიელის მხრიდან მიჯრით სამი გეიმის აღება - 4:4. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც 6:5-ზე, 7:6-ზე და 8:7-ზე დელბონისს სამი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ სამივე შანსი გაანიავა. ყველაზე რეალური შანსი მას 6:5-ზე ჰქონდა, როცა ბადესთან გასულმა იოლი ბურთი ააცილა.

მესამე სეტში ბრძოლა თითქმის აღარ იყო. ფონინი 4:0 დაწინაურდა და საათსა და 28 წუთში გაიფორმა ბოლო ორ კვირაში მეორე ტიტული.


ფაბიო ფონინი

# სერენა მონიკას დაეწია

გასულ კვირას, ქალებს შორის ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი შვედეთის ქალაქ ბასტადში იმართებოდა, სადაც უიმბლდონის შემდეგ პირველად გამოჩნდა კორტზე **სერენა უილიამსი**. რა თქმა უნდა, ამერიკელი უმთავრესი ფავორიტი იყო და ეს სტატუსი ძალიან იოლად დაამტკიცა - ყველა მეტოქეს ისე მოუგო, რომ სეტი არ დაუთმია.

სერენამ ნახევარფინალში ჩეხ **კლარა ზაკოპალოვას** სძლია და სეზონში 50-ე გამარჯვება გაიფორმა. გუშინ კი მან საათსა და 18 წუთში გაანადგურა ფინალში შვედი **იოჰანა ლარსონი** - 6:4, 6:1.

ეს ტიტული მეშვიდეა უილიამსისთვის ამ სეზონში და 53-ე კარიერაში. ამ მაჩვენებლით ის დაეწია **მონიკა სელეშს** და მასთან ერთად ყველა დროის სიაში მეხუთე ადგილს იყოფს. უფრო მეტი ტიტული კარიერაში მოგებული აქვთ: **მარტინა ნავრატილოვას** (167), **კრის ევერტს** (157), **შტეფი გრაფსა** (107) და **ლინდსი დავენპორტს** (55).

„დიდი სლემის“ ტურნირების 16-გზის ჩემპიონისთვის ეს ტრიუმფი განსაკუთრებულია. საქმე ისაა, რომ სერენას ადრე არასოდეს მოუგია International-ის სერიის შეჯიბრი. უფრო მეტიც, ის ხუთჯერ გამოდიოდა ამ სერიაში და ფინალამდეც არასოდეს მიუღწევია.

რაც შეეხება ლარსონს, ის კვლავაც WTA-ის ტიტულის გარეშე რჩება. მან მესამე ფინალი ითამაშა და მესამედ დამარცხდა.


სერენას 53-ე ტიტული

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608